ბაკურ მეფია

ლილო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 სექტემბერი პარასკევი 2011
№218 (13515) ფასი 80 თეთრი

ბესიკ ჯანგავაძე დანიდინიდან

lariwin.com
the better way to play
ბეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

დავიწყებული

ლევან ყენია მოედანს მალე დაუბრუნდება

ერაოვნული ბიბლიოთეკა

2

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

საქართველოს ნაკრები არასდროს ნებდება

8 ერის მოლოდინში

8-9

კანონზომიერი ნახევარფინალები ევრობასკეტზე

15

დღეს

18:30 ესპანეთი-მაკედონია

22:00 საფრანგეთი-რუსეთი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

● დავიწყებულნი

ოთხეული, რომელთა დაბრუნებასაც ველით

საფეხბურთო სამყაროს ხშირად ის ემართება, რაზეც მოხვეები ამბობენ, თვალშორა, გულშორაო. როდესაც ფეხბურთელი მძიმედ დაშავდება და მკურნალობს, ბევრს ავიწყდება, რომ მას არც ისე დიდი ხნის წინათ სარგებლობა მოჰქონდა – ასეთ მდგომარეობაში არიან ოდესღაც ყურადღებით განებივრებული ეროვნული ნაკრების მოთამაშეებიც და დღევანდელ მდგომარეობას ძალიან განიცდიან.

დღეს ოთხი მათგანის ამბავს მოგიყვებით, რომლებიც, ვფიქრობთ, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, ალბათ, ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგებიან.

იმედაშვილის იმედი: ვარჯიში დავიწყე!

საქართველოს ნაკრებისა და კიევის "დინამოს" ყოფილი მოთამაშე **დავით იმედაშვილი** "ლელოს" ვერსიით 2009/10 წლების სეზონში საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში მოხვდა, საუკეთესო ნახევარმცველის ტიტული დაიმსახურა და **თემურ ქეცბაიამ** ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გამოიძახა.

26 წლის ფეხბურთელი 2010 წლის ზაფხულში ლენქორანის "ხაზარში" ჩაირიცხა, მაგრამ იქ მხოლოდ ოთხი შეხვედრა ჩაატარა - ევროპის ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ აზერბაიჯანის ჩემპიონატში პირველივე საშინაო შეხვედრაში უმძიმესი ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

იმედაშვილმა მენისკის ოპერაცია სტამბოლში გაიკეთა და ოქტომბერში რეაბილიტაცია გაიარა. ნოემბრის დასაწყისში გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მირჩა რედნიკმა** აზერბაიჯანულ გამოცემა „ექსტრა-ტაიმთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ საკადრო პრობლემები ნაწილობრივ მოგვარდება, რადგან იმედაშვილი მოედანს უბრუნდებაო.

დათოც იგივეს იმედოვნებდა, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა.

"პირველი ოპერაცია სტამბოლში შარშან 15 სექტემბერს გამიკეთეს, მაგრამ ვარჯიში განვაახლე თუ არა, მუხლი გამისივდა - აღმოჩნდა, რომ ვარჯიში ნაადრევად დამანყებინეს და 25 დეკემბერს მეორე, უფრო რთული ოპერაცია გამიკეთეს. რეაბილიტაციას ძალიან დიდი დრო დასჭირდა, დღემდე ნორმალურად ვერ ვვარჯიშობ, მაგრამ მკურნალობის პერიოდი დასრულდა, ახლახან სირბილი დავიწყე და მალე ჩვეული დატვირთვებითაც ვივარჯიშებ. იმდენი ხანია არ მითამაშია, რომ ფეხბურთი ძალიან მომენატრა. ცხადია, კარგად ჯერ ვერ ვიქნები, მაგრამ მალე მეტ დატვირთვაზე გადასვლა ჩემთვის ბევრს ნიშნავს," – ამბობს იმედაშვილი.

ტრავმირებულ იმედაშვილს "ხაზარის" ხელმძღვანელობა კეთილშობილურად არ მოექცა, ნაოპერაციები მოთამაშე ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში მარადონასაც არავინ აიყვანდა და ფიზიკურ ტრავმას ეს დარტყმაც დაემატა. ამიტომ, აზერბაიჯანულ კლუბს კონტრაქტის გაწყვეტაზე დაელაპარაკა: *"საბოლოოდ კლუბი მაინც დავითანხე, კონტრაქტი განწყვიტეს და თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვედი. ძნელია ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, ბევრმა დამივიწყა, მაგრამ არაფერია, მოვმჯობინდები და ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ დიდი ფეხბურთს ვითამაშებ. ტრავმა ვის არ მოსვლია, მთავარია, საკუთარი თავის მჯერა".*

რევაზ ბარაბაძე: ბუცების მორგებაც გამიხარდა

თბილისის "დინამო-3", თბილისი", დნეპროპეტროვსკის "დნიპრო", იენის "კარლ ცეისი", მახაჩყალის "ანჟი", რუსთავის "ოლიმპი" – ეს ის გუნდებია, სადაც სხვადასხვა პერიოდში 22 წლის თავდამსხმელ **რევაზ ბარაბაძეს** უთამაშია. საქართველოს ნაკრებში ორი მატჩიც ჩაატარა და პორტუგალიისა და ბრაზილიის ნაკრებების ყოფილი თავკაცის, ბრაზილიელი **ლუის ფილიპე სკოლარის** მოწონებაც დაიმსახურა.

თუმცა ნიჭიერ თავდამსხმელს პრობლემები სწორედ ამ პერიოდში დაეწყო: 2008 წელს მახაჩყალის "ანჟიში" დაშავდა, რამდენჯერმე გაიკეთა მუხლზე ოპერაცია, ორჯერ ვარჯიში რუსთავის "ოლიმპში" გაანახლა, მაგრამ ორჯერვე დაშავდა - ეს ბოლოს 2010 წლის დეკემბერში მოხდა.

ამჟამად თავდამსხმელი იმედიანად არის და ამბობს, რომ მოედანს მალე დაუბრუნდება.

"მგონი, მეშველა – სამთვიანი რეაბილიტაციის შემდეგ ინდივიდუალური ვარჯიში დავიწყე. ჩვენი ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი თენგიზ სულაქველიძე ძალიან დამეხმარა, რომელმაც საკუთარ აკადემიაში ვარჯიშის საშუალება მომცა.

მოედანს ახლახან დავუბრუნდი. ვერ წარმოიდგენთ, ბუცი რომ ჩავიცვი, როგორ გამიხარდა. მეცხრე თვე მთავრდება, რაც არ მითამაშია. მძიმე ტრავმის გამო უფრო მეტი დრო გამიცდა, ვიდრე ჯვარედინი იოგების დაზიანებისას. ბოლოს 2010 წლის დეკემბერს ვითამაშე. წელის პრობლემაც მქონდა და მოძრაობა მიჭირდა, მაგრამ უკვე ბედნიერი ადამიანი ვარ, ვარჯიშს მაინც რომ ვახერხებ.

ახლა ყოველდღე ორჯერ ვვარჯიშობ, დილით "ნაუტილუსში" ტრენაჟორებზე, საღამოს კი თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში ბურთით", – ამბობს ბარაბაძე.



ასეთ მდგომარეობაში მყოფი მოთამაშით გუნდები მაინც დაინტერესდნენ: *"მართალია, დიდი ხანია, ჩრდილში ვარ, ხალხს აღარ ვახსოვარ, თუმცა ზოგიერთმა გუნდმა ტრავმირებულიც არ დამივიწყა. რაღაც ვარიანტები უკვე მაქვს და თავისუფალი აგენტობაც ხელს მინყობს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში, ფორმიდან ამოვარდნილი და უთამაშებელი, ვერსად წავალ. მირჩევნია, მცირე ხნით რომელიმე ქართულ გუნდში ვივარჯიშო და უცხოეთში მერე ვცადო ბედი".*

ლევან ყენია მოედანს მალე დაუბრუნდება

ლევან ყენია საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ყველაზე ახალგაზრდა გახდა - სანაკრებო დებიუტი 16 წლისას ჰქონდა. გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კლუბ „შალკეში" 2007-08 წლების სეზონის მსვლელობისას გადავიდა და ბუნდესლიგაში 11 მატჩი ჩაატარა, გერმანიის თასზე კი - 2 და ერთი გოლი გაიტანა. მოედანზე 2011 წლის დასაწყისში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ „შალკეს" თურქულ შეკრებაზე ვითომ ნამკურნალები კოჭი ისევ ატკივდა და კვლავ საოპერაციო შეიქნა.

ხუთთვიანი რეაბილიტაცია, საგანგებო ფეხსაცმლით სიარული და მორალურად უმძიმესი პერიოდი ლევანმა აგვისტოში დაასრულა, ძუნძული დაიწყო, ფიზიკურად ემზადებოდა, კოჭის ტკივილები საერთოდ აღარ აწუხებდა და სექტემბრის დასაწყისში, ერთი კვირის წინ "შალკეს" შეუერთდა.

„ბილდის" ინფორმაციით, „შალკე" რამდენიმე ფეხბურთელთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებს, მათ შორის ყენიასთან. მსგავსი ინფორმაცია ჯერ კიდევ მაშინაც ვრცელდებოდა, როდესაც ქართველი პლეიმეიკერი ჯანმრთელად იყო.

"მსგავსი არაფერი ხდება, ლევანი ტრანსფერზე არ დაუყენებიათ და "შალკეში" ვარჯიშობს," – გვითხრა ბიძამისმა, ქუთაისის "ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი კიკნაძემ**.

20 წლის ახალგაზრდა "შალკესთან" ერთად ვარჯიშობს, მაგრამ **ფელიქს მაგათის** მსგავსად ვარჯიშის დაჩქარებას და მოუშუშებელი ტრავმით თამაშს აღარ აძალებენ, არის ვარჯიშები, რომლებსაც არიდებენ. ახლა უმთავრესია, ლევანი მოედანს დროულად დაუბრუნდეს. ახალგამოჯანმრთელებული ფეხბურთელი, რომელსაც 2009 წლის შემოდგომის შემდეგ აღარ უთამაშია, ცხადია, ჯერ ფორმაში არ არის, მაგრამ "შალკეში" მისი ვარჯიში ძალიან გვაიმედებს.

ჯერ ცნობილი არ არის, ლევანი მოედანს როდის დაუბრუნდება – გიორგი კიკნაძის თქმით, სავარაუდოდ, ეს თვე-ნახევარში, ანუ ნოემბრის დასაწყისში მოხდება.

საინტერესო ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ ლევანი ორი წელწადია მკურნალობს და ხეირიანად არ უთამაშია, "ტრანსფერმარკტ"-ი მის ტრანსფერს მილიონ ევროდ აფასებს.

ყენიას დაბრუნებას ელიან საქართველოს ნაკრების მწვრთნელები და გულშემატკივრები. ფაქტია, რომ ნაკრების უმთავრესი გუნდის პრობლემა შეტევის ორგანიზებაა, ლევანს კი სწორედ ის თვისებები გამოარჩევს, რაც ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად მოაგვარებს – მშვენივრად ეხერხება ბურთის დაჭერა, გადაცემები და შეტევების გამწვავება, თავდამსხმელებს კი ბურთის მიმწოდებელი ეყოლებათ.

გოცირიძე დნიპროს ჩრდილში

23 წლის თავდამსხმელ **ბექა გოცირიძეზე,** რომელიც 2009 წელს „ზესტაფონმა" დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" 1 მილიონი ევროდ გაყიდა, საქართველოს ნაკრებში დიდი იმედებს ამყარებდნენ. ამჟამად გოცირიძე „დნიპროში" ირიცხება, მაგრამ ფორმის შენარჩუნებას ამ გუნდის დუბლებში ცდილობს.

ზაფხულში „დნიპროს" გენერალურმა დირექტორმა **ანდრეი სტეცენკომ** გოცირიძე თქვა, რომ კლუბს მისი დუბლშემადგენლობაში გაჩერება არ სურს და მოლაპარაკებას თბილისის „დინამოსთან" ვანარმოებთო. თითქოს შეთანხმებას წინ არაფერი ედგა, მაგრამ გარიგება მაინც ვერ მოხერხდა და თავდამსხმელი დნეპროპეტროვსკელებს დაუბრუნდა.

არადა, გოცირიძემ თბილისურ გუნდში ივარჯიშა და უხაროდა, „დინამოს" ფორმას მოვირგებ და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ვითამაშებო. საქმე ისაა, რომ "დნიპრო" თბილისელებისგან ზუსტად იმხელა თანხას ითხოვდა, რამდენიც "ზესტაფონს" გადაუხადა – მილიონ ევროს. "ტრანსფერმარკტ"-ი კი ბექას სატრანსფერო თანხად 250 ათას ევროს ასახელებს.

სამწუხაროა, რომ 2009 წელს მომხდარი ავტოავარიის შემდეგ ბექამ ფორმა ვერა და ვერ აღიდგინა, შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარში "დნიპროს" დუბლებში მაინც ათამაშებდნენ, ახლა კი მხოლოდ ვარჯიშით შემოიფარგლება, - ფეხბურთელი, რომლითაც 2008 წელს გლაზგოს "სელტიკი" ინტერესდებოდა, ასეთ ხვედრს არ იმსახურებს.



■ ■ ■

ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ეს ახალგაზრდა მოთამაშეები მალე მოახერხებენ რეაბილიტაციას, ფორმის აღდგენას და მოედანს უახლოეს პერიოდში დაუბრუნდებიან.

● ლეგიონერები

გიორგი ლომაია

ქართველები სხვადასხვა ნომინაციაში

ინტერნეტპორტალმა "რუსბიზნესკონსალტინგმა" ("რბკ"-მ) რუსეთის პრემიერლიგაში მაყურებლის ყველაზე საყვარელი და ეფექტური მოთამაშეების რეიტინგი შეადგინა.

80-კაციან სიაში მხოლოდ ორი ქართველი დაასახელეს – "კრასნოდარში" გადასული **ოთარ მარცვალაძე** 6 ქულით მე-13-მე-16 ადგილზე გავიდა, მე-17-28-ეზე კი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" პლეიმეიკერი, გუნდის დუბლშემადგენლობაში გადაყვანილი **გოჩა ხოჯავა**.

უცნაურად გვეჩვენა, რომ რუსი გულშემატკივრისთვის ყველაზე მისაღებ, სანახაობრივ და ლამაზ ფეხბურთს, თურმე, პეტერბურგის "ზენიტის" თავდამსხმელი **ალექსანდრე კერჟაკოვი** აჩვენებს, **რობერტო კარლოსი** კი, რომლის მახაჭყალის "ანჟიში" ჩაყვანაც ლამის რუსეთის სახელმწიფო დუმაში აღნიშნეს, სიაში ვერ მოხვდა.

ასევე უცნაურია, რომ კერჟაკოვის კონკურენტად არ განიხილავენ გერმანიის ნაკრების ყოფილ ფორვარდ **კევინ კურანის** და მახაჭყალის "ანჟის" კამერუნელ ვარსკვლავ **სამუელ ეტოოს** - ორივე ხოჯავას პოზიციაზეა.

მოკლედ, ამ მუხთალ წუთისოფელს ვერაფერს გაუგებ, მთელი რუსეთი ფეხბურთზე გიჟდება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, თავისი მოთამაშეები ბევრად დიდი მასშტაბის ვარსკვლავებს ურჩევნიათ – არადა, ლაპარაკია ფეხბურთზე.

სხვათა შორის, "სპორტ-ექსპრესის" ტრადიციულ გამოკითხვაში კერჟაკოვი აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. საერთო ჩათვლაში 50 საუკეთესოში მხოლოდ ორი ქართველია: 27-ე ადგილზე 23 ქულით მეკარე **გიორგი ლომაია** გავიდა (რომელმაც ზამთარში "თანამეგობრობის თასზე" ბაქოს "ინტერის" შემადგენლობაში ჩინებულად ითამაშა), 32-ზე კი ისევ და ისევ გოჩა ხოჯავა - ცხადია, "ვოლგაში" ჩატარებული რამდენიმე ეფექტური მატჩის გამო.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

ირაკლი ქობალია

ზამთრამდე ბაია და ბომბარდირობა, მერე უცხოეთი

ირაკლი ქობალია ქართველმა გულშემატკივარმა მიმდინარე წლის დასაწყისში გაიცნო და 19 წლის თავდამსხმელი უმალ მოექცა ქომაგთა და მედიის ყურადღების ცენტრში. ქობალია "ბაიას" გასულ ზამთარს შეუერთდა და გუნდისა და მთლიანად, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად იქცა. "ლელოს" მისი ნაღვაწი არ გამორჩენია და სეზონის საუკეთესო დებიუტანტად დავასახელეთ.

ქობალიასთვის მიმდინარე სეზონიც წარმატებულად მიმდინარეობს – ჯერ რუსთავის "მეტალურგს" დაეხმარა ევროპის ლიგაზე, შემდეგ კი "ბაიას" დაუბრუნდა და მასთან ერთად ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს. **ვფიქრობთ, საკმარისი მიზეზებია იმისთვის, რომ ახალგაზრდა ფორვარდთან ინტერვიუ შემოგთავაზოთ...**

- "ბაიას" ლიდერობა საკმაოდ მოულოდნელია. რის ხარჯზე შეძელით ასეთი შედეგის მიღწევა?

- უპირველეს ყოვლისა, ერთსულოვნებისა და დიდი მონდომების წყალობით. შეიძლება, "ბაიას" ბევრი ვარსკვლავი არ ჰყავდეს, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდებისა და მეგობრული გარემოს ერთობლიობამ საშუალება მოგვცა, ქომაგი სასიამოვნოდ გაგვეოცებინა. გვესმის, რომ ჩემპიონები ვერ გავხდებით, მაგრამ მაინც საამაყოა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლიდერები ვართ.

- ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, "ბაიას" ლიდერად ჩამოყალიბდი.

- საკუთარი თავი გუნდის ლიდერად ნამდვილად არ მიმაჩნია. ვცდილობ, "ბაიასთვის" სასარგებლო ვიყო, მაგრამ სხვა გამორჩეული ფეხბურთელებიც გვყავს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბევრ ფეხბურთელს ჩემზე ნაკლები გამოცდილება აქვს და ყოველთვის მზად ვარ, მათ ძირითად გუნდთან ადაპტაციაში დავეხმარო.

- გამოცდილებას აუცილებლად დაგროვებდი რუსთავის "მეტალურგთან" ერთად ევროპის ლიგაზე თამაშისას.

- რა თქმა უნდა. "მეტალურგში" გატარებულ პერიოდს დიდი სიამოვნებით ვიხსენებ. ამან ჩემს განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა. ევროპის ლიგაზე ჩატარებულმა მატჩებმა ბევრი რამ

მარცხნივ - ირაკლი ქობალია

მასწავლა, რაც მომავალში აუცილებლად წამადგება.

- "მეტალურგში" დარჩენა არ შემოუთავაზებიათ?

- შემომთავაზეს, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არ იყო დამოკიდებული. თანაც, ჩემი კარიერისთვის "ბაიაში" დაბრუნება სჯობდა, რადგან ვიცი, რომ საინტერესო წინადადების შემთხვევაში კლუბი არ დამბრკოლებს და პირიქით, ხელსაც შემიწყობს.

- სხვა ქართულ კლუბში გადასვლას გულისხმობ თუ საზღვარგარეთ წასვლას?

- ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და მაქვს იმედი, რომ უცხოური კლუბების ყურადღებას დავიმსახურებ. სავსებით რეალურია, წინადადებები რუსული და უკრაინული კლუბებისგან მივიღო. ჯერ მთლიანად "ბაიაზე" ვარ კონცენტრირებული, ზამთარში კი შესაძლოა, უცხოეთში წავიდე.

- განვლილ ხუთ ტურში რომელი იყო გამორჩეული მატჩი "ბაიასთვის" და პირადად შენთვის?

- გამოვყოფდი "გაგრასთან" გამართულ შეხვედრას, რომელიც 3:0 მოვიგეთ. ყველა მატჩს ასეთ დონეზე რომ ვატარებდეთ, აუცილებლად გავხდებოდით ჩემპიონები. სტაბილურობა გვაკლია, რაც გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია.

- საკუთარი მონაგარით კმაყოფილი ხარ?

- ორი გოლი გავიტანე, ორი საგოლე პასი გავაკეთე, ორჯერ კი გოლი ჩემს მიერ წამოწყებულ შეტევას მოჰყვა, რაც ნამდვილად არ არის ურიგო შედეგი. მიხარია, რომ "ბაიას" მხოლოდ გოლებით კი არ ვეხმარები, თანაგუნდელების გადაცემებით მომარაგებაც შემიძლია.

- რისი მიღწევა შეუძლია "ბაიას" ამ სეზონში?

- დრო გვიჩვენებს. ევროთასების საგზურის მოპოვება გუნდს ნამდვილად შეუძლია, საუკეთესო ექვსეულში კი ყველა ვარიანტში უნდა მოხვდეს.

- კლუბის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია?

- დიდი ხანია, ამ პრობლემას აღარ შევუწუხებივართ. ხელფასებს დროულად ვიღებთ, რაც განწყობასა და შედეგებზე შესაბამისად აისახება.

- ალბათ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობაზეც ფიქრობ.

- ეს ჩემი უმთავრესი მიზანია. თუ "ბაიადან" ზამთარში წავედი, ამას ვერ შევძლებ, მაგრამ იმითაც ბედნიერი ვიქნები, ჩემპიონატის პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი რომ გავხდე. ამით "ბაიასაც" დავეხმარები და კარგ კლუბში მოხვედრის უკეთესი შანსიც გამიჩნდება.

- ბოლოდროინდელმა წარმატებებმა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვედრის შანსიც მოგცა.

- ჯერჯერობით, დიდი სათამაშო დრო არ მეძლევა და მხოლოდ ესპანეთში ნათამაშები ბოლო ათი წუთით შემოვიფარგლე, მაგრამ მთავარია, რომ მიმინვიეს, დანარჩენი კი უკვე ჩემზეა დამოკიდებული. ესპანელებთან ორივე თამაში უშანსოდ წავაგეთ, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს და სხვა მეტოქეებთან წარმატების შანსი ნამდვილად გვაქვს. ოთარ გაბელიასი მადლობელი ვარ, მჯერა, ახალგაზრდული ნაკრები სოსო ჭედიას ხელმძღვანელობითაც ბრძოლისუნარიანი იქნება, მე კი ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო.

ზესტაფონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზა მშვენდება, გელაშვილი ბრუნდება

როგორციცით, ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე სერიოზული სარეკონსტრუქციო სამუშაოები იგეგმება, რის შემდეგაც ამ არენაზე საერთაშორისო მატჩების ჩატარება ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე იქნება შესაძლებელი.

აგვისტოს ბოლოს ზესტაფონს უეფას წარმომადგენელი ეწვია, რომელმაც კლუბის ხელმძღვანელობას საჭირო რჩევები მისცა. მალე "ზესტაფონი" ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოსგან წერილობით რეკომენდაციებსაც მიიღებს და რეკონსტრუქციის პროცესიც დაიწყება. სამუშაოები სწრაფი ტემპით წარიმართება და მომავალი ზაფხულისთვის "დავით აბაშიძე" დაახლოებით ისეთ სახეს მიიღებს, როგორსაც ფოტოზე წარმოდგენილ მაკეტზე ხედავთ.

"ზესტაფონის" საწვრთნელი ბაზის მშენებლობა კი ასევე სწრაფი ტემპით გრძელდება. უკვე საკმაო ხანია, დასრულდა პირველი მინდვრის დაგება და გუნდი ბაზაზე ვარჯიშობს. ფაქტობრივად, დასრულებულია მეორე მოედანიც და საჭიროების შემთხვევაში, გუნდი წვრთნებს იქაც გამართავს, მესამე მოედნის დასაგებად კი უკვე ყველაფერი მზადაა და მალე ისიც სრულ მზადყოფნაში იქნება.

სულ კი "ზესტაფონის" საწვრთნელ ბაზაზე ხუთი მოედნის მოწყობაა გათვალისწინებული. ამ ხუთიდან ხელოვნურსაფრიანი მხოლოდ ერთი იქნება. დღეისთვის ბაზის ტერიტორია 5 ჰექტარია, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ ფართობს 3 ჰექტარი დაემატება.

საფუძველი ჩაეყარა სასტუმრო-კომპლექსის მშენებლობას, სადაც გუნდი იცხოვრებს. შენობის დასრულების შემდეგ ბაზა უკვე სრულყოფილ სახეს მიიღებს. ტერიტორიას ჩოგბურთის კორტებიც დაამშვენებს და თანამედროვე ბაზისთვის საჭირო ყველა ატრიბუტიც – ტრენაჟორების დარბაზი, სამედიცინო პუნქტი, კვების ბლოკი და ა. შ.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ გუნდში მიმდინარე ამბებს: გამოჯანმრთელდა და ვარჯიში განაახლა **ნიკოლოზ გელაშვილმა**. მოარული ხმებით, იგი სულ მალე "ზესტაფონიდან" სხვა კლუბში (უფრო საზღვარგარეთ) უნდა გადასულიყო. მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში მას ერთი წუთითაც არ უთამაშია, რამაც ეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა, მაგრამ გელაშვილის არყოფნის მიზეზი მხოლოდ ტრავმა იყო.

ახლა საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ინდივიდუალურად ვარჯიშობს "ზესტაფონის" ფიზმომზადების მწვრთნელის, **ივან ვუჩეტიჩის** ხელმძღვანელობით და მოედანზეც უახლოეს მომავალში გამოჩნდება. 17 სექტემბერს "ზესტაფონი" ბოლნისის "სიონს" სტუმრობს და თუ გელაშვილმა ბოლომდე მომჯობინება ამ დროისთვის ვერ მოასწრო, მომავალ ტურს, ალბათ, აღარ გამოტოვებს.

შეგახსენებთ, ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ წინა ტურში მოედანს **გოგი ფიფია** დაუბრუნდა, სამწუხარო კი ის არის, რომ ჯერ ვერ ბრუნდება **ზურაბ მენთეშაშვილი**, რომელიც "ზესტაფონს" ზამთარში შეუერთდა და ახალი გუნდის შემადგენლობაში დებიუტი ჯერ არ ჰქონია. მისი მდგომარეობა მთლად საგანგაშოც არ არის, მაგრამ გამოცდილ ნახევარმცველს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები კვლავ შეექმნა და თამაშს ჯერ ვერ განაახლებს.

ლეგიონერი

მარცვალაძე ფილმში გადაიღეს

ფილმი, სახელად "ორი ფორვარდი" სპორტული კინოსა და ტელევიზიის მესამე საერთაშორისო ფესტივალის ფინალისტი გახდა. ჩვენთვის კი ეს ამბავი იმითაა საინტერესო, რომ ამ ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირი **ოთარ მარცვალაძეა.**

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი დოკუმენტურ ფილმში მაშინ გადაიღეს, როცა ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ღირსებას იცავდა. **კრისტინა აგასიანის** ფილმში "ვოლგას" შიერ რუსეთის პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგისკენ განვლილი გზაა ასახული, განსაკუთრებული ყურადღება კი გუნდის ორი თავდამსხმელის, მარცვალაძისა და **ანტონ ხაზოვის** კარიერასა და ცხოვრებაზეა გამახვილებული. შეგახსენებთ, მარცვალაძე "ვოლგას" ლიდერი და პირველი დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი იყო, სულ ცოტა ხნის წინ კი "კრასნოდარს" მიაშურა.

"ფილმის შომზადებაში ყველა ზე მეტად მარცვალაძე და ხაზოვი დამეხმარნენ, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი. მათ დამტკიცეს, რომ ცხოვრებაშიც და ფეხბურთშიც ყველა სიძნელის გადალახვა შეიძლება. ჩვენი მთავარი მიზანი ის არის, რომ ჩვენი ნამუშევარი მომავალ ფეხბურთელებს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმაროს", - განაცხადა კრისტინა აგასიანმა, რომელიც, რეჟისორობის პარალელურად, "ვოლგას" ტელევიზიის რედაქტორია.

ვიტ ჯორჯია

ვეტერინარებმა მცველი დაიმატეს



გიორგი გეთიაშვილი

"ვიტ ჯორჯიამ" ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე საკმაოდ იაქტიურა და კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა: ვეტერინართა ღირსებას ამიერიდან ცენტრალური მცველი **გიორგი გეთიაშვილი** დაიცავს. იგი 21 წლისაა და "ვიტ ჯორჯია" მის კარიერაში მხოლოდ მეორე კლუბია. აქამდე თბილისის "დინამოს" წევრი იყო, თუმცა იქ მთავარ გუნდში ვერ დამკვიდრდა.

ქართველ გულშემატკივარს გეთიაშვილი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიდან უნდა ახსოვდეს, სადაც ხშირად ინვევდნენ. **ოთარ გაბელიას** ხელმძღვანელობით მას ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშა.

უახლოეს პერიოდში გიორგი "ვიტ ჯორჯიას" დუბლებში ითამაშებს, რის შემდეგაც პირველი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლადაც იბრძოლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● სამწვრთნელო ცვლილებები

სიონს ბაჯელიძე მიხედავს

როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო ბოლნისის "სიონის" ხელმძღვანელობამ სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები განახორციელა. მართალია, **ვახტანგ ჩაგელიშვილისა** და **ჯონი ჯაგიდისის** „დუეტი'' თანამდებობაზე დატოვეს, მაგრამ გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტად **ლევან ბაჯელიძე** დანიშნეს. კონსულტანტად, ალბათ, იმიტომ, რომ ლიცენზიას არ ფლობს, თორემ "სიონის" ფაქტობრივი მთავარი მწვრთნელი სწორედ იგი იქნება. ბაჯელიძეს, რომელსაც "სიონის" შემადგენლობაში არაერთი სეზონი ჩაუტარებია, ბოლო წლებში კლუბის სპორტული დირექტორის პოსტი ეკავა.

ლევან ჯანეზაშვილი

სპარტაკს ხაჩიძე დაუბრუნდა

გუშინ ცხინვალის „სპარტაკს" მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. **ბადრი კვარაცხელიამ,** რომელიც გუნდს გასული წლის 1-ელ ოქტომბრიდან ხელმძღვანელობდა, პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. გუნდს უახლოესი მატჩი კვირას, 18 სექტემბერს „გაგრასთან" სტუმრად უწევს. რა თქმა უნდა, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური დიდხანს ვერ დარჩებოდა, კლუბის ხელმძღვანელობამ ვითარებიდან გამომდინარე იმოქმედა და არჩევანი **ვლადიმერ ხაჩიძეზე** შეაჩერა, რომელიც 2009-10 წლებში სწორედ „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი იყო და შედეგიც კარგი ჰქონდა.

ხაჩიძე უკვე შეუდგა „სპარტაკში" მუშაობას და გუნდს „გაგრასთან" საკვირაო მატჩისთვის მოამზადებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ვლადიმერ ხაჩიძე

● საავარაუდო ტრანსფერი

ირაკლი მოდებაძის ძმა ჩიხურაშია

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის - **ირაკლი მოდებაძის** (რუსთავის „მეტალურგი)" ძმა, **გოგა მოდებაძე** საჩხერის „ჩიხურაშია" და გუნდთან ერთად უკვე რამდენიმე ვარჯიშიც ჩაატარა.

მოდებაძე ზამთრის სანტრანსფერო პერიოდში, საკუთარი ძმის გუნდში იმყოფებოდა სინჯებზე ,თუმცა „მეტალურგის" ხელმძღვანელობისთვის თავის მონონება ვერ შეძლო.

მანამდე ქართველი აზერბაიჯანულ „თურანში" თამაშობდა და რევაზ ძოძუაშვილის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლების შემდეგ, გუნდი დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ფეხბურთელთან კონტრაქტს იმერლები უახლოეს დღეებში გააფორმებენ.

„ჩიხურა" პირველი ლიგის „ „ბ" ზონაში პირველ ადგილზე იმყოფება და გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასვლას თუ ვერ მოახერხებს, კონტრაქტის პირობების თანახმად, ყველა ფეხბურთელს სეზონის ბოლოს კლუბის დატოვება მოუწევს.

მაგდა კლდიაშვილი

გოგა მოდებაძე (მარჯვნივ)

● საქართველოს თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

დილა-აეტი 3:0

(პირველი მატჩი-2:0)
13.09.ბორი. თ.ბურჯანაძე.
500 მაყურებელი

1:0 ნ. ნოზაძე (17), 2:0 ვ. ნემსაძე (33), 3:0 ი. ბერაია (63)

დილა: მ. მერლანი, დ. ჭითანავა, ვ. ჯოჯუა, ვ. ხორგუაშვილი (40. ი. რუსიშვილი), ო. ცარიელაშვილი, ვ. ნემსაძე, ნ. ნოზაძე, რ. ახალკაცი (46. ა. სირბილაძე), ნ. სადაღაშვილი (61. ლ. კოშაძე), ი. ბერაია, დ. ჩაგელიშვილი

სათადარიგოები: ბ. შეყრილაძე, გ. ახვლედიანი, ვ. მურადაშვილი, დ. ბაქრაძე

მწვრთნელი: გ. ცეცაძე

აეტი: ლ. ეზიეშვილი (46. ო. ბეღელური), ლ. ბიწაძე, თ. მეტრეველი, გ. ბაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, გ. ვასაძე (46. გ მალაზონია), ვ. ჭაბუკიანი, გ. ნარსია, თ. ქართლელიშვილი, ლ. ჩუხუა (46. გ. ყულიჯანიშვილი), გ. გრიგალაშვილი

სათადარიგოები: ნ. ზაქარიაძე, გ. ბაკურაძე

მწვრთნელი: ო. სოხაძე

გაფრთხილება: დ. ჭითანავა

არბიტრი: ბ. ნინუა

ლოკომოტივი-ჩიხურა 2:2

(პირველი მატჩი-0:5)
13.09.საგურამოს სპორტული კომპლექსი.
50 მაყურებელი

0:1 გ. ქიმაძე (17), 1:1 გ. გურეშიძე (35), 2:1 გ. მჭედლიშვილი (47), 2:2 ლ. ჭელიძე (90)

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. მჭედლიშვილი, დ. საჯაია, გ. გურეშიძე, ლ. კვარაცხელია (68. დ. გუჯაბიძე), დ. ბაქრაძე, ნ. შერაზადიშვილი (74. გ. რეზესიძე), დ. მიქავა, ა. გუგუშვილი, გ. ბაქრაძე, გ. შარანგია (56. გ. კაპანაძე)

სათადარიგოები: ა. ძიძიგური, ბ. ტყემალაძე

მწვრთნელი: გ. ჩიტაური.

ჩიხურა: ზ. მწყერაშვილი, ე. ზივზივაძე, გ. ცარციძე, ლ. ჭელიძე, ნ. გუშარაშვილი, ლ. ჩიკვაიძე, ლ. ნოზაძე (82. ჯ. ბერიანიძე), გ. სალარიძე, გ. სილაგავა, გ. ქიმაძე, ა. ივანიშვილი (62. ი. ზაბახიძე)

სათადარიგო: რ. თევდორაძე

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

გაფრთხილება: ნ. გუშარაშვილი

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

კოლხეთი (ფ)-კოლხეთი (ხ) 1:0

(პირველი მატჩი-1:2)
13.09. ზუგდიდი. „ბ. თუთბერიძე".
500 მაყურებელი

1:0 ლ. ციცხვაია (61)

კოლხეთი (ფ): ლ. ნადირაშვილი, პ. ცხვიტარია, ა. ინნკირველი, ლ. შავგულიძე, გ. ლემონჯავა, პ. დათუნაიშვილი, ვ. ლომაშვილი, ო. გოგონაია (62. ლ. თედიაშვილი), ზ. ჯანაშია, ლ. გვალია (62. გ. ცხადაია), მ. წიქარიშვილი (31. დ. ციცხვაია)

სათადარიგოები: მ. ბობღლიაშვილი, ლ. გულუა, ლ. ქებაძე, ლ. მდივნიშვილი

მწვრთნელი: ს. ფილია

კოლხეთი (ხ): დ. ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, რ. ცობეხია (62. გ. ლომაია), ც. ბუკია, ლ. ჩაჩიბაია, ლ. მეფიშვილი, მ. ბესარაშვილი, ი. კუტალია (75. კ. ალანია), მ. ჭკადუა, პ. ბაკარანძე

სათადარიგოები: ი. გერგაია, ბ. ბუკია, პ. გაბრავა, დ. ნარსია, ზ. გელაშვილი

მწვრთნელი: კ. ხურცილავა

გაფრთხილება: პ. დათუნაიშვილი; რ. ცობეხია, მ. ჭკადუა

გაძევება: მ. ლომაშვილი; პ. ბაკარანძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

სტერი-ზერანი 0:1

(პირველი მატჩი-0:0)
13.09.წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია".
500 მაყურებელი

0:1 გ. სამადაშვილი (59)

სტერი: ტ. ხარჩილავა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ზ. მოლაშხია (86. ა. მიქენაია), გ. შელია (55. გ. ჭკუასელი), შ. გაბუნია (65. ლ. ბოჯგუა), ლ. გაბუნია, ბ. სვანიძე, გ. სართანია, ა. სოხინი, გ. კვირკვია

სათადარიგოები: ზ. ღარიბაშვილი, ნ. ჯოლოგუა, გ. ლუკავა, გ. წურწუმია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

ზერანი: გ. შენგელია, ლ. ჭაფოძე, გ. ნოწორია, გ. ჟვანია, თ. შალიკაშვილი (85. კ. მელიავა), გ. მემარნიშვილი, გ. დიდავა, გ. მანწკავა, დ. ქამუშაძე (71. ო. ტორაძე), მ. გოგიშვილი, გ. სამადაშვილი (66. ლ. ჩალაძე)

სათადარიგოები: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი, გ. ამბროლაძე, ჟ. იატრო

მწვრთნელი: მ. ჟვანია

გაფრთხილება: ლ. გაბუნია

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

მესხეთი-ზორაბადო 1:6

(პირველი მატჩი-0:2)
13.09. ქუთაისი. „ტორპედოს"
საწვრთნელი ბაზა. 100 მაყურებელი

0:1 ნ. საბანაძე (3), 0:2 ნ. მანჩხავა (25), 0:3, 0:4 გ. იოსელიანი (30, 64), 1:4 ი. ცნობილაძე (67), 1:5 რ. გოცირიძე (82, პენალტით), 1:6 გ. იოსელიანი (89)

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, დ. ლეკიშვილი, დ, ხანიშვილი (42. გ. წინამძღვრიშვილი), ო. დარჩია, ზ. ბარძიმაძე, კ. ხანიშვილი, გ. მურმანიშვილი, დ. ინასარიძე (68. გ. ქურდაძე), ზ. სუდაძე (55. გ. მურადაშვილი), დ. ტლაშაძე, ი. ცნობილაძე

სათადარიგო: გ. გეგორქიანი

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

ტორპედო: მ. ქვილითაია, ც. ხარაბაძე, დ. გამეზარდაშვილი, თ. ფარულავა, ნ. მანჩხავა (57. დ. კირკიტაძე), გ. იოსელიანი, თ. თარხნიშვილი, ვ. ტაბატაძე, გ. გურული, ნ. საბანაძე (46. გ. კუხიანიძე), რ. გოცირიძე

სათადარიგოები: ო. მიგინეიშვილი, დ. ფოფხაძე, გ. დათუნაიშვილი, დ. დიღმელაშვილი, გ. მეგრელაძე

მწვრთნელი: გ. კიკნაძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

ნ. დინამო-სიონი 1:1 (აეტ 4:5)

(პირველი მატჩი-1:1)
13.09. თბილისი. „შატილი".
300 მაყურებელი

1:0 ა. შენგელია (84), 1:1 გ. ქუცურუა (87)

ნ. დინამო: მ. ნონოსი, გ. ლომიძე, ზ. ძაგანია, ა. ჩუენსუ, გ. ჟვანია, გ. თანიაშვილი (65. თ. ჩარგეიშვილი), გ. ოქრუაშვილი, ი. ქავთარაძე (50. ა. შენგელია), ვ. ჭანტურიშვილი, ლ. ლაბარტყავა, ი. ჩახვაშვილი (68. ზ. დათუნაშვილი)

სათადარიგოები: ა. ბილიხოძე, გ. კვანტალიანი, ი. ხელაძე, ზ. ქარდავა

მწვრთნელი: ი. შენგელია

სიონი: ვ. ზუხბაია, მ. კობაური, დ. სვანიძე, გ. ოქროპირიძე, ს. ადამაშვილი (72. ა. ნოზაძე), შ. გაბრეჭიძე, გ. კობერიძე, ლ. ჩხეტიანი, გ. ქუცურუა, მ. ოქროპირიძე (46. ზ. ხურციძე), ვ. ისიანი (46. ლ. კემუხტაშვილი)

სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ლ. ნინიკაშვილი, გ. გიორბელიძე, ლ. ალფაიძე.

მწვრთნელი: ვ. ჩაგელიშვილი

გაფრთხილება: ი. ჩახვაშვილი, ზ. ძაგანია, ა. ჩუენსუ; ვ. ზუხბაია, გ. ქუცურუა, ლ. ჩხეტიანი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

ზოოვეტი-სპარტაკი 2:2

(პირველი მატჩი-0:4)
14.09. თბილისი. „ოლიმპიკი".
500 მაყურებელი

1:0 ლ. ლობჟანიძე (26), 2:0 თ. ჯიმშელეიშვილი (36), 2:1, 2:2 თ. შონია (53, 59)

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, შ. გალეგაშვილი, თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, თ. მოსიაშვილი (58. მ. მახათაძე), გ. ხუციშვილი. ი. ჯოჯიშვილი, ს. ლორთქიფანიძე, ლ. ლობჟანიძე (58. უ. მამულაშვილი), გ. ჯოხაძე (46. გ. კუხალაშვილი), ზ. ტიელიძე

სათადარიგოები: მ. ბაბაიანი, ი. სვანიძე, ი. მღებრიშვილი, ბ. ბარბაქაძე

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

სპარტაკი: ნ. დაუშვილი, გ. სეფიაშვილი (46. კ. შალამბერიძე), ფ. ბოიომო, უ. ბურძენაძე, გ. ხუბუა, გ. თიბილაშვილი, თ. შონია, ზ. რუხაძე (67. ზ. ქანთარია), ნ. მაისურაძე (58. ბ. ტეტუნაშვილი), დ. გელაშვილი, თ. შარაშენიძე

სათადარიგოები: ლ. ძაგანია, გ. მამუჩაშვილი, კ. კაკაშვილი

მწვრთნელი: ბ. კვარაცხელია

გაფრთხილება: თ. მოსიაშვილი, ზ. ტიელიძე, მ. ძიძიგური; კ. შალამბერიძე, თ. შონია, თ. შარაშენიძე

არბიტრი: ი. ურუშაძე

სტუ-ვიტ ჯორჯია 0:6

(პირველი მატჩი-1:2)
14.09. თბილისი. „შატილი".
200 მაყურებელი

0:1 გ. კორიფაძე (3), 0:2 გურ. გურეშიძე (17), 0:3 ბ. ჩიმაკაძე (23), 0:4 გ. სიჭინავა (44, საკუთარ კარში), 0:5 გ. ვასაძე (73), 0:6 ი. სიხარულიძე (77)

სტუ: ა. აბულაძე, ნ. ბინკინაშვილი, გ. სიჭინავა, ზ. ჭავჭავაძე, ა. ლეფავა, ლ. ციკოლია, გ. ჯიშკარიანი (50. ლ. ცხოიძე), ზ. შერაზადიშვილი (75. გ. ბიბილეიშვილი), გ. გოგატიშვილი, ა. ბაგაშვილი (64. ნ. მახვილაძე), ჯ. კოლუა

სათადარიგოები: ლ. თვალავაძე, ლ. საბაძე, ა. ლაღაძე

მწვრთნელის ასისტენტი: პ. გასვიანი

ვიტ ჯორჯია: გ. ძაძამია, დ. ხურცილავა, ლ. კასრაძე, გ. ადამაძე (46. ჯ. გოგიაშვილი), რ. ღანიაშვილი, გ. ჯანელიძე, გ. ვასაძე, გ. კორიფაძე (46. გ. ოთარიშვილი), გურ. გურეშიძე, გ. ჯუღელი, ბ. ჩიმაკაძე (59. ი. სიხარულიძე)

სათადარიგოები: ჯ. რეჭია, გიორგი გურეშიძე, ბ. ზაქრაძე, დ. მაისაშვილი

მწვრთნელი: ზ. ბერიძე

გაფრთხილება: ლ. კასრაძე, გურ. გურეშიძე.

არბიტრი: ჯ. ხორავა

სულორი-სამგრელია 3:0

(პირველი მატჩი-1:1)
14.09. ვანი. „გ. ნიკოლეიშვილი".
300 მაყურებელი

1:0 ნ. გიორგაძე (15), 2:0 ი. ხვადაგიანი (71, საკუთარ კარში), 3:0 კ. გოგაძე (73)

სულორი: დ. ხურციძე, ვ. ნუცუბიძე, ლ. გაბუნია, ა. ქებულაძე, თ. კუხიანიძე, პ. ბელთაძე, ნ. გიორგაძე (77. ბ. მჭედლიძე), გ. ორბელაძე (64. გ. ნიკოლეიშვილი), მ. ნაფეტვარიძე, თ. მაღლაკელიძე (40. კ. გოგაძე), გ. დიაკონიძე

სათადარიგოები: ი. დვალიშვილი, გ. ბრეგვაძე, ნ. ბრეგვაძე, კ. კვიმსაძე

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

სამეგრელო: ნ. ბანძაკარი. ნინოწმინდა-ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე, დ. ჩხიკვაძე, ტ. რუხაია (52. ს. მიქაძე), ი. ხვადაგიანი (72. ბ. ახობაძე), კ. ბროლაძე (81. ლ. სუთიძე), შ. კერძეკვაძე, პ. შათირიშვილი

სათადარიგოები: ი. შენგელია, გ. რუხაძე, გ. პერტაია, ს. ლეჟავა

მწვრთნელი: კ. მიქაძე

გაფრთხილება: გ. ორბელაძე, კ. გოგაძე; ზ. მიქელთაძე

არბიტრი: ა. გუნთაძე

მერცხალი-დინამო (ბ) 0:4

(პირველი მატჩი-0:3)
14.09. ოზურგეთი. „მეგობროგა".
100 მაყურებელი

0:1 ა. ბაციკაძე (17, პენალტით), 0:2 ნ. ნასუაშვილი, 0:3, 0:4 მ. ჯორბენაძე (49, 88)

მერცხალი: ი. მურუსიძე (46. ბ. გოლიადე), თ. ჩხატარაშვილი, ზ. ხუციძე, გ. ყაჭეიშვილი, თ. ვარდუაშვილი, ნ. მაჭავარიანი (46. გ. პაპკოვი), ლ. ათუაშვილი, გ. გოგუა, ლ. კოტრიკაძე, ი. ხეცურიანი, ი. ბაჯელიძე (52. ს. ვ. ჩიგოგიძე)

სათადარიგო: გ. ტყეშელაშვილი

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

დინამო: შ. მამინაშვილი, ნ. ხუხია, მ. ფარტენაძე, ლ. რამიშვილი, დ. სამსეიშვილი (46. ვ. თევდორაძე), დ. მალაზონია (53. ნ. დიასამიძე), ი. ცანავა (46. მ. ჯორბენაძე), გ. გოგიტიძე, ნ. ნასუაშვილი, კ. თოდაძე, ა. ბაციკაძე

სათადარიგოები: თ. კაკალაძე, მ. ჟვანია, კ. მაკარიანი, თ. ბერიძე

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

გაფრთხილება: ი. მურუსიძე

არბიტრი: ზ. ასკაროღლი

ჭიათურა-ბურია 2:1

(პირველი მატჩი-0:0)
14.09. ჭიათურა. „თ. მაღრაძე".
200 მაყურებელი

0:1 ნ. ტოროტაძე (19), 1:1 ზ. ნოზაძე (38), 2:1 გ. ქირია (90)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ზ. ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, ო. კურტანიძე (74. ს. გაბაძე, 90. ო. გაგნიძე), დ. ქირია, ზ. ნოზაძე, შ. ფირცხალავა, ლ. ბარათაშვილი (60. ჯ. ლაშხი)

სათადარიგოები: ლ. სარალიძე, გ. მეცხოვრიშვილი, ნ. ბაირამოვი, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელის თანაშემწე: მ. კიპაროიძე

ბურია: მ. გოგუაძე, რ. წილოსანი, თ. ლომაძე, ბ.წერეთელი. ლ. ინგოროყვა (81. ლ. ქინქლაძე), ლ. ახალაია, ნ. ტოროტაძე, ნ. ეგრალიძე, ნ. წერეთელი, ნ. ნარიაშვილი, ს. ფირცხალაიშვილი

სათადარიგოები: გ. ჩახვაძე, ზ. თავბერიძე

მწვრთნელის თანაშემწე: რ. ნარიაშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

ჩხერიმელა-ბაია 1:3

(პირველი მატჩი-1:0)
14.09. ხარაგაული. „ს. აბაშიძე".
200 მაყურებელი

0:1 გ. პაჭკორია (14), 0:2 ი. ქობალია (18), 1:2 დ. კოსტავა (63, პენალტით), 1:3 ი. ქობალია (80)

ჩხერიმელა: ი. ორბელაძე, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე (55. ბ. ახალაია), ა. ქაშაკაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ი. გვარჯალაძე, გ. თურმანიძე (40. გ. ბოხუა), ა. დოლონაძე, გ. ჭაავა, ო. გიორგობიანი, გ. ზაქარაშვილი (46. დ. კოსტავა)

სათადარიგოები: ლ. გუმბერიძე, გ. ივანაშვილი, მ. ლომსაძე, ლ. მახარაძე

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

ბაია: გ. სომხიშვილი, რ. კანკია, ნ. მგელაძე (46. ნ. აფაქიძე), გ. ქვარცხავა (46. დ. რიგვავა), ლ. კუკავა (73. ნ. შონია), ზ. სიხარულიძე, ა. ენდელაძე, გ. პაჭკორია, გ. სამუშია, ი. ეხვაია, ი. ქობალია

სათადარიგოები: ა. მაქაცარია, ა. ფარჯიკია, ი. ვეკუა, ვ. ტყემალაძე

მწვრთნელი: ვ. ქომეთიანი

გაფრთხილება: დ. ბერუაშვილი, ა. დოლონაძე; გ. სომხიშვილი, გ. პაჭკორია

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

მერვედფინალში ასპარეზობის უფლება მიპოვეს: „სიონმა", „დილამ", „სპარტაკმა", „ვიტ ჯორჯიამ", „ჩიხურამ", „სულორმა", „ბათუმის „დინამომ", „ბაიამ", „ტორპედომ". ზოოვეტის „კოლხეთმა", „ჭიათურამ" და „მერანმა". ამათგან, ოთხი გუნდი პირველი ლიგის წარმომადგენელია — „ჩიხურა", ბათუმის „დინამო", „სულორი" და „ჭიათურა". ამ თორმეტ გუნდს დაემატება „ზესტაფონი", თბილისის „დინამო", „მეტალურგი" და „ბაგრა" - ეს ოთხეული ამ ზაფხულს ევროტურნირებზე ასპარეზობდა და საქართველოს თასის გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაებმებიან. მერვედფინალის კენჭისყრა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 22 სექტემბერს, 12 საათზე ჩატარდება. პირველი მერვედფინალური მატჩები 28 სექტემბერს გაიმართება, საპასუხო შეხვედრები კი - 2 ნოემბერს.

● მოსაზრება

ინტერი ლიგის მილმა დარჩება

რომა ჯერ გუნდი არ არის

იტალიურ ფეხბურთს ბევრი ჰყავს ისეთი პერსონა, რომლებიც განსაკუთრებულს არაფერს აკეთებენ, სამაგიეროდ, კომენტარების გაკეთება უყვართ ამა თუ იმ საკითხზე და კრიტიკაც საკმაოდ კარგად გამოსდით. მართალია, ზდენეკ ზემანზე ვერ ვიტყვით, რომ ფეხბურთში შემთხვევითი კაცია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბოლო დროს მეტწილად სხვათა კრიტიკით გახლავთ დაკავებული. მიუხედავად ამისა, მის თითოეულ კომენტარს იტალიური პრესა აქტიურად აშუქებს და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ზემანმა "რომასა" და "ინტერის" პრობლემების შესახებ ისაუბრა და საკმაოდ ვრცლადაც. ახალი არ არის, რომ სეზონის სტსარტი ორივე გუნდისთვის მეტად მძიმე გამოდგა – "რომა" ევროპის ლიგის გათამაშებას გამოეთიშა, "ინტერმა" კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი "ტრაბზონსფორთან" საშინაო მარცხით გახსნა. რაც შეეხება სერია ა-ს, მეორე, ანუ პირველი ტურის შეხვედრები ორივე გუნდმა ჩააგდო, "ინტერი" სიცილიაზე დამარცხდა "პალერმოსთან", "რომამ" კი ანალოგიური საჩუქარი სარდინიელებს გაუკეთა, ოღონდ საკუთარ მოედანზე. ზემანს ყოველივე ამასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება აქვს...

რომა

რომაელების პრობლემები სახეზეა და დღეს თამანმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "რომა" ერთ მუშტად შეკრული გუნდი არ არის. რგოლებს შორის კავშირი აშკარად დარღვეულია, ფეხბურთელთა გარკვეული ნანილისათვის კი სერია A სრულიად ახალი სამყაროა და მასთან შესაგუებლად დროა საჭირო. დღესდღეობით, "ჯალოროსის" თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და რა იქნება ხვალ, ამას დრო გვიჩვენებს. ნებისმიერ შემთხვევაში, **ლუის ენრიკეს** გათავისუფლებაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. თუ **ტომას დი ბენედეტომ** არჩევანი მასზე შეაჩერა და ეს ნამდვილად ასეა, მაშინ უნდა აცალოს კიდეც და 90 წუთზე ბევრად მეტი მისცეს. ვერ გეტყვით, რა შესაძლებლობების სპეციალისტია ესპანელი, მაგრამ როდესაც მწვრთნელად ნიშნავ, დროც საკმარისი უნდა მისცე.

ვიცი, რომ ტომას დი ბენედეტო ენრიკეს მხარს უჭერს და ეს ძალიან კარგია, მაგრამ მის სატრანსაფერო პოლიტიკას ვერაფრით დავეთანხმები. გუნდიდან ისეთი ფეხბურთელები გაუშვეს, რომლებიც კალჩოსთან იდეალურად იყვნენ შერწყმული. ახალ მოთამაშეებს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დრო სჭირდებათ. ვერ ვხვდები, რატომ უნდა გაუშვა გუნდიდან **მირკო ვუჩინიჩი**, თუ მასზე უკეთესის მოყვანას არ აპირებ. **ბოიან კრკიჩის** მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მას და ვერც ნებისმიერ სხვა რომაელ ფორვარდს ჩერნოგორიელზე მაღლა ვერ დავაყენებ.

ჩემი პროგნოზი "რომასთან" დაკავშირებით? – ძალიან რთულია რაიმე პროგნოზის გაკეთება, რადგან ლუის ენრიკეს შესაძლებლობებს არ ვიცნობ. რაც შეეხება შემადგენლობას, ვერ ვიტყვი, რომ უფრო ძლიერია, ვიდრე გასულ წლებში, ამიტომ, "რომას" მაქსიმუმ ევროსაგზურის მოპოვებისთვის მებრძოლ გუნდად მივიჩნევ.

ინტერი

მილანური გრანდის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ამ გუნდის შანსების მიმართ საკმაოდ სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ჩემი პირადი აზრით, "ნერაძური" ბევრად უფრო სუსტი იქნება, ვიდრე გასულ სეზონში და ამას აქვს თავისი ლოგიკური ახსნა. "ნერაძურის" წამყვანი ფეხბურთელები ასაკში შედიან და წლიდან წლამდე უკლებენ თამაშს, რაც გასულ სეზონში კარგად გამოჩნდა. გუნდის ლიდერობა **სამუელ ეტორომ** იტვირთა და ამ ზაფხულს **მასიმო მორატი** მასაც შეელია. სიმართლე გითხრათ, არ ვარ დარწმუნებული, რომ **მაურო სარატე** და **დიეგო ფორლანი** კამერუნელის ღირსეულად შეცვლას შეძლებენ. ამასთან, მილანელებმა რატომღაც **გორან პანდევიც** გაასხვისეს, არადა, მაკედონიელი მოედანზე კოლოსალურ სამუშაოს ასულებს. მოკლედ, მორატის სატრანსაფერო პოლიტიკას ვერაფერი გავუგე და შესაბამისად, "ინტერის" შესაძლებლობებში ეჭვი მეპარება. რაც შეეხება **ჯანპიერო გასპერინის**, მოაზროვნე სპეციალისტია და თუ კლუბის მესვეურები პირობებს შეუქმნიან, შესაძლებლობებს აუცილებლად გამოავლენს. პირობებში კი იმას ვგულისხმობ, რომ გრანდებში მწვრთნელის მოვალეობებში ხშირად ერევიან – ეს ნამდვილად ასეა და ვეჭვობ, რომ არც გასპერინი იქნება ხელშეუხებელი.

რაც შეეხება "ინტერის" შანსებს, ჩემი აზრით, მილანურ გრანდს ძალიან გაუჭირდება ჩემპიონთა ლიგის ზონაში შესვლა. მეტიც, ვგონებ, რომ სამეულს მილმა დარჩება.

ლაშა წიკლაური

● ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი

ფალკაო და დიეგო იწყებენ და იგებენ

ევროპალიგა ერთადერთი ქართველით დაიწყო

ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში გოლების ფიესტა მოიწყეს სტამბოლურმა „ბეშიქთაშმა", ბელგიურმა „ანდერლეხტმა" და ჰოლანდიურმა „ალკმაარმა". თურქებმა შინ თელ ავივის „ჰაპოელი" გაანადგურეს 5:1. 27 წლის პორტუგალიელმა **უგო ალმეიდამ** ამ მატჩში დუბლი შეასრულა. „ანდერლეხტის" რიგებში კი ჰეთ თრიკი 23 წლის არგენტინელმა **მატიას სუარესმა** შეასრულა. „ატლეტიკომ" 2:0 მოუგო ტურნირში „სიონის" ნაცვლად ბოლო წამს დაშვებულ „სელტიკს". აღსანიშნავია, რომ თავი მადრიდელთა ახალწვეულებმა გამოიჩინეს - ბრაზილიელმა **დიეგომ** ჯერ **რადამელ ფალკაოს** გაატანინა, მერე თავად შეაგდო.

ევროთასების განაცხადებში (ჯამში 80 კლუბში) სულ სამი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება და სამივე ევროპალიგაზე. მაგრამ რად გინდა - ამ სამიდანაც მოედანზე მხოლოდ ერთი ვიხილეთ - მოსკოვის „ლოკომოტივის" წინააღმდეგ გრაცში ითამაშა **გიორგი ფოფხაძემ**. ჰაიფას „მაქაბის" **ლადო დვალიშვილი** არსად ჩანდა, ხოლო „რუბინის" **სოლომონ კვერკველია** მხოლოდ სათადარიგო იყო. სხვათა შორის, ფოფხაძის გუნდის თამაში გვიან გაუმართავი განათების გამო დაიწყო.

A ჯგუფი

პაოკ (საბერ.)-ტოტენჰემი (ინგლისი) 0:0
შემროკი (ირლ.)-რუბინი (რუსეთი) 0:3
გოლები: 0:1 მარტინსი (3), 0:2 ნობოა (50), 0:3 კარადენიზი (60)

B ჯგუფი

ჰანოვერი (გერ.)-სტანდარდი (ბელგია) 0:0
კოპენჰაგენი (დანია)-ვორსლა (უკრ.) 1:0
გოლი: 1:0 ნორდსტრანდი (54-პენ)

C ჯგუფი

ჰაპოელი (ისრ.)-რაპიდი (რუმინეთი) 0:1
გოლი: 0:1 ჰერეა (55)
გაძევება: იადინი (90. ჰაპოელი), სურდუ (90. რაპიდი)
ჰსვ (ჰოლანდია)-ლეგია (პოლონეთი) 1:0
გოლი: 1:0 მერტენსი (21)

D ჯგუფი

ციურიხი (შვეიც.)-სპორტინგი (პორტ.) 0:2
გოლები: 0:1 ინსუა (4), 0:2 ვან ვოლფსვინკელი (21)
ლაციო (იტალია)-ვასლუი (რუმინეთი) 2:2
გოლები: 1:0 სისე (35-პენ), 1:1 ვესლეი (59), 1:2 ვესლეი (63-პენ), 2:2 სკული (71)
გაძევება: ძაური (63. ლაციო)

E ჯგუფი

დინამო (უკრაინა)-სტოკი (ინგლისი) 1:1
გოლები: 0:1 ჯერომი (55), 1:1 ვუკოევიჩი (90)
ბეშიქთაში (თურ.)-მაძაბი თ. (ისრ.) 5:1
გოლები: 1:0 ალმეიდა (3), 2:0 ალმეიდა (28), 2:1 კეპატი (48), 3:1 აურელიო (50), 4:1 კორკმაზი (53), 5:1 ედუ (88).

F ჯგუფი

სლოვანი (სლოვაკ.)-ბილბაო (ესპ.) 1:2
გოლები: 0:1 სუსაეტა (13), 1:1 გუედი (34), 1:2 მუნიაინი (40)
ჰსუ (საფრ.)-ზალცბურგი (ავსტრია) 3:1
გოლები: 1:0 ნენე (35-პენ), 2:0 ბოდმერი (44), 3:0 მენეზი (68), 3:1 სეკაგია (87)

G ჯგუფი

ალკმაარი (ჰოლ.)-მალმიო (შვედეთი) 4:1
გოლები: 1:0 ალტიდორი (21), 2:0 ელმი (33-პენ), 3:0 მაჰერი (39), 4:0 ჰოლმანი (49), 4:1 ლარსონი (72-პენ)
აუსტრია (ავსტრია)-მეტალისტი (უკრ.) 1:2
გოლები: 1:0 იუნი (7), 1:1 გიე (56), 1:2 ქსაკიერი (79)

H ჯგუფი

ბრიუგე (ბელგია)-მარიბორი (სლოვენ.) 2:0
გოლები: 1:0 ოჯიჯა ოფოე (7), 2:0 დირარი (24)
გაძევება: რაიჩევიჩი (85. მარიბორი)
ბირმინგემი (ინგ.)-ბრაგა (პორტ.) 1:3
გოლები: 0:1 ბარბოზა (7), 0:2 ლიმა (59), 1:2 კინგი (71), 1:3 ბარბოზა (88)

I ჯგუფი

უდინეზე (იტალია)-რენი (საფრ.) 2:1
გოლები: 0:1 ჰაჯი (19), 1:1 დი ნატალე (39), 2:1 არმერო (83)
ატლეტიკო (ესპ.)-სელტიკი (შოტ.) 2:0
გოლები: 1:0 ფალკაო (3), დიეგო (68)

J ჯგუფი

მაძაბი ჰ. (ისრაელი)-აეკ (კვიპროსი) 1:0
გოლი: 1:0 ღადირი (54)
გაძევება: მურილიო (82)
სტიაუა (რუმინეთი)-ზალკე (გერმანია) 0:0

K ჯგუფი

ვინსლა (პოლონეთი)-ოდენსე (დანია) 1:3
გოლები: 0:1 იოჰანსონი (36), 1:1 კირმი (54), 1:2 უტაკა (81), 1:3 იენსენი (90)
ფულჰემი (ინგ.)-ტვენტე (ჰოლანდია) 1:1
გოლები: 1:0 ჯონსონი (19), 1:1 ლ. დე იონგი (41)

L ჯგუფი

ზტურმი (ავსტრია)-ლოკომოტივი (რუს.) 1:2
გოლები: 1:0 საბიჩსი (14), 1:1 ობინა (28), 1:2 სიჩევი (29)
ანდერლეხტი (ბელგ.)-აეკ (საბერ.) 4:1
გოლები: 1:0 სუარესი (16), 2:0 იოვანოვიჩი (33), 2:1 ლეონარდო (36), 3:1 სუარესი (40), 4:1 სუარესი (84)
გაძევება: მანოლასი (77. აეკ)

ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი ცენტრი
FutureWorld გთავაზობთ:

- ენების შესწავლა ჯგუფურად და ინდივიდუალურად!
- მოსამზადებელი კურსები PET, FCE, CAE, CPE, IEILTS, TOEFL.
- საბავშვო საერთაშორისო Helen O'Grady ინგლისური ენის დასმნრე.
- საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში.
- აბიტურიენტების მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის.
- სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის
- კურსდამთავრებულთათვის გაცვლა შესაბამისი სერთიფიკატი.

FutureWorld
ჩვენი მისამართია:
თბილისი, საბურთალო,
მიცკევიჩის ქ. 17, ბ. 10
238-22-96, 599-53-61-96
www.futureworld.ge

● ამბები

კრიშტიანო 500

ზაგრების „დინამოსთან" მატჩი მე-500 იყო კრიშტიანო რონალდოს პროფესიულ კარიერაში. 26 წლის პორტუგალიელმა საკლუბო დონეზე 416 მატჩი ჩაატარა („სპორტინგი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალი"), დანარჩენი კი სანაკრებო მატჩებზე მოდის. 500 შეხვედრაში „რეალის" ლიდერმა 244 გოლი გაიტანა, ანუ თითქმის ყოველ ორ მატჩში ერთი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

დიეგოს ბრწყინვალე დებიუტი

„ალმერიადან" „ვალენსიაში" გადასულმა **დიეგო ალვეშმა** შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა - 26 წლის ბრაზილიელი **უნაი ემერიმ** „გენკთან" მატჩში კარში ჩააყენა და ალვეშმაც ფანტასტიკურად ითამაშა. თუმცა შაბათს, ჩემპიონატის მატჩში მას ისევ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს დაჯდომა - „სპორტინგთან" „ღამურების" კარს **ვისენტე გუაიტა** დაუბრუნდება. დიეგო ალვეშმა „მარკასთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამისგან ტრაგედიას არ შექმნის: *„მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ ითამაშებს. მთავარია, რომ ემერი თავის გამოჩენის შანსს მეც მაძლევს. რა თქმა უნდა, რომ ვითამაშო, გამიხარდება, მაგრამ ჩემს შანსს კიდევ მოთმინებით დაველოდები"*, - განაცხადა ბრაზილიელმა. ალვეში „ატლეტიკო მინეიროდან" გადავიდა „ალმერიაში", სადაც 4 სეზონი გაატარა. „ღამურებმა" მას დიდი ხნის წინათ დაადგეს თვალი, თუმცა ტრანსფერი ამ ზაფხულს შედგა, დებიუტი კი სნორედ „გენკთან" იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უცხოური ფეხბურთი

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

ინტერს სულ არ რცხვენია?!

იტალიამ ნაპოლით უნდა იამაყოს

„რეალს“ ზაგრებიდან სამი ქულის წაღება გაუჭირდა, „ინტერი“ კი საშვილიშვილოდ შერცხვა: ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებმა ვერ ივარგეს. სიკვდილის ჯგუფში „ბაიერნი“ გალიდერდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლისაბონში კინაღამ გამწარდა, მოსკოვის ცსკა-მ კი „ლილს“ ქულა ბოლო წუთზე წაართვა.

შთაბეჭდილებები ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვაში:

A ჯგუფი

მანჩესტერ სიტი-ნაპოლი 1:1

გოლები: 0:1 კავანი (69), 1:1 კოლაროვი (74)
ბურთის ფლობა: 61%:39%, **დარტყმები**: 24:12, **კუთხურები**: 9:8
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ედინსონ კავანი (ნაპოლი)

სიკვდილის ჯგუფში პირველმა ტურმა ყველაზე მეტად „ბაიერნი“ გაახარა: ჯერ ერთი, რეკორდმაისტერმა თავისი თამაში მოიგო, თანაც სტუმრად (2:0 ვილიარეალთან) და თანაც, პარალელურ მატჩში მიუნხენური გრანდის მთავარმა კონკურენტებმა ფრე ითამაშეს. თამამად ვთქვათ: „ნაპოლისგან“ ასეთ კარგ თამაშს არავინ ელოდა. მანჩესტერელებმა თავიდანვე შეუტიეს და მოედანზე კონტროლი დაამყარეს, მაგრამ ნეაპოლელებმა თავიანთი თამაში მალევე იპოვეს და მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა „სიტის“ დაუტოვეს, თუკი რომელიმე გუნდზე უნდა ვთქვათ, ეფექტურად თამაშობდაო, პირველ რიგში „ნაპოლიზე“.

რობერტო მანჩინიმ შეტევები **სერხიო აგუეროსა** და **დავიდ სილვაზე** ააგო, რომლებიც ძალიან აქტიურობდნენ. „სიტი“ მოკლე პასებით და სწრაფი ფეხბურთით ცდილობდა „ნაპოლისთვის“ თავგზის აბნევას, მაგრამ ბოლო მომენტში იტალიური კლუბის მცველები ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და სილვა-აგუერო-**ჯეკოს** ტრიოს მშვენივრად უმკლავდებოდნენ. „ნაპოლი“ კი კონტრშეტევებზე ძალიან სახიფათო იყო: განსაკუთრებით **ეზიკილ ლავეცი** და **ედინსონ კავანი** აქტიურობდნენ. ლავეციმ მე-18 წუთზე ბურთი მანჩესტერელთა კარის ძელს მოარტყა, მერე კი აგუეროს შესანიშნავი პასის შემდეგ, **იაია ტურეს** მასპინძელთა დაწინაურება შეეძლო.

მეორე ტაიმში **ვალტერ მაძარის** გუნდი უფრო აქტიური და ეფექტური გახდა. მისი ვიზავის, მანჩინის ბიჭების იერიშები კი ზედმეტად ერთფეროვანი გახლდათ. 49-ე წუთზე **ვენსან კომპანიმ ჰამშიკის** დარტყმული ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა (სიტის მეკარე **ჯო ჰარტი** იმ მომენტში უკვე უძლური იყო). მეორე ტაიმის შუაში „ნაპოლის“ კონტრშეტევები იმდენად სახიფათო გახდა, რომ ცხადი იყო, „სიტის“ კარში გოლი მწიფდებოდა: 69-ე წუთზე **კრისტიან მაჯოს** მართლაც უნაკლო პასით კავანი მანჩესტერელთა საჯარიმოში შეიჭრა და ჰარტი უშანსოდ დატოვა - ლოგიკური 0:1.

თუმცა მასპინძლები თამაშში მაინც დაბრუნდნენ: 73-ე წუთზე აგუერომ **დე სანკტისის** კარის ძელი შეაზანზარა, ზუსტად ერთ წუთში კი ანგარიში გათანაბრდა: **ალექსანდერ კოლაროვმა** საჯარიმოს მისადგომებიდან საჯარიმო დარტყმა ჩვეულ სტილში შეასრულა და ისიც უნდა ითქვას, რომ დე სანკტისს ამ დარტყმის მოგერიება მართებდა, რადგან ბურთი ახლო კუთხეში ისე გაუშვა, რეაქციაზე არც უფიქრია.

საბოლოო ჯამში ფრე ლოგიკური შედეგია, აპლოდისმენტებს კი ნეაპოლელები იმსახურებენ.

ვილიარეალი-ბაიერნი 0:2

გოლები: 0:1 კროოსი (7), 0:2 რაფინია (76)
ბურთის ფლობა: 43%:57%, **დარტყმები**: 7:13, **კუთხურები**:L2:4
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ტონი კროოსი (ბაიერნი)

„ბაიერნმა“ ვილა-რეალში თავისი საქმე ზუსტად იქიდან გააგრძელა, სადაც ფრაიბურგში შეწყვიტა: რეკორდმაისტერი ისევ დომინირებდა, გოლებიც გაიტანა და თუ უფრო დიდი ანგარიშით ვერ მოიგო, მხოლოდ იმიტომ, რომ „ვილიარეალი“ „ფრაიბურგზე“ გაცილებით ძლიერი გუნდია. შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, როცა **ფრანკ რიბერიმ ტონი კროოსი** გოლით დააგვირგვინა, რითაც მატჩის ბედი 76-ე წუთზე გადაწყვიტა.

დარჩენილ დროში „ვილიარეალს“ **მანუელ ნოიერის** კართან ხიფათი აღარ შეუქმნია, რაც იმასაც ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერის მეკარეს 658-წუთიანი მშრალი სერია აქვს. ამასთან, „ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგაში ბოლო შვიდი სასტარტო შეხვედრა მშრალი ანგარიშით აქვს მოგებული.

B ჯგუფი

ინტერი-ზრაბზონი 0:1

გოლი: 0:1 ჩელუსტკა (76)
ბურთის ფლობა: 52%:48%, **დარტყმები**: 16:5, **კუთხურები**: 9:2
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მაურო სარატე (ინტერი)

ფაქტი იყო, რომ პირველი ტური სერიოზული სენსაციის გარეშე არ ჩაივლიდა და ამჯერად მილანის „ინტერს“ არ გაუმართლა. „ტრაბზონსპორმა“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ „ფენერბაჰჩე“ ცნობილი სკანდალის გამო დასაჯეს, ჩემპიონთა ლიგის 2010 წლის გამარჯვებული მისსავე „ჯუზეპე მეაცაზე“ დაამარცხა.

თამაში უკლასო და საყურებლად უინტერესო გახლდათ. „ნერაძური“ ფსევდო-უპირატესობას ფლობდა - მილანელები თურქული კლუბის კართან ხიფათს უმეტესად ვერ ქმნიდნენ. თუკი „ინტერიდან“ ვინმეზე ითქმის, აქტიურობდაო, ეს მხოლოდ **მაურო სარატეა**, რომელსაც 32-ე წუთზე შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ ტრაბზონელთა მეკარე **თოლგამ** მისი დარტყმა შესანიშნავი რეფლექსით მოიგერია.

უჩვეულოდ სუსტი იყო **ვესლი სნეიდერიც** - ჰოლანდიელმა თურქების კართან ხიფათი სტანდარტულებითაც კი ვერ შექმნა, მისი ჯარიმები ან „ცოცხალ კედელს“ ხვდებოდა, ანაც თოლგას მისდიოდა პირდაპირ ხელებში. ანგარიშის გახსნის საუკეთესო შანსი კი მილანელთაგან შეცვლაზე შესულ **დიეგო მილიტოს** ჰქონდა, რომელმაც **ესტებან კამბიასოს** საოცნებო პასი ვერ გამოიყენა - თოლგასთან პირისპირ დარჩენილმა „ტრაბზონის“ მეკარეს ვერაფერი მოუხერხა.

„ტრაბზონსპორმა“ კი „ინტერის“ კართან ერთადერთი მომენტი შექმნა და ისიც გამოიყენა: **ჰალილ ალთინთოფმა** ბურთი „ნერაძურის“ კარის ძელს მოარტყა, იქიდან ასხლეტილი კი **ონდრეი ჩელუსტას** მიუვიდა, რომელმაც ბურთი „ინტერის“ კარში ვარდნით შეაგდო. „ტრაბზონმა“ გოლი 76-ე წუთზე გაიტანა და დარჩენილ დროში მილანელები უკონცეფციოდ, თავგზააბნეულები უტევდნენ, მაგრამ რეალური მომენტი ვერ შექმნეს. ასე რომ, ტრაპიზონელებს ანგარიშის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ.

ლილი-ცსკა 2:2

გოლები: 1:0 სოუ (45), 2:0 პედრეტი (57), 2:1 დუმბია (72), 2:2 დუმბია (90)
ბურთის ფლობა: 60:40, **დარტყმები**: 21:8, **კუთხურები**: 8:5.
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: სეიდუ დუმბია (ცსკა)

„ტრაბზონთან“ ერთად, ჯგუფში საკმი ქულით დანინაურება „ლილსაც“ შეეძლო. მეტიც: ფრანგები ვალდებულები იყვნენ, ცსკა დაემარცხებინათ, მაგრამ სამი ქულა უაზროდ გააჩუქეს. როცა 57-ე წუთზე 2:0-ს იგებ და ვერ მოიგებ, ამას სამი ქულის უაზროდ განიავება ჰქვია. პირველ ტაიმში „ლილი“ უკეთ გამოიყურებოდა, **მუსა სოუს** კი ფრანგების დაწინაურება მე-19 წუთზე შეეძლო, მაგრამ მაკრატელა დარტყმა გაუცუდდა. სამაგიეროდ, სოუმ მიზანი ტაიმის მიწურულს გაასწორა - ეს გახლდათ „ლილის“ პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგაში 2006 წლის დეკემბრის შემდეგ. სოუსთან ერთად, აქტიური იყო **ედენ ჰაზარი**. მეორე ტაიმიც იმავე სცენარით დაიწყო და 57-ე წუთზე **ბენუა პედრეტიმ ფლორენ ბალმონტის** პასით სხვაობა ორამდე გაზარდა.

ერთი შეხედვით, მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა და მოსკოველები თითქოს უშანსოდ იყვნენ, მაგრამ მერე ცსკა-ს და კერძოდ **სეიდუ დუმბიას** დრო დადგა, რომელმაც ჯერ ერთი ბურთი გაქვითა, მერე კი ბოლო წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა. ამრიგად, B ჯგუფს პირველი ტურის შემდეგ „ტრაბზონსპორის“ სახით სენსაციური ლიდერი, „ინტერის“ სახით კი სენსაციური აუტსაიდერი ჰყავს.

C ჯგუფი

ბაზელი-ოლიმპიული 2:1

გოლები: 1:0 ფ. ფრაი (39), 1:1 პენა (58), 2:1 ა. ფრაი (84-პენ)
გაძევება: სალაგეანუ (82. ოლიმპიული), ჰუგელი (87. ბაზელი)
ბურთის ფლობა: 63%:37%, **დარტყმები**: 6:14, **კუთხურები**: 7:3
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მარკო შტრელერი (ბაზელი)

„ოლიმპიულმა“ წააგო, მაგრამ დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის - ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით მეტი გამოცდილების მქონე „ბაზელმა“ **ბურთის ფლობა**: 39%:61%, **დარტყმები**: 15:5, **კუთხურები**: 9:5
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ნიკოლას გაიტანი (ბენფიკა)

სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავისი გუნდი ერთბაშად რვა პოზიციაზე შეცვალა, ყველაზე საინტერესო კი **დავიდ დე ხეას** ნაცვლად, კარში **ანდერს ლიდეგაარდის** დაყენება გახლდათ. შესაძლოა, ამითაც იყო გამოწვეული ის, რომ მანჩესტერელები ორმხრივი შეტევებით დატვირთულ მატჩში დაულაგებლები ჩანდნენ - „იუნაიტედი“ ქაოტურად უტევდა. სამაგიეროდ, მოწოდების სიმაღლეზე იდგა „ბენფიკა“, რაც განსაკუთრებით **აიმარსა** და **გაიტანზე** ითქმის, რომლებიც ინგლისელთა უკანახაზელებს მუდმივად წნეხის ქვეშ ამყოფებდნენ. მართალია, „მანჩესტერი“ ბურთს უფრო ხშირად ფლობდა, მაგრამ „იუნაიტედმა“ ამით სარგებლობა ვერ ნახა.

კარდოსოს გოლი, რომელიც მანჩესტერელების მიერ მარჯვენა ფლანგზე ბურთის დაკარგვას მოჰყვა, ლოგიკური იყო, რადგან მანამდე „ბენფიკა“ უფრო აქტიურობდა. ანგარიშის გათანაბრების პატივი კი, პირველი ტაიმის მიწურულს, უბერებელ **რაიან გიგზს** ხვდა წილად. 37 წლის ნახევარმცველმა მარჯვენა ფრთიდან ცენტრისკენ შეიწია და 17 მეტრიდან ბურთი ლისაბონელთა კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში ჩასვა.

ამ გოლით, ვეტერან უელსელს ზედიზედ 20 (!) სეზონში აქვს „მანჩესტერის“ ფორმით გოლი გატანილი. რაიანი ოთხშაბათს 37 წლის და 289 დღის იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია, რომელმაც გოლის გატანა შეძლო.

მეორე ტაიმში „მანჩესტერმა“ მეტად მოინდომა, მაგრამ „ბენფიკას“ უკეთესი მომენტები ჰქონდა: გოლების გატანა **ნოლიტოს**, გაიტანს და **ემერსონს** შეეძლოთ. საბოლოოდ კი - 1:1, რაც „ბენფიკასთვის“ ცუდი შედეგი არ არის და არც „მანჩესტერისთვისაა“ კატასტროფა.

D ჯგუფი

აიაქსი-ლიონი 0:0

ბურთის ფლობა: 58%:42%, **დარტყმები**: 15:17, **კუთხურები**: 10:7
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: უგო ლორისი (ლიონი)

როგორც მოსალოდნელი იყო, „ამსტერდამ არენაზე“ გახსნილი ფეხბურთი გაჩაღდა. ეს იყო ორი თანაბარი დონის გუნდის დაპირისპირება, რომლებიც ამ ჯგუფში სავარაუდოდ მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ. ტემპი მაღალი გახლდათ, იყო საგოლე მომენტებიც, მაგრამ გოლები არ გავიდა.

მარტივად რომ ვთქვათ, ორივე გუნდის თითოეულ შემტევს მინიმუმ თითოჯერ შეეძლოთ გოლის გატანა, ეს განსაკუთრებით „ლიონის“ ფორვარდ **გომისზე** ითქმის. „აიაქსიდან“ ყველაზე აქტიური **სულეიმანი** გახლდათ და მასაც ჰქონდა ერთი ასპროცენტიანი შანსი. ცხადია, ფრით „ლიონი“ დარჩა კმაყოფილი.

დინამო (ზ)-რეალი 0:1

გოლი: 0:1 დი მარია (53)
გაძევება: მარსელო (73. რეალი)
ბურთის ფლობა: 44%:56%, **დარტყმები**: 11:23, **კუთხურები**: 11:6
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ქარიმ ბენზემა (რეალი)

„რეალი“ ზაგრებიდან ხელცარიელი რომ არ დაბრუნდებოდა, თავიდანვე ცხადი იყო. მოლოდინისამებრ, მადრიდელებს უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ „დინამოს“ მეკარე იმდენად კარგად თამაშობდა, რომ „სამეფო გუნდის“ ფეხბურთელებს ისიც უნდა უხაროდეთ, **ანხელ დი მარიამ** ერთხელ მაინც რომ შეძლო ხორვატთა კარის ალება.

„რეალიდან“ ყველაზე აქტიური **ქარიმ ბენზემა** გახლდათ, დაცვაში კი შეუდრეკელი იყო **პეპე**. სამაგიეროდ, ძალიან ცუდად ითამაშა (თითქმის არ ჩანდა) **მესუთ იოზილმა**. 73-ე წუთზე „რეალს“ **მარსელო** გაუგდეს - მარცხენა მცველმა მეორე ყვითელი ბარათი უნიჭო სიმულაციისთვის მიიღო.

B ჯგუფი

ინტერი-ზრაბზონი 0:1

გოლი: 0:1 ჩელუსტკა (76)
ბურთის ფლობა: 52%:48%, **დარტყმები**: 16:5, **კუთხურები**: 9:2
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მაურო სარატე (ინტერი)

C ჯგუფი

ბაზელი-ოლიმპიული 2:1

გოლები: 1:0 ფ. ფრაი (39), 1:1 პენა (58), 2:1 ა. ფრაი (84-პენ)
გაძევება: სალაგეანუ (82. ოლიმპიული), ჰუგელი (87. ბაზელი)
ბურთის ფლობა: 63%:37%, **დარტყმები**: 6:14, **კუთხურები**: 7:3
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მარკო შტრელერი (ბაზელი)

D ჯგუფი

აიაქსი-ლიონი 0:0

ბურთის ფლობა: 58%:42%, **დარტყმები**: 15:17, **კუთხურები**: 10:7
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: უგო ლორისი (ლიონი)

დინამო (ზ)-რეალი 0:1

გოლი: 0:1 დი მარია (53)
გაძევება: მარსელო (73. რეალი)
ბურთის ფლობა: 44%:56%, **დარტყმები**: 11:23, **კუთხურები**: 11:6
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ქარიმ ბენზემა (რეალი)

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ბარსელონა

იშვიათი კადრი - ახლახან ბარსამ გოლი გაუშვა

შავი ღრუბლები კატალონიის ცაზე?

ერთმანეთს მიეწყო უსიამოვნო ამბები „ბარსელონაში“ - ჯერ იყო თითქოსდა არსაიდან მოსული ფრე „ანოეტაზე“, კატალონიური გრანდი 2:0-ს უგებდა „რეალ სოსიედადს“, როცა საოცარი შეცდომების წყალობით, ბასკებმა გათანაბრება შეძლეს, ამავე მატჩში დაიმტვრა გუნდის ჩილელი ახალწვეული ალექსის სანჩესი, რომელიც საუცხოოდ თამაშობდა. მეორე დღეს კი გამოცხადდა, რომ 22 წლის ფორვარდი 8 კვირით დაემშვიდობა ფეხბურთს. წარუმატებლობას წარუმატებლობა მოჰყვა - ჩემპიონთა ლიგის საწყის მატჩში „ბარსამ“ ლიგის ისტორიაში უსწრაფესი გოლი (პატოს გოლი მატჩის 24-ე წამზე) გაუშვა და საბოლოოდ ბოლო წამებზე ტიაგო სილვას თავურის „წყალობით“ გამარჯვებაც გაუშვა ხელიდან - 2:2. ამ თამაშში ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა უკვე ანდრეს ინიესტა დაკარგა... 5 კვირით. გუშინ კი ვიცე-პრეზიდენტმა ხავიერ ფაუსმა გამოაცხადა, კლუბში „დელიკატური“ ფინანსური სიტუაციაა...

ინიესტას ტრავმა

ვალო, საიდან მოდიხარ?

ფაუსმა თქვა, რომ მართალია, კლუბმა 15%-ით შეამცირა ვალი, მაგრამ ის ჯერაც არნახულად დიდია. დღეისათვის, „ბარსას“ ვალი 364 მილიონ ევროს შეადგენს! *„ჩვენ არ ვღალატობთ აღებულ კურსს და ვალს ვამცირებთ, მაგრამ ის ჯერ ისევ იმდენად დიდია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მომავლის გეგმების დასახვა. რაც შეიძლება, მეტი თანხა უნდა გამოიმუშავოს კლუბმა. არ შეიძლება ბანკების ვალი კისერზე გვაწვეს“*, - განაცხადა ხავიერ ფაუსმა.

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა ამ ზაფხულში ჯამში 60 მილიონი ევრო დახარჯა, რითაც ალექსის სანჩესი და **სესკ ფაბრეგასი** შეიძინა. თუმცა „ბარსელონამ“ გაყიდა კიდევაც ფეხბურთელები - **ბოიან კრკიჩი** „რომაში“, **ორიოლ რომეუ** „ჩელსიში“ და **ხეფრენ სუარესი** ლისაბონის „სპორტინგში“.

ანდრესმაც ჩაიმუხლა

ლიგის მატჩი „მილანთან“ განსაკუთრებით უსიამოვნო **ანდრეს ინიესტას** ტრავმის გამო იყო - „ბარსას“ შუახაზის მთავარმა შემქმნელმა ფეხბურთელმა მარცხენა ფეხზე ორთავა კუნთი გაიწყვიტა და ერთი თვე უქმობა მოუწევს. 38-ე წუთზე მან უცებ იტაცა ხელი ფეხზე და შეცვლა ითხოვა, მის ნაცვლად მოედანზე სესკ ფაბრეგასი გავიდა. ახლა „ბარსელონას“ ლაზარეთში სამი ლიდერია: **ჟერარდ პიკე**, ალექსის სანჩესი და ანდრეს ინიესტა. ანდრესი ძალიან გააამწარა ტრავმებმა - გვარდიოლას ხანაში (ანუ სამი სეზონის განმავლობაში) ინიესტამ 9 ტრავმა მიიღო. მესამე შემთხვევაა, როცა მას ორთავა კუნთი გაუწყდა, თუმცა პირველად - მარცხენა ფეხზე.

სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი **კარლეს პუიოლი** (გამოჩნდა **იბრაჰიმ აფელაიც**), რომელმაც მუხლის ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელება შეძლო. მსოფლიოს ჩემპიონი 67-ე წუთზე შევიდა **სეიდუ კეიტას** ნაცვლად და „კამპ ნოუს“ ოვაციაც დაიმსახურა, მაგრამ, სიმართლე ითქვას, კაპიტანი საშინელ ფორმაშია, ბოლო წუთებში მან იმდენი შეცდომა დაუშვა, რამდენიც ოპტიმალურ ფორმაში 2-3 მატჩში არ მოსდის ხოლმე. პუიოლი 110 დღე იყო უფეხბურთოდ...

ღმერთები მიწაზე ეშვებიან

„მილანთან“ მატჩის შემდეგ **ჩავი** გაიძახოდა, რომ ეს დიდი საფეხბურთო უსამართლობაა, იტალიელებმა „კატენაჩო“ ითამაშეს და დაუმსახურებელი ქულა წაიღეს კატალონიიდან. მაგრამ, იქნებ მისი თანაგუნდელი **დანიელ ალვეშია** უფრო მართალი, რომელიც ამბობს, რომ არც ისეთი უძლეველები ვართ, დროა, მიწაზე დავეშვათო. იქნებ, მართლაც მეტისმეტად ირწმუნეს თავიანთი უძლეველობა ბარსელონელებმა. იქნებ, სეზონის დასაწყისში მოგებულმა ორმა სუპერთასმა მათ დათვური სამსახური გაუწია?

არადა, გვარდიოლას ეს რომ არ ეხება, მთელმა მსოფლიომ იცის - ამ მწვრთნელს საერთოდ არ ახასიათებს ზემოდან გადმოხედვა, მოწინააღმდეგის შეუფასებლობა და დაუფასებლობა. მაგრამ ხომ შეიძლება მას ხელიდან (დროებით) სადავეები გაქცეოდა?

მართალია, პეპი, როცა ამბობს, რომ „მილანს“ მეტოქის ნახევარზე გადასვლაც კი უჭირდა, მაგრამ ყველაზე დიდი სიმართლე და უტყუარი ფაქტი ხომ ტაბლოზე დაფიქსირებული საბოლოო შედეგია - 2:2. ჩავი მიიჩნევს, რომ ეს კრიზისი დროებითია და შაბათს „ოსასუნასთან“ ყველაფერს თავისი ადგილი მიეჩინება. ვნახოთ. კარლეს პუიოლი კი ამბობს: *„ჩვენთან ყველაფერი რიგზეა, ნუ უსმენთ სისულელეებს“.*

ხვრელი ცენტრში

პუიოლის დაბრუნება, კარგია, მაგრამ ყველა ხვდება, რომ დაცვის ცენტრი გასაძლიერებელია. გვარდიოლამ **ბუსკეტსი** და **მასკერანო** მცველებად აქცია, თუმცა ასე დიდხანს ხომ არ გაგრძელდება. ამბობენ, რომ იანვარში კლუბი პირველ რიგში სწორედ ცენტრალურ მცველს შეიძენს. ორი გვარი უკვე დაიწერა ესპანურ პრესაში, ორივე ბრაზილიურია - **დავიდ ლუიზი** „ჩელსიდან“ და **ტიაგო სილვა** „მილანიდან“.

ამბები

ნავარელთა გასაჭირი



სერხიო სანჩესი

პამპლონის „ოსასუნა“, რომელიც ხვალ „კამპ ნოუს“ ეწვევა, ცენტრალური მცველის გარეშე დარჩა - **სერხიო ფერნანდესმა** ოთხშაბათის ვარჯიშზე მიიღო ტრავმა. 34 წლის სერხიომ პირველი ხარისხის დაზიანება მიიღო მარჯვენა ფეხზე და, სულ მცირე, 3 კვირა მოუწევს უფეხბურთოდ დარჩენა. სამაგიეროდ, ნავარულ კლუბს **ანუნზიატა** დაუბრუნდა და ის „ბარსელონასთან“ თამაშსაც შეძლებს, თუკი **მენდილიბარი** შემადგენლობაში დააყენებს. სერხიო ფერნანდესი ასტურიული საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, ის 2008 წლიდან თამაშობს „ოსასუნაში“, მანამდე კი „სპორტინგში“, „სელტასა“ და „სარაგოსაში“ ასპარეზობდა.

ყოფილმა ახლანდელი დაიცვა

ბილბაოს „ატლეტიკის“ ყოფილმა თავკაცმა **ხოაკინ კაპაროსმა** განაცხადა, რომ გუნდის ახალ თავკაცს, **მარსელო ბიელსას** დრო უნდა მიეცეს, ახლავე მისგან კარგი შედეგების მოთხოვნა არ შეიძლება. ორი ტურის შემდეგ ბასკებს მხოლოდ ქულა აქვთ, არგენტინელ სპეციალისტს კი უკვე მწვავედ აკრიტიკებენ. *„ბიელსას დრო ესაჭიროება. მე მას წარმატებას ვუსურვებ. „ატლეტიკში“ ყველაფერია წარმატებისთვის, კარგი მწვრთნელი, ფეხბურთელები და გულშემატკივრები. ბიელსა გამოცდილი მწვრთნელია, რომელსაც წარმატებები სანაკრებო დონეზე აქვს მოპოვებული“*, - დაიცვა შემცვლელი კაპაროსმა.

ალბინი საოპერაციოა

გაირკვა „ესპანიოლის“ ნახევარმცველის **ხუან ალბინის** ტრავმის სირთულე - 25 წლის ურუგვაელი კატალონიელებს 2-3 თვით დააკლდება. მან მარჯვენა ფეხის კუნთი გაიწყვიტა და ოპერაცია სჭირდება, რომელიც ცნობილმა ბარსელონელმა ექიმმა **კუგატმა** უნდა გაუკეთოს. სამხრეთამერიკელი „ბილბაოსთან“ მატჩში დაიმტვრა და მე-12 წუთზე შესაცვლელი გახდა. მაურისიო პოჩეტინოს მარცხენა ფლანგზე პრობლემები შეექმნა - ალბინის შემცვლელი მან **ტიევის, ვეისსა** და **რუი ფონტეს** შორის უნდა აირჩიოს. ხუან ალბინი „ესპანიოლმა“ „ხეტაფესგან“ ახლახან შეიძინა და მის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო გადაიხადა.

ლუის გარსია დასაჯეს

„ხეტაფეს“ თავკაცი **ლუის გარსია** 2 თამაშით დასაჯეს. შეგახსენებთ, რომ „ლევანტეს“ ყოფილი თავკაცი „რეალთან“ მატჩის 86-ე წუთზე გააძევეს. მან ხმამაღალი ყვირილით გამოხატა პროტესტი **კარლოს კლოს გომესის** გადაწყვეტილებაზე, რომელმაც, სხვათა შორის, სუსტად იმსაჯა მადრიდულ დერბიში. ამ ტურში გააძევეს „ვილიარეალის“ გოლკიპერი **დიეგო ლოპესი** და „რასინგის“ ნახევარმცველი **პაპა დიოპი**. ისინი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციებით დასაჯეს.

სასიამოვნო თავის ტკივილი

ჟულიო ბაპტიშტა

„მალაგას“ თავკაც **მანუელ პელეგრინის** სასიამოვნო პრობლემა გაუჩნდა - გუნდს დაუბრუნდა გამოჯანმრთელებული ფორვარდი **ჟულიო ბაპტიშტა** და ახლა მან არ იცის, რა მოიმოქმედოს - შეცვალოს 4:0 მომგები შემადგენლობა თუ არა. ბრაზილიელი იტალიიდან გადავიდა ანდალუსიაში და კლუბს იდეალურად მოერგო - 11 მატჩში 9 გოლი გაიტანა. არადა, ხშირად ბაპტიშტას შემტევ ნახევარმცველად ათამაშებდნენ. ახალ სეზონში კი მას ჯერ არ მიუღია მონაწილეობა.

ორშაბათის მატჩის შემდეგ პელეგრინი ამბობდა, რომ შემადგენლობას არ გამოცვლიდა, მაგრამ ამის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა 29 წლის ბაპტიშტა, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებში 47 თამაშში 5 გოლი აქვს გატანილი. აბა ასეთ ფეხბურთელზე პელეგრინი უარს როგორ იტყვის...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ქოლესტერინის საზომი აპარატი

~~69~~ ლარი
35 ლარი
გლუკომეტრები
35-99 ლარი



შპს „კონტრასტი“
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 234 74 03; 599 19 60 55
ჩააბარე ძველი, დაამატე 27 ლარი და მიიღე
ახალი გლუკომეტრი + 10 ტესტ-ფურცელი

lariwin.com
the better way to play

მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორი ონლაინ კაზინო „ლარიუინ.ეომ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჯანგავაძე დანიდინიდან

● რაგბი. მსოფლიოს თასი

საქართველოს ნაკრები არასდროს ნებდება

დროა, რვა ერზე ვიფიქროთ

საქართველოს ნაკრებმა გუშინ ინვერქარგილი დატოვა და ახალი ზელანდიის სამხრეთით კუნძულის სიღრმეში, ოტაგოს რეგიონის დედაქალაქ დანიდინში გადაბარგდა, სადაც 18 სექტემბერს ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში ინგლისის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

ინვერქარგილთან ქართველ მორაგბეებს სასიამოვნო მოგონებები არაფრით დააკავშირებს. საქმე მხოლოდ შოტლანდიის ნაკრებთან წაგებაში არ არის. თავად ქალაქი საკმაოდ ცივი, უსახური და იმდენად პირქუში იყო, რომ ყველა სულმოუთქმელად ველოდით იქიდან გამგზავრებას.

ახალ ზელანდიაზე, როგორც ეგზოტიკურ ქვეყანაზე, ლეგენდები დადის და ვინმეს ახირებულ ადამიანად რომ არ მოვეჩვენო, საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელი გამყოლის - **ლიაზონის** ნაამბობს მოგითხრობთ და თავად განსაჯეთ.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ინვერქარგილს თურმე ცნობილი ჯგუფი "როლინგ სტოუნზი" სტუმრობდა. კონცერტზე რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი შეკრებილა. კონცერტის მსვლელობისას ჯგუფის წევრებს ჰკითხეს - ჩვენს ქალაქზე რას იტყვითო. ყველა რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში იყო, გამოვიდა "როლინგ სტოუნზის" ერთ-ერთი გიტარისტი (არ ახსოვდა რომელი) და თქვა: ეს ქალაქი არის მსოფლიოს უკანალიო.

ინვერქარგილი იქით იყოს და, შოტლანდიის ნაკრებთან მარცხის მიუხედავად, რამდენიმე ადგილობრივ გაზეთში საქართველოს ნაკრებზე საკმაოდ კარგი რეცენზია დაიწერა.

მაგალითად, "ოტაგო დეილი ნიუსს" მიაჩნია, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები ის გუნდია, რომელიც ფარ-ხმალს არასდროს ჰყრის. ციტირებას თუ გავაკეთებთ, ეს ასე ჟღერს:

"საქართველოს ნაკრები უდრეკი გუნდია და ეჭვი არ შეგეპაროთ იმაში, რომ დანებების ნიშნად პირსახოცს არ ისვრის."

ყველაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ საქართველოსა და შოტლანდიის ნაკრებების მატჩის შემდეგ, გაჩნდა სტატია, რომელშიც ავტორი ევროპის ექვსი ერის გაზრდას ითხოვს. მოსაზრებას, რომელიც ვებგვერდზე www.rte.ie გამოქვეყნდა, უცვლელად გთავაზობთ.

"საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების მცირე სხვაობით წაგებამ ევროპულ რაგბიში ბევრი კითხვა გააჩინა. იქნებ დროა, ექვსი ერის გაფართოებაზე ვიზრუნოთ?

შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა მენეჯერმა ჯონ ბითიმ ეს საკითხი ჯერ კიდევ გასულ კვირაში წამოჭრა BBC-ს ეთერში და საკმაოდ სამართლიანად განაცხადა, რომ შოტლანდიას ეშინია პლეი ოფში თამაში, რომელშიც ექვსი ერის ბოლოადგილოსანი ერთა თასის გამარჯვებულს უნდა დაუპირისპირდეს, რათა მომდევნო სეზონში ელიტაში თამაშის უფლება შეინარჩუნოს.

ბითის ყველაფერში ვეთანხმები და, ვფიქრობ, მსგავსი შიშები, რომ ელიტიდან გავარდება და მეორე დივიზიონის გუნდებთან მოუწევს ასპარეზობა, იტალიასა და უელსსაც აქვს. შესაძლო ფინანსური დანაკარგი, ამ შემთხვევაში, რაგბის საერთაშორისო საბჭოსთვის დიდი იქნება.

ამიტომ გამოსავალი არის ერთი - მოდით, არავინ გავარდეს, ექვსი ერის გუნდებს დავამატოთ ორი საუკეთესო ერთა თასის გათამაშებიდან.

გუნდები ორ ჯგუფში გავანაწილოთ, სამ-სამი ექვსი ერიდან და თითო-თითო ერთა თასიდან. ჯგუფებში ორ-ორმა საუკეთესომ პლეი ოფში გაარკვიოს ურთიერთობა. ეს სისტემა საშუალებას მისცემს ერთა თასის საუკეთესო გუნდებს, კიდევ უფრო განვითარდნენ, რადგან რეგულარულად მოუწევთ თავისზე გაცილებით მაღალი დონის გუნდებთან ასპარეზობა, თანაც ფინანსურადაც მოღონიერდებიან.

თქვენ როგორ ფიქრობთ?"

ერთი სიტყვით, რადგან ამაზე ლაპარაკი უკვე ასე თამამად თავად ბრიტანელებმა დაიწყეს, გამორიცხული არ არის, ცვლილებები მართლაც განხორციელდეს. ერთია, რომ ეს სასიხარულოა, მეორე კი ისაა, რომ ყოველივე საქართველოს ნაკრებს უკავშირდება. 2007 წლის მსოფლიოს თასის წინ IRB-ში ფიქრობდნენ, გუნდების რაოდენობა ოცდან თექვსმეტამდე შეემცირებინათ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სწორედ "ბორჯღალოსანთა" შესანიშნავი თამაშის გამო აღარ მიიღეს. ამჟამად კი ექვსი ერის გაფართოებაზე ალაპარაკდნენ.

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

რაგბი

● მოსაზრება

რიჩი დიქსონზე ფსონს ნუ ჩახვალთ

რიჩი დიქსონი და ილია ზედგინიძე

საქართველოს ნაკრების თავდადებულმა თამაშმა შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან უცხოური მედიის ყურადღების ცენტრში "ბორჯღალოსანთა" შოტლანდიელი თავკაცი **რიჩი დიქსონიც** მოაქცია. მის შესახებ სტატია უელსელმა ჟურნალისტმა **ჯონ ტეილორმა** მოამზადა, რომელსაც თავისი ქვეყნის საკრებში 26 კეპი მოუხვეჭია. გთავაზობთ ამონარიდს ამ საკმაოდ კეთილგანწყობილი ხასიათის წერილიდან.

"როცა 30-წლიანი მუშაობის შემდეგ რიჩი დიქსონი შოტლანდიურ რაგბის გამოემშვიდობა, მან მეუღლეს აღუთქვა, რომ პენსიაზე გავიდოდა. მანამდე რიჩიმ "სკოტური" რაგბის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მთელი ამ დროის განმავლობაში მან ყველა ასაკის მორაგბეებთან იმუშავა და ბოლოს ეროვნული ნაკრებით დასრულა.

თუმცა, მერე რაგბის საერთაშორისო საბჭომ მიიწვია სამუშაოდ და მისი ცხოვრება კვლავ გახალისდა. დაახლოებით სამი წლის შემდეგ კი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა.

რაღაც საოცრება იყო, როცა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა შემომთავაზეს. ვიფიქრე - ეს შანსია! ქართველებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ მსოფლიოს თასის საგზური. ამიტომ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის პერსპექტივამ ძალიან მომხიბლა. ვერაფერი მოვიგონე ისეთი, რის გამოც საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე უარს ვიტყოდი. – სიცილით მითხრა მან.

*საქართველოს რაგბის კავშირთან მისი ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც IRB-მ სთხოვა გაეკონტროლებინა პროგრამის მიმდინარეობა, რომელიც მეორე დონის ქვეყნებში რაგბის განვითარებისთვის ხორციელდებოდა. გასული წლის ოქტომბერში, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** მას სამსახური შესთავაზა. დიქსონს, რომელსაც გაისად 65 წელიწადი უსრულდება, უარის თქმა არაფრით შეეძლო.*

ბოლო ოთხი თვე თბილისში გადაბმულად იმუშავა და როგორც თვითონ აღნიშნავს, ასეთი დატვირთვით არასდროს გარჯილა.

მათი ენთუზიაზმი შესაშურია. ეს არის ერი, რომელსაც გენეტიკურად აქვს რაგბისადმი მიდრეკილება. დილას, შუადღესა და საღამოს მათ უნდათ გამუდმებით რაგბიზე ილაპარაკონ. ერთ რამეზე მწყდება გული. - ნაკრების მოთამაშეებთან მუშაობისთვის ცოტა დრო მქონდა. მათთან ერთად ორი წელიწადი მაინც რომ ვყოფილიყავი, გარწმუნებთ, ჩვენ პლეი ოფში გასასვლელად რეალურად ვიბრძოლებდით.

საქართველოში 750-მდე უფროსი ასაკის მორაგბეა, რომლებიც აქამდე საკმაოდ ცუდ პირობებში ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ. ახლა მდგომარეობა ნელ-ნელა იცვლება. განვითარება სწორად მიმდინარეობს, სტადიონები შენდება და პირობებიც უმჯობესდება.

ნაკრების მორაგბეების აბსოლუტური უმრავლესობა საფრანგეთში პროფესიულ დონეზე თამაშობს. მაგრამ გუნდში შვიდი ისეთი მორაგბეა, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებში ირჯებიან. ეს საგულისხმო სიგნალია სხვა მორაგბეებისთვის, ესე იგი, ნაკრებში მოსახვედრად აუცილებელი არ არის საზღვარგარეთ წახვიდე", – კმაყოფილებით აღნიშნა რიჩი დიქსონმა.

საქართველოში რაგბის პოპულარიზაციის ზრდის დასტურად ისიც გამოდგება, რომ გასული წლის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** დასახელდა.

ამ ქვეყანაში ჭიდაობის დიდი ტრადიციაა, ამიტომ დიქსონს უპირველეს ამოცანად ქართველების თამაშის სტილის შეცვლა არ მიაჩნია. მათ ძალიან უყვართ რკენა. ზირაქაშვილი საფრანგეთის ექსჩემპიონ "კლერმონში" თამაშობს, კიდევ ერთი ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი** კი "ტულონში" ახალზელანდიელ კარლ ჰეიმანს ახეხვინებს სკამს. ისინი ახლა ორივენი მსოფლიოში შერკინების საუკეთესო ბურჯები არიან.

კიდევ ერთი ქართველი, "მონპელიეს" მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** ფრანგულმა მედიამ წლევანდელი სეზონის საუკეთესო უცხოელ მორაგბედ დაასახელა.

მათ, ცხადია, დღემდე დიდი გზა გაიარეს. პირველად მსოფლიოს თასზე 2003 წელს ითამაშეს ავსტრალიაში და ყველა თამაში წააგეს. ოთხი წლის შემდეგ კი ნამიბიას მშრალი ანგარიშით 30:0 მოუგეს და მრისხანე ირლანდიას ლამის სირცხვილი აჭამეს.

მათ უკვე გაუსწრეს რუმინეთს და ახლა მიზანში ექვსი ერის ქვეყნები ჰყავთ ამოღებული. შოტლანდიასთან 15:6 მარცხი იმის დასტურია, რომ ელიტისგან შორს აღარ არიან. დიქსონი კმაყოფილი იყო, მეტოქეს ლელო რომ არ გაატანინეს, თუმცა მაინც გული დასწყდა, რადგან დარწმუნებულია, რომ მის გუნდს უფრო მაღალი დონის რაგბის თამაში შეუძლია.

„ამ მსოფლიოს თასის შემდეგ ის მთავარ როლში ყოფნას აღარ აპირებს.

ქართული რაგბის განვითარებაში მონაწილეობას ისევ მივიღებ. ნაკრებში ალბათ სათათბირო ხმის უფლებებით დავრჩები და პრაქტიკულ ინსტრუქტაჟს აღარ გავაკეთებ", – დასძინა მან.

რიჩი დიქსონზე ფსონს ნუ ჩახვალთ. ის რეალურად გრძნობს ქართული რაგბის პოტენციალს, იცის, რას შეუძლია მიაღწიოს ამ ქვეყნის ნაკრებმა. ამიტომ არ გვგონია, უახლოესი ორი წლის განმავლობაში, რიჩიმ ბუცები ოთახის ფაჩუჩებზე გაცვალოს."

C ჯგუფი

აშშ-რუსეთი 13:6

სატურნირო მდგომარეობა

1. ავსტრალია – 5 ქულა, 2. ირლანდია – 4, 3. აშშ – 4, 4. რუსეთი – 1, 5. იტალია – 0

დღეს

ახალი ზელანდია-იაპონია 12:00

სუმო

● აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი

იპონი სუმოში

გუშინ ისეთი წარმატებული დღე აღარ გვქონდა ტოკიოს ბაშოზე, როგორც წინა დღეებში, თუმცა სუპერტურნირის მესამედი ქართველმა სუმოისტებმა მაინც წარმატებით განვლეს: **კოკაის (ლევან ცაგურია)** და **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** ხუთი ორთაბრძოლიდან 4-4 მოგება აქვთ, ხოლო **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** - სამი.

„შავმა ზღვამ" ელიტაში დაბრუნების შემდეგ პირველი მარცხი იგემა, ის **იოშიაზუმამ** მოგვერდით დაამარცხა. წააგო ტოჩინოშინმაც, ყოფილ კომუსუბის **გოეიდომ** აჯობა. ჩვენებურთაგან გამარჯვებული მხოლოდ გაგამარუ გამოვიდა, 200-კილოიანმა ქართველმა მონლოლ ვეტერან **კიოკუტენჰოს** მოუგო, რომელიც აქამდე დაუმარცხებლად ასპარეზობდა.

5-5 მოგება სამ რიკიშისღა დარჩა, მათ შორის კი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოა**. სხვათა შორის, გუშინ საინტერესო რამ მოხდა **საგაცუკასასა** და **ტოჩინოვაკას** შორის, პირველმა მეტოქე ძიუდოს იპონის ანალოგიური იპონზეუის ილეთით დაამარცხა. წარმოიდგინეთ, ცენტნერნახევრიან კაცს მხრებზე რომ გადაივლებ და სუფთაზე დააგდებ! სხვათა შორის, საგაცუკასას დღეს გაგამარუ ხვდება, აი, თეიმურაზის აწევა კი ძალიან გაუჭირდება იაპონელს.

V დღე

ჰაკუჰო-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), ბარუტო-ტოიონოშიმა (იორიკირი), ვაკანოსატო-კოტოოშუ (სუკუინაგე), ტაკეკაძე-ჰარუმაფუჯი (უვატენაგე), კისენოსატო-ოკინოუმი (იორიკირი), კაკურიუ-არანი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ჰომაშო (ოშიტაოში), ტოჩიოძანი-ტაკაიასუ (ოკურიტაოში), გოეიდო-**ტოჩინოშინი** (კირიკაეში), ვაკაკოიუ-ტოკიტენკუ (ჰატაკიკომი), მიაბიამა-ფუჯიაზუმა (ჰიკიოტაოში), საგაცუკასა-ტოჩინოვაკა (იპონზეიო), კაისეი-ტოიოჰიბიკი (ოშიდაში), ტამავაში-მასუნოიამა (უბრძოლველად), **გაგამარუ**-კიოკუტენჰო (იორიტაოში), კიტატაიკი-ამინიშიი (იორიკირი), ასასეკირიუ-კიმურაიამა (ჰატაკიკომი), იოშიაზუმა-**კოკაი** (უვატენაგე), ტამაასუკა-ტაკანოიამა (იორიკირი), შოტენრო-ტოსაიუტაკა (ოშიდაში), დაიდო-ჰოჩიიმა (ოშიდაში).

სატურნირო მდგომარეობა

5-0: **ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **კოტოშოგიკუ** (სეკივაკე), **კისენოსატო** (სეკივაკე).

4-1: **ტოჩიოძანი** (მაგაშირა 3), **კიოკუტენჰო** (მ 10), **კიტატაიკი** (მ 11), **გაგამარუ** (მ 11), **ასასეკირიუ** (მ 12), **კოკაი** (მ 16)... 3-2: **ტოჩინოშინი** (მ 4).

VI დღე

ჰაკუჰო-ტაკეკაძე, კოტოოშუ-ტოჩიოძანი, ჰარუმაფუჯი-არანი, ბარუტო-ვაკანოსატო, კაკურიუ-ოკინოუმი, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კისენოსატო-ჰომაშო, **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე, ტოკიტენკუ-გოეიდო, მიაბიამა-ტაკაიასუ, ვაკაკოიუ-ტოჩინოვაკა, ფუჯიაზუმა-ტოიოჰიბიკი, კაისეი-ტამავაში, საგაცუკასა-**გაგამარუ**, კიოკუტენჰო-ამინიშიკი, კიტატაიკი-ასასეკირიუ, ტამაასუკა-დაიდო, იოშიაზუმა-კიმურაიამა, შოტენრო-ტაკანოიამა, **კოკაი**-ტოსაიუტაკა, ჰოჩიიმა-ტოჩინონადა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული სპორტი

● კალათბურთი. ექსკლუზიური ინტერვიუ სერხიო სკარიოლოსთან

საქართველო ფაჩულიას გარეშეც სერიოზული ძალაა

საქართველოს ნაკრებმა ევრობასკეტზე ბოლო მატჩი 12 სექტემბერს საბერძნეთის წინააღმდეგ ჩაატარა. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დარბაზში გამოჩნდა ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სერხიო სკარიოლო, რომელიც მედიაშესასვლელთან რუსმა ჟურნალისტებმა შეაფერხეს.

თამაშის დაწყებისთანავე სკარიოლო პრესლოჟის გვერდითა ტრიბუნის მეორე რიგში მოთავსდა. პირველ რიგში გადავჯექი და რამდენიმე კითხვით მივმართე. ქართული „ვუზუზელების" ხმაურში ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჩვენი გუნდი დადებითად დაახასიათა.

- პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ყველა, ვინც ტოპ-12-ში მოხვდა ამას იმსახურებდა. საქართველოს ნაკრებმა ბევრისთვის მოულოდნელად, კარგად ჩაატარა პირველი ჯგუფური ეტაპის მატჩები და ჩემი აზრით, მეორე ეტაპზეც უკეთეს შედეგს უჩვენებდა, რომ არა ზაზა ფაჩულიას ტრავმა. ზაზა მაღალი დონის კალათბურთელია და ვფიქრობ, მისმა დაკლებამ გუნდზე როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ტაქტიკურად უარყოფითად იმოქმედა. თუმცა, მაკედონიასთანაც გამოჩნდა, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდი გყავთ. ახედეთ ტაბლოს, ბერძნებსაც უგებთ...

- საქართველოს ნაკრებს თამაშიდან თამაშამდე დაღლა ეტყობოდა, რასაც ვერ ვიტყვით ესპანეთზე...

- ჩვენ გვაქვს შემადგენლობის ვარირების საშუალება. პირველ ეტაპზეც და მეორეზეც იყო მატჩები, როცა ძირითადად სათადარიგოებს დავეყრდენი. ეს აუცილებელია, რადგან ევრობასკეტი 20 დღეს გრძელდება და საჭიროა თორმეტივე კალათბურთელის გამოყენება. სათადარიგოებიც ისევე კარგ ფორმაში უნდა იყვნენ, როგორშიც სასტარტოები, რათა გადამწყვეტ მატჩებში მათ მოკლე დროში მაქსიმუმი გააკეთონ. ეს იოლი ნამდვილად არ არის.

- ჯგუფური ეტაპის მატჩებში ესპანეთის ნაკრები შესაძლებლობებს სრულად არ ავლენდა. როდიდან უნდა ველოდეთ მაქსიმუმს?

- მეოთხედფინალიდან. მანამდე გუნდი პოტენციალის 100 პროცენტს არ ავლენდა, პლეი ოფში კი დასვენების საშუალება არავის აქვს, ერთი პატარა შეცდომაც შეიძლება ძვირად დაგიჯდეს - ევრობასკეტს დაემშვიდობო.

- ამ ჩემპიონატისთვის ოპტიმალური შემადგენლობა შეკრიბეთ და ოქროს მოპოვების მთავარ ფავორიტებადაც ითვლებით.

- შემადგენლობა თანაბრადაა დაბალანსებული, ორგანიზებულ კალათბურთს ვთამაშობთ, არც ენთუზიაზმი გვაკლია. ასე რომ, მზად ვართ უმაღლესი მიზნებისთვის საბრძოლველად, თუმცა როგორც ვთქვი, პლეი ოფში თითოეული გამარჯვებისთვის ერთიორად მეტი ენერგიაა საჭირო.

ვაჟა სიმონიშვილი



სკარიოლო საჩემპიონოდ ემზადება

● კალათბურთი. ინტერვიუ პეტრი კოპონენთან

ვირტუსელი სანდრიკიძე, კოპონენი ევრობასკეტზე ერთიანეულ ბრძოლაში

ფინელებმა ქართველებს სკამით გაჯობეთ

ევროპის ჩემპიონატზე უამრავი კალათბურთელი თამაშობდა, რომლებიც ქართველებს კარგად იცნობენ. ლიტვიდან შემოგთავაზეთ გიორგი შერმადინისა და ვლადიმერ ბოისას თანაგუნდელების (სლოვენიის „ოლიმპიაში") - გორან იაგონდიკისა და ვლადო ილიევსკის კომენტარები. შეგახსენებთ, რომ სწორედ ილიევსკის გადამწყვეტი სამქულიანით დაამარცხა მაკედონიამ ლიტვა.

დღეს პეტრი კოპონენის ინტერვიუს წაკითხვის საშუალება გაქვთ. იგი ფინეთის ნაკრების ლიდერია, გასულ სეზონში ვიქტორ სანიკიძესთან ერთად ბოლონიის „ვირტუსში" გამოდიოდა. საუბრისას კოპონენმა მითხრა - იმედი მაქვს ახალ სეზონშიც ვიქტორის გვერდით ვითამაშებო.

ქართველ ფორვარდს ამ ზაფხულს ბოლონიელებთან ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა, მაგრამ შეთანხმება ვერ შედგა. ამიტომ, დავინტერესდით, „ვირტუსში" დარჩება თუ სხვაგან გააგრძელებს კარიერას.

- ახალი კონტრაქტის გაფორმება დღის წესრიგში იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ მოხერხდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ვირტუსიდან" წამოვედი. ამ გუნდთან სამწლიანი ხელშეკრულება მქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონსაც ბოლონიაში გავატარებ.

დავუბრუნდეთ ფინელ პეტრი კოპონენს, რომელმაც „ვირტუსის" პერსპექტივებზე ილაპარაკა:

- მომავალ სეზონში იტალიის ჩემპიონატი ერთიორად საინტერესო სანახავი იქნება - უამრავი ძლიერი ამერიკელი ჩამოვიდა. „ვირტუსიც" საგრძნობლად გაძლიერდა და ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გუნდი იქნება.

- ფინეთსაც საინტერესო ნაკრები ჰყავს. რის ხარჯზე მოახერხეთ საუკეთესო 12 გუნდს შორის მოხვედრა?

- ჩვენი ნაკრები ერთი დიდი ოჯახია, თითოეული კალათბურთელი ერთმანეთთან ვმეგობრობთ. ეს თამაშსაც გვიადვილებს - კარგად ვიცით, რა დროს რომელი კალათბურთელი სად უნდა მოვძებნოთ. ფინეთმა წარმატებას გუნდური თამაშით მიაღწია. თორმეტეულში მოხვედრით კმაყოფილები ვართ, მაგრამ გული გვწყდება, რომ მეტის გაკეთებაც შეგვეძლო: მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ბოლო ტურში სლოვენიისთვის რომ გვეჯობნა, მეოთხედფინალში ვითამაშებდით. ძალიან ცოტა დაგვაკლდა.

- საქართველოს ნაკრებთან მატჩს როგორ გაიხსენებ?

- ქართველებს კარგად ვიცნობთ. მათთან ხომ რამდენიმე წლის წინათ მეორე დივიზიონშიც ვთამაშობდით. მას მერე დიდი პროგრესი განიცადა როგორც ფინეთმა, ასევე საქართველომ. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ისინი ერთმანეთს ევრობასკეტის მეორე ეტაპზე შეხვდნენ. რთული მატჩი იყო, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენ უკეთ ვითამაშეთ და მოგება დავიმსახურეთ.

- ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ გადამწყვეტი მომენტისთვის ქართველებზე მეტი ენერგია გქონდათ.

- მეც ასე ვფიქრობ. ამას ობიექტური მიზეზი აქვს - ჩვენ უფრო მეტი ისეთი სათადარიგო გვყავდა, რომლებიც ბევრს თამაშობდნენ. ეს სასტარტო ხუთეულის კალათბურთელებს დასვენების საშუალებას აძლევდა, რაც ევრობასკეტის დარრთულ შეჯიბრებაზე ბევრს ნიშნავს.

- ბოლოს ვიქტორ სანიკიძეზე გკითხავ...

- მას, ალბათ, თქვენც კარგად იცნობთ: უნივერსალი კალათბურთელია, ათლეტური, მოხსნებისასაც ისევე ეფექტურია, როგორც სამქულიანების ტყორცნისას. რაც მთავარია, ვიქტორი თამამს სეზონიდან სეზონამდე აუმჯობესებს. რაც შეეხება არასპორტულ მხარეს, სანიკიძე შესანიშნავი პიროვნებაა. მასთან ურთიერთობა საინტერესოა. მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთი სეზონის ვიქტორის გვერდზე გატარება მომიწევს. ვიმედოვნებ, შარშანდელზე მეტს მივაღწევთ.

ვაჟა სიმონიშვილი

● კალათბურთი. რა გვაქვს მენიუში? - დაკარგვა

საფულე, პასპორტი, ტელეფონი... თავი?

საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ყველაზე მეტი დაკარგვა აქვს (146), რაც საშუალოდ 18.3-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნებოდა, საერთო ქართული დაკარგვები რომ მიგვემატებინა.

ყველაფერი 27 აგვისტოდან დაიწყო: ერთ-ერთმა ჟურნალისტმა რიგაში პირველივე დღეს კაფეში დაკარგა საფულე, რომელშიც ბინაში გადასახდელი თანხა იდო. დილის ექვს საათამდე ინერვიულა, თუმცა „ამაოდ" - იმავე კაფეში საფულე ხელუხლებლად დაუბრუნეს.

სხვათა შორის, სწორედ იმ ჟურნალისტმა კლაიპედაში, დარბაზის პრესლოჟაში საფულე იპოვა, მაგიდაზე დადო და პატრონს დაელოდა. უნდა გენახათ თავდაღუნული ბელგიელი კორესპონდენტი როგორი სისწრაფით მოდიოდა ლოჟისკენ - თან დაკარგულ ნივთს ათვალიერებდა. საკუთარი საფულის დანახვამ რომ გაახარა, ალბათ ისე ბელგიელთა გამარჯვება ვერ გაახარებდა.

მეორე დღეს ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას ნაცნობი ხმა გავიგონე: საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესატაშე ევრობასკეტის მედიასთან ურთიერთობის მენეჯერს ეუბნებოდა - ჩვენმა ტელეჟურნალისტმა საფულე დაკარგა, ოღონდ არ იცის, სად დარჩა, ამიტომ თუ შემთხვევით აქ აღმოჩნდა, გვითხარითო. მეორე დღეს გავიგე, საფულე ტაქსში დარჩენია და მძღოლმა იმაზე მონესრიგებულად ჩალაგებული დაუბრუნა, ვიდრე მანამდე იყო. მხოლოდ ლიტვური სატელეფონო ბარათი აკლდა...

ყველაზე დიდი დანაკარგი საქომაგოდ მიმავალმა ერთ-ერთმა კალათბურთელმა განიცადა - ქორწინების ბეჭედი აეროპორტში თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ლიტვაში პასპორტიც დაიკარგა, რამაც პატრონი მეტად აანერვიულა, თუმცა მალევე დამშვიდდა - თურმე წინა ღამით მისი პასპორტი მეგობარს დაემალა.

ერთ საღამოს ანდრეი კირილენკოს ინტერვიუს ჩაწერისას, სამსახურიდან კომპიუტერით შემომითვალეს: სად ხარ, ტელეფონზე გირეკავთ და ვიღაც კაცი გვპასუხობსო. გოგო იქნებოდა-მეთქი ვეხუმრე. გავიდა ორი წუთი და „სკაიპში" მეუღლემ მომწერა - მამაშენი გირეკავს, ტელეფონს რატომ არ იღებო?!

იმ დროს ჩემთან ოთახში ის ჟურნალისტი იყო, ლატვიაში სავსე საფულე რომ დაკარგა, ვთხოვე ჩემს ნომერზე დაერეკა, რათა ოთახში ჩემი ტელეფონი მეპოვა. დარეკა და მასაც უცნობმა კაცმა უპასუხა - ავტობუსის მძღოლი ვარ, მობილური მე მაქვს და თუ მოხვალთ გაგატანთო, თან ბინის მისამართი ჩაგვაწერინა.

ყველაზე მსუბუქად მე გამოვედი: ნერვიულობის დრო არც მქონია - მპოვნელისგან გავიგე, რომ თურმე ტელეფონი დავკარგე...

ვაჟა სიმონიშვილი

მე-13 საუკუნეში ლიტვაში ასეთი ფული მოქმედებდა

● ჭადრაკი

ერთი ხუთოსანი ჩვენც გვყავს

ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ევროპის პირველობის (ალბენა, ბულგარეთი) მე-5 ტურში დიდ ინტერესს იწვევდა 18-წლამდელთა ორთაბრძოლები. თუმცა ლიდერებმა დაზავება არჩიეს. ვაჟებში ყაიმზე შეთანხმდნენ **ზურაბ ჯავახაძე** და ნილს გრანდელიუსი, მაგრამ მათ 4,5-4,5 ქულით ლიდერობა შეინარჩუნეს, რადგან სამქულანახევრიანი ვადიმ მოისეენკო და ნიკოლაი ბორტნიკი, შესაბამისად, სამქულიან მაქსიმ ლაგარდთან და მარკელ კანარეკთან დამარცხდნენ.

გოგონებში ქულა გაიყვეს **მერი არაბიძემ** და რუსმა დარია პუსტოვოიტოვამ, რომელიც ერთპიროვნულად მეწინავეობდა. მას წამოეწია დიანა ბასიუ - შავი ფიგურებით ლანიტა სტეეკოს აჯობა. **მარიამ დანელია** აზერბაიჯანელ ნარმინ ხალაფოვას შეუთანხმდა ყაიმზე.

ალბენურ ბატალიებში ხუთი ტურის შემდეგ 7 მოჭადრაკე დარჩა უდანაკარგოდ, მათ შორისაა **თამარ ესაძე**, რომელმაც გუშინ ორი ლაზიერით მეტოქის მეფე 76-ე სვლაზე დააშამათა.

მე5 ტურის შედეგები

8-წლიანები: თამარ ესაძე (4)-ელიზავეტა სოლოჟენკინა 1:0, რადა მინევა-ნინო დარჩიაშვილი (2) 1:0; ნიკოლოზ კაჭარავა (3)-კირილ სლუჩაკი 1:0.

10-წლიანები: ალინა ჟურაველი-ელენე კოსტავა (2,5) 0.5:0.5, გვანცა მარგველაშვილი (2)-ბენგუ სენა აიანი 0:1; ნიკ ამონი-ლუკა ობოლაძე (2) 0.5:0.5, ცეზარ-სტელიან ზლატეა-ნიკოლოზ პეტრიაშვილი (2) 0.5:0.5, დანიელ-ადრიან იორდანოვი-მათე თოდაშვილი (2) 0:1.

12-წლიანები: ნატა ჯიბუტი (3,5)-დინარა დორჯიევა 0:1, თეა ჭოლაძე (2,5)-სიმონ ლაკინსკა 0.5:0.5, მაიკ ქიომენი-ნინო დახუნდარიძე (2) 1:0, ნინო ჯალაღონია (2)-დესი დი 1:0; ირაკლი ახვლედიანი (2)-მიკოლ კირიჩენკო 0.5:0.5, სერგიუ-გაბრიელ პერეა-ლუკა ლიჩელი (1,5) 0.5:0.5.

14-წლიანები: იულია ოსმაკი-ნინო ხომერიკი (2,5) 0.5:0.5, ანდრეა-მარიორა კოსმანი-მარიამ ჭოლაძე (2,5) 1:0, პასმიკ შახბაზიანი-ანა თედოშვილი (1) 0:1, ქრისტინა ესპინოზა-მაია მუმლაძე (0) 0:1; თითასს სტრემავიჩუსი-ნიკა ღვამბერია (3) 1:0, ნოე თუთისანი (2)-რაჯან ორუილუ 1:0.

16-წლიანები: დეა გოგიშვილი (3)-ბარბარა ჯურაჩი 0:1, ნანი უნაფქოშვილი (2,5)-ალი როი 1:0, ანა შამათავა-სვეტლანა მირზაბეკიანი 1:0, ლიკა კობეშავიძე (2)-ლორა კუკიჩი 1:0; ირაკლი ბერაძე (3)-კლემენტი სიჩევი 1:0, შალვა ნადირაშვილი (2)-ალონ მინდლინი.

18-წლიანები: მერი არაბიძე (3,5)-დარია პუსტოვოიტოვა 0,5:0,5, მარიამ დანელია (3)-ნარმინ ხალაფოვა 0,5:0,5; ზურაბ ჯავახაძე (4)-ნილს გრანდელიუსი 0,5:0,5.

დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ. მე-6 ტურის პარტიები ხვალ გაიმართება.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

ჩახნაშვილი იტალიელებს დაერია

ბიელაში წარმატებული ასპარეზობის შემდეგ (100-ათასიანი ტურნირში ნახევარფინალში გავიდა) **მაკა ჩახნაშვილი** (176) მესტრეს საერთაშორისო ტურნირზე გამოდის. ქართველი ჩოგბურთელი იტალიის ამ ქალაქში მე-8 ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში მაკამ მასპინძელი **ჯულია მაირი** დაამარცხა - 6:4, 6:3. მეორეში ჩვენებურმა კვლავ იტალიელს მოუგო - **ფედერიკა დი სარა** ორ სეტში გაადო - 7:6, 6:3. მოკლედ, ჩახნაშვილი მესტრეს ტურნირის მეოთხედფინალშია გასული, სადაც მისი მეტოქე ხორვატი **ტერეზა მდრეზაა**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ჰანდიკაპი; 6. ავალიშვილი; 8. ალთაბაევი; 10. ბრასი; 12. თელა; 13. "მერანი"; 14. ლომიძე; 15. სანეევი; 16. ადამია; 18. „აია"; 19. ჭედია; 20. მეფე; 23. მოსკოვი; 24. იისელიანი; 25. "არმაზი"; 26. ჩოჩიშვილი.

შვეულად: 2. არველაძე; 3. დელტაპლანერიზმი; 4. კაშია; 5. ვიტ; 7. ივევლევა; 9. შალიბაშვილი; 10. ბულგარეთი; 11. "არმია"; 13. მესაჭე; 17. "მრეტები"; 18. ანდორა; 21. ოსერი; 22. რალი.

● თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

ხინჩეგაშვილის ოქროსფერი წილისყრა

სტამბოლში გრძელდება მსოფლიოს პირველობა ჭიდაობაში, რომელშიც დღეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც ჩაებმებიან -ქალების ორ ბოლო წონასთან ერთად ვაჟთაგან 55-ის ფალავნებიც იჭიდავებენ. ეს წონა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც სტრატეგიული - სწორედ აქ ჭიდაობს **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი,** წლეულს ახალგაზრდებში დუბლის მომგები და უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი. მისგან ახლაც მედალს ველოდით და გუშინ გამართულმა წილისყრამ დიდწილად გაუმართლა კიდეც - ჩვენებური ფინალამდე ასცდა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, რუს ვიქტორ ლებედევს და კიდევ ერთ საშიშ მეტოქეს, აზერბაიჯანელ ევროპის ექს-ჩემპიონ **მაჰმუდ მაგომედოვს** (თუმცა ამას ხინჩეგაშვილმა წლეულს ევროპაზე მოუგო და ბრინჯაოს დააჯერა). ქართველი ფალავანი პირველ შეხვედრასაც სუსტ მეტოქესთან - ვენესუელელ **ფერნანდო ხოსე პარედეს როხასთან** ჩაატარებს. ბოლო თვეებში ვენესუელელებმა ძიუდოსა თუ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სიურპრიზები კი შემოგვთავაზეს, მაგრამ იმედია, ხინჩეგაშვილი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება. პარედეს როხასთან წარმატების შემთხვევაში მომდევნო წრეში მას ჩინელი **მუდე ქი** ელოდება, ხოლო თუ იმასთანაც წარმატებით იჭიდავებს (რისი დიდი იმედიც გვაქვს), მერვედფინალში გასასვლელ შეხვედრას ბრიტანელ **კრეიგ ტომას მაკენასა** და ნამიბიელ **ნაატელა სემ შილიმელას** შორის მოგებულთან ჩაატარებს. როგორც ვხედავთ, ხინჩეგაშვილს ისეთი ბადე აქვს, მერვედფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. იმ ეტაპზე მისი მეტოქე ისეთი ძლიერი ფალავნების პაექრობაში გაირკვევა, როგორიც უზბეკი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **დილშოდ მანსუროვი,** ჩრდილო კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი **კიონგ ll იანგი,** ახალგაზრდებში მსოფლიოს გამარჯვებული ირანელი **ჰასან რაჰიმი,** ბულგარელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რადოსლავ მარინოვ ველიკოვი,** ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი ბელარუსი **ულადძისლაუ ანდრეიუ** და სხვები არიან. ჩვენებურის მხარესაა მასპინძელი **აჰმედ პეკერიც,** მაგრამ ის ხინჩეგაშვილს ნახევარფინალამდე არ ხვდება.

წინასწარი შეხვედრები თურქეთის დროით 14 საათზე დაიწყება, ფინალები - ასევე იქაური დროით 19.30-ზე.

ხვალ ჩემპიონატში 60, 84 და 96-ის ფალავნები გამოვლენ ანუ ჩვენგან ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** (60), ახალგაზრდებში წლეულს დუბლის კიდევ ერთი მომგები და ხინჩეგაშვილის მსგავსად, უფროსებში ევროპის ვერცხლის მედალოსანი **დავით მარსაგიშვილი** (84) და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** (96). ჩვენი გუნდის დანარჩენი სამეული - **შალვა მუზიაშვილი** (66), ევროპის პრიზიორი **დავით ხუციშვილი** (74) და ევროპის ექს-ჩემპიონი **დავით მოძმანაშვილი** (120) ზეგ იასპარეზებს.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდები

ბელგიური წილყრა

დღეს ბელგიურ ლომელში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა იწყება, რომელშიც თავდაპირველად ბიჭებიდან 55-60, გოგოებიდან კი 44, 48 და 52-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. 55-ში **ლერი ჭელიძე** პირველ შეხვედრას სომეხ **სერიოჟა ალექსანიანთან** გამართავს, **გიორგი მესაბლიშვილი** - ჩერნოგორიელ **ვუკ ნიკჩევიჩთან. ვაჟა მესაბლიშვილი** (60) პირველ შეხვედრას რუს **არამ გრიგორიანთან** ჩაატარებს, მასთან წარმატების შემთხვევაში კი ფინელი **ფაიე ნჯიე** ელოდება. ამავე წონაში **გიორგი კაცია** იტალიელ **ფაბიო ბასილეს** დაეჭიდება. დღეს ერთი მონაწილე გოგოებშიც გვეყოლება - **ნონა მერაბიშვილი** (52) უკრაინელ **ოლექსანდრა სტარკოვას** დაეჭიდება.

ხვალ ბიჭებიდან 66, 73 და 81-ის, გოგოებიდან კი 57, 63, 70-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ. 66 კილოგრამში **ლაშა შავდათუაშვილი** უნგრელ **მარტინ ვეგვარის** დაეჭიდება, **ოთარ არჩუაძე** კი პირველ წრეში თავისუფალია და უკრაინელ **ანტონ ჩეტვერიკსა** და ესტონელ **კრისტიან ტონისტეს** შორის მოგებულის გამოვლენას დაელოდება. ჩვენი მოჭიდავეები ასევე მეორე წრიდან ჩაებმებიან ტურნირში 73 კილოგრამშიც, სადაც მათი მეტოქეებიც უკვე ცნობილია - **მიხეილ ჩოხელი** თურქ **ლიკერ გულდურენს** ხვდება, **ფრიდონ გიგანი** - პორტუგალიელ **ნუნო სარაიავას.** პირველ წრეში ისვენებს **შალვა ნინიძეც** (81), რომლის მეტოქეც ბელგიელ **გლენ ვან დერ ველდეს** და დანიელ **ბენჯამინ კხელდსენს** შორის გაირკვევა. 81-ში ჩვენი მეორე მონაწილე - **ბექა რატიანი** პირველივე წრეში **სერხიუ გონჩუკს** დაეჭიდება. გოგოებში **სოფიო ბერიძე** (57) ხორვატ **ანა კოკეზასთან** იჭიდავებს, **თეონა სუხიტაშვილი** (70) - ავსტრიელ **ბერნადეტე გრაფთან.**

დანარჩენი წონების წარმომადგენლები 18 სექტემბერს იასპარეზებენ. ამ დღეს **გიორგი ქავთარაძე** (90) მეორე წრეში გერმანელ **იონას ბაიერს** შეხვდება, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი იმედი **გიორგი მერმანიშვილი** კი - ბელარუს **ულადძიმირ შუმეიკას.** 100-ში ქართულ-ჰოლანდიური დაპირისპირებაა - **გიორგი ცნობილაძე ტიხს ვან პიუგენბოხს** ხვდება, **ელგუჯა ბიბილაშვილი - ტიმო ლესტერჰუისს.** მძიმე წონაში **უშანგი კოკაური** პირველი ორი წრე თავისუფალია, მესამეში კი ავსტრიელი **დანიელ ალერსტორფერი** ელოდება. **ლევან მატიაშვილის** მეტოქე რუმინელი **დანიელ ნატეა** იქნება. ამ დრეს გოგოებში ერთადერთი მონაწილე გვეყოლება - **ელენე ქებაძე** (+78), რომელიც პირველ წრეში ისვენებს. მისი მეტოქე ჰოლანდიელ **ინგე ეკენჰორსტისა** და გერმანელ **კაროლინ ვაისის** შეხვედრაში გაირკვევა.

ირაკლი თავაძე

● ჩოგბურთი

შესაძლოა, ქართული ფინალი ვიხილოთ

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დასასრულს უახლოვდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი - „საქართველოს თასი-2011“, რომელშიც 10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ (საპრიზო ფონდი 10 ათასი ამერიკული დოლარი).

გუშინ მეოთხედფინალში წარმატებით ითამაშეს ქართველმა ჩოგბურთელებმა: მეორე ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (458) ორ სეტში დაამარცხა რუსეთში მცხოვრები თანამემამულე **მაია კაციტაძე** - 6:4, 6:1, ხოლო მე-3 ნომერმა **თათია მიქაძემ** (470) იოლად სძლია მე-5 ნომრად განთესილ **ნადია კოლბს** (უკრაინა) - 6:2, 6:1. რუსმა პოლინა მონოვამ (791), ვისაც ამ შეჯიბრებაზე მე-8 ნომერი ხვდა, ასპარეზობის რეიტინგფავორიტ მარია ზანევსკას (400) აჯობა - 6:3, 7:5, სომეხ ანი ამირაგიანს (715) ალინა ვესელის (გერმანია) გზიდან ჩამოსაცილებლად სამი სეტი დასჭირდა - 3:6, 6:2, 6:1.

დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან თათია მიქაძე-პოლინა მონოვა, სოფიო ქვაცაბაია-ანი ამირაგიანი.

ქვაცაბაიას და მიქაძეს კიდევ ერთი მძიმე დუელი ელით: წყვილთა პაექრობის ფინალში დღეს ისინი ანასტასია პრენკოსა და ვიქტორია იემილიანავას დუეტთან გაარკვევენ ურთიერთობას. გუშინ ნახევარფინალში ჩვენებურებმა ალონა ფომინას და ნადია კოლბს (ორივე-უკრაინა) სძლიეს - 6:2, 6:4, ხოლო პრენკო-იემილიანავას ინტერნაციონალურმა წყვილმა **ბაბილინა მაჩაიძე** და **ნინო სუჯაშვილი** (ორივე-საქართველო) დაგვიჯაბნა - 6:0, 6:2.

- მე და თათია მიქაძეს მართლაც დაძაბული დღე გვქონდა, - მითხრა ასპარეზობის შემდეგ სოფიო ქვაცაბაიამ. - განსაკუთრებით კაციტაძესთან პირველი ხელის მოგება გამიჭირდა. მაია ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი ჩოგბურთელია. წლეულს უიმბლდონის 18-წლიანთა ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა. როცა ანგარიში იყო 5:4, მის მოწოდებაზე გეიმიც მოვიგე და სეტიც. მეორეში უფრო თავისუფლად, დაუძაბავად ვთამაშობდი და იმ ხელში იოლად გავიმარჯვე.

პარასკევს უფრო დაძაბული პაექრობები მექნება: ინდივიდუალურში ანი ამირაგიანს ვხვდები ნახევარფინალში, ხოლო თათია მიქაძესთან ერთად წყვილთა ფინალშიც მომიწევს ბრძოლა პირველობისთვის. არადა, თათიასაც სერიოზული მეტოქე ჰყავს პირადში.

- **წლეულს, იმედია, ფორტუნას არ უჩივი...**

- გაზაფხულზე უზბეკეთის ქალთა ტურნირის ფინალში გავედი, შემდეგ თურქეთის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში. იქვე მეორე შეჯიბრების ნახევარფინალამდე მივაღწიე. თურქული ბატალიების მერე ავადმყოფობის გამო მცირეოდენი ჩავარდნა მქონდა. ახლა ისევ ვიბრუნებ ჩვეულ ფორმას.

- **ალბათ, ბათუმის ნავთობტერმინალის ტურნირზეც გიხილავთ.**

- ამ შეჯიბრების საპრიზო ფონდის 25 ათას დოლარამდე გაზრდამ და თელავის 50-ათასიანმა ტურნირმა საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელები მიიზიდა. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის ლეილა მესხის ძალისხმევით „ნავთობტერმინალზე“ ძირითად ბადეში „ველური ბარათით“ დამიშვეს. ვეცდები, ორგანიზატორებს იმედები არ გავუცრუო.

ვაჟა დანელია

● მიხეილ კაკაბაძე-90

დიდი რედაქტორი

მიხეილ კაკაბაძე (მარცხნივ) და ნოდარ ავაუშვილი

ყველა საქმეს ჰყავს გამორჩეული - ცოდნით, პროგრესული აზროვნებით, ადამიანებთან ურთიერთოების განსაკუთრებული უნარით, რაც ამა თუ იმ სფეროს წინსვლა-განვითარების იმპულსი ხდება საბოლოო ჯამში. ასეთი პიროვნება გახლდათ **მიხეილ,** ახლობლებისთვის **„კუწა“ კაკაბაძე,** დიდი პიროვნება და დიდი რედაქტორი - უპირველესად „ლელოსი“. რა დროც უნდა გავიდეს, არანაირად არ გაფერმკრთალდება ის ღვაწლი, რაც მას მიუძღვის არა მხოლოდ „ლელოს“, არამედ ზოგადად ქართული პრესის წინაშე, რადგან იყო ნოვატორი რედაქტორი და საქმის უბადლო ცოდნით გამორჩეული შემოქმედი. ცალკე თემაა ქართული სპორტის მატიანის სისტემატიზაციისადმი მიხეილ კაკაბაძის, როგორც რედაქტორის, ხედვა. ამ პროცესს სათავეც, ფაქტობრივად, მან დაუდო. კარგად ესმოდა სახელოვან სპორტსმენთა ხალხის კერპად ქცევის ხელოვნება - დღესაც არათუ თვით ჩვენი ლეგენდარული ათლეტები, გულშემატკივრებიც სათუთად ინახავენ ოჯახებში „ლელოს“ 60-50-40 წლის წინანდელ ნომრებს.

არ ვედრებით და არც ვიკადრებთ, მაგრამ არ დავმალავთ: როცა „ლელოს“ პოზიცია პრინციპულ საკითხებთან იკვეთებოდა და იკვეთება, ბევრი ფიქრი და ორჭოფობა არ არის საჭირო. ბრძნული მრჩეველი ისვე და ისვე ჩვენი დიდი მასწავლებელია - როგორც ის მოიქცოდა - აი, ჩვენი არჩევანი!. და არც არასდროს გვინანია ამ არჩევანის გამო. საბჭოთა პერიოდშივე დაინყო საქართველოში დამოუკიდებელი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბება და დაიწყო იგი „ლელოში“, იმავე პერიოდში აგორდა საბჭოთა საფეხბურთო ჩემპიონატიდან ქართული ფეხბურთის გამოყოფა-დამოუკიდებლობის ტალღა და აგორდა იგი „ლელოს“ ფურცლებზე; ერთადერთი საუწყებო გაზეთი „ლელო“ იყო, რომელმაც შეძლო გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში თავიდან აეცილებინა დუბლირებული გამოცემა რუსულ ენაზე. ასეთი ბევრი რამ სხვაც იცის „ლელოს“ მარად ერთგულმა მკითხველმა და იცის, რომ „ლელო“ უპირველესად მიხეილ კაკაბაძის სახელთან და ღირსებასთან ასოცირდება.

ერთიც: ახალგაზრდების შერჩევისა და პროფესიულ დაოსტატებაში ხელშეწყობის უნიკალური უნარი ჰქონდა ჩვენს რედაქტორს. ადვილად ვერავინ მოხვდებოდა „ლელოში“ ჟურნალისტად, მაგრამ ვინც ამ ბედს ეწეოდა, მერე ფეხს აღარ იცვლიდა რედაქციიდან. ბოლომდე დარჩა გაზეთის ერთგული ძველი თაობა, სამუდამოდ ლელოელი გახდა ამ სტრიქონების ავტორიც. ბუნებრივია, ისიც, რომ ქართულმა სპორტულმა ჟურნალისტიკამაც ფეხი „ლელოში“ აიდგა და მის აკვანთანაც მიხეილ კაკაბაძე იდგა.

გვეამაყება, რომ ამ შეუდარებელ პროფესიონალს და ადამიანს ღირსეულ პატივს მიაგებენ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის მემკვიდრეები. 80 წლის საიუბილეოდ **პაატა ნაცვლიშვილის** დიდი რუდუნებით მომზადდა და გამოიცა ნიგნი მიხეილ კაკაბაძეზე - "მომავლის ქართველის გახსენება". დიახ, ის ჭეშმარიტად მომავლის ქართველი იყო და ასეთად დარჩება მუდამ.

თენგიზ გაჩეჩილაძე

დინამოს მაგივრად - იბერია

დღეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა წარსულში ცნობილ ჟურნალისტს, „ლელოს“ პირველ რედაქტორს, ბრწყინვალე პიროვნებას **მიხეილ კაკაბაძეს.** ამ თარიღთან დაკავშირებით მეც მინდა შეძლებისდაგვარად პატივი მივაგო ბატონ მიხეილს და გავიხსენო მისი მოღვაწეობიდან ერთი ამბავი, რომელიც დღესაც კი, ჯერჯერობით, არცთუ წარმოჩენილია. საქმე ეხება იდეოლოგიური ომის ისეთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, როგორიცაა სპორტული (უპირველესად კი საფეხბურთო) გუნდებისა და სტადიონების სახელწოდება.

ბატონ მიხეილს მე პირველად შევხვდი 1976 წლის დასაწყისში, როდესაც „ლელოში“ მივიტანე წერილი „ხომ არ შევებრძოლოთ „ტრადიციებს?“ წერილი ეხებოდა გუნდების სპორტმარაზმატული სახელწოდების შეცვლის საკითხს. ჩვენი შეხვედრა შედგა ჩემი მეგობრის, ისტორიკოს **გიორგი ქავთარაძის** ხელშეწყობით. მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი გიორგი იმთავითვე არის ინიციატორი კამპანიისა, სოციალისტური, პირდაპირ ვთქვათ - ანტიქართული სახელების წინააღმდეგ, ჩვენს ფეხბურთში. მან, და მისმა მამამ, მათემატიკოსმა **ლეო ქავთარაძემ,** არაერთი წერილი გამოაქვეყნეს იმ გაზეთში, რომლის სახელი ბევრს ავალებს მის თანამშრომლებსაც და ავტორებსაც. ეს არის გაზეთი „ლელო“. განახლებული ქართული სპორტული გაზეთის ეს სახელი კი მაშინდელმა რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ დაამკვიდრა (კომუნისტების დროს!) და შეუძლებელია იგი ვინმემ შეცვალოს (სპორტული გუნდების სახელებისგან განსხვავებით). დაინტერესებულ მკითხველს და მკვლევრებს გთავაზობთ იმდროინდელი „ლელოს“ ნომრების სიას, სადაც ზემოხსენებული წერილები დაიბეჭდა. „ლელო“ 31. 08. №173, 1975; „ლელო“ 25. 01. №17, 1976; „ლელო“ 1979 წლის ნომრები. ამ მასალების გამოქვეყნებას მაშინ, ძალიან დიდი გამბედაობა სჭირდებოდა და ეს თვისება, ისევე როგორც ქართველობის მძაფრი შეგრძნება, რედაქტორს ნამდვილად არ აკლდა.

მახსოვს, როგორ გვითხრა ბატონმა მიხეილმა მასთან მისულ რამდენიმე ახალგაზრდას: ბიჭებო, დღეს „დინამოს“ სახელს არავინ გამოუცვლის, აი, განახლებულ სტადიონს კი შეიძლება „იბერია“ დაარქვან. ვცადოთ“. ამის შემდეგ გამოქვეყნდა ისეთი შინაარსის წერილი, რომლის მსგავსს, დღესაც კი, ისევ და ისევ მხოლოდ „ლელო“ თუ დაბეჭდავს.

დასასრულ, ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ახლაც „ლელო“ მიხეილ კაკაბაძის სულისკვეთების გაზეთია და ამკვიდრებს იმას, რასაც ათიათასობით ადამიანი სკანდირებს ტრიბუნებზე - „ლელო, ლელო, საქართველო!“

პატივისცემით,
ალექსანდრე ჟღენტი
საქართველოს სპორტული კინოსა
და ტელევიზიის ფედერაციის
საპატიო პრეზიდენტი

რესპუბლიკის სპორტული სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულები იუწყებიან თავიანთი მწვრთნელის, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ოდენის კავალერის

თენგიზ კუგლაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 15, 16.09; გამოსვენება 17.09; 15 საათზე
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 51, VII კორპ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ. ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲐᲑᲠᲔᲣ

ᲨᲔᲨᲚᲘᲚᲘ ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲣᲛᲐᲜᲣᲠᲝᲑᲐ

ᲛᲗᲔᲚᲘ კარიერის განმავლობაში ამ ფეხბურთელს "ელ ლოკოს" ანუ "შეშლილს" უწოდებდნენ. მეტსახელი მას ხასიათისა და იუმორის განსაკუთრებული გრძნობის გამო შეარქვეს. სებასტაინ აბრეუ არ არის ჩვეულებრივი ფეხბურთელი, ის ყველასგან გამოირჩევა თავისი მისწრაფებებით. ექსკლუზიური ინტერვიუ მან ფიფას ოფიციალურ ვებგვერდს მისცა.

- ურუგვაის ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებების საფუძველი რა არის?

- საფუძველი არის ის, რასაც ადრე ვერ ვახერხებდით - იდეა, რაღაც მისტიკა, რომელიც უკვე რეალობად იქცა. კარგი მოთამაშეები ადრეც გვყავდა, მაგრამ სათანადო მხარდაჭერას გუნდი ვერასოდეს იღებდა. შემდეგ, როცა გუნდში მაესტრო ტაბარესი მოვიდა, ჩვენ ვიპოვეთ ჩვენი თავი. უკვე გვაქვს მკაცრად განსაზღვრული ტაქტიკა. ახლა უკვე სწორი მიმართულებით მივდივართ და შედეგებიც მოვიდა.

- რა დასკვნები გამოიტანეთ ამერიკის თასზე ტრიუმფის შემდეგ?

- აუცილებელი იყო ტიტულის მოპოვება, რათა ლოგიკურად დასასრულამდე მიგვეყვანა ის დიდი სამუშაო, რასაც ბოლო წლებში ვეწეოდით. ტიტულის მოპოვებით ამ მიზანს მივაღწიეთ. ჩვენ დავამარცხეთ მასპინძლები და ლიონელ მესი. გავიმარჯვეთ ნახევარფინალსა და ფინალში. ახლა კონტინენტის ყველაზე წარმატებული გუნდი ვართ. ყოველივე ამის წყალობით ახლა ბედნიერი ვარ.

- ფიქრობთ, რომ ურუგვაი სამხრეთ ამერიკაში საუკეთესო ნაკრებია?

- ეჭვიც არ მეპარება. საუკეთესონი ვართ თამაშისა და შედეგების თვალსაზრისითაც.

- თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ მწვრთნელობას აპირებთ.

- ჩემი გონება აქეთკენ მრავალი წელია მომართულია. ზოგიერთი მწვრთნელი, ვისთანაც მიმუშავია, ამისკენ მიბიძგებდა სულ მცირე დეტალებითაც კი. ყოველთვის მაინტერესებდა ტაქტიკა და გვარდიოლასთან, ხუან მანუელ ლილიოსთან დროის გატარება. ძალიან ბევრი ვისწავლე სიმეონესგან, პელეგრინისგან, ტაბარესისგან და ბოტაფოგოს მწვრთნელის უგო დელეონისგან. ისინი თანამედროვე, დინამიკური მწვრთნელები არიან. მათი წყალობით თამამს განსხვავებულად ვკითხულობ.

- კარიერის განმავლობაში უამრავ ქვეყანაში გითამაშიათ, მაგრამ ევროპაში თამაშით სიამოვნებას ვერასოდეს იღებდით. სწორი ფორმულირებაა?

- არა, ასე არ არის. მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა "დეპორტივოში" გადავედი და 18 მატჩი ჩავატარე. გუნდის სამომავლო გეგმებში არ ვჯდებოდი. ვეძებდი ჩემი სტილის გუნდს, მაგრამ საინტერესო წინადადება მხოლოდ ამერიკიდან მივიღე. ერთადერთი მიზანი მქონდა, რეგულარულად მეთამაშა, რათა ურუგვაის ნაკრებში ის ადგილი შემენარჩუნებინა, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო. უკან დაბრუნების გამო არ მინერვიულია. შემდეგ მე "რეალ სოსიედადში" გადავედი, სადაც 11 გოლი გავიტანე 17 შეხვედრაში, რამაც ძალიან გამახარა. ვფიქრობ, ევროპული ფეხბურთი მაინც ცოტა გადაფასებულია.



სებასტიან აბრეუ განუყრელ ვიდეოკამერასთან ერთად

- შვიდ ქვეყანაში გითამაშიათ. ეს იმიტომ, ცნობისმოყვარე ადამიანი, რომ ხართ?

- ყოველთვის ვეძებდი გამოწვევებს, ვეძებდი კლუბებს, რომლებიც სურვილების ასრულებაში დამეხმარებოდნენ. ეს ვიპოვე სწორედ "ბოტაფოგოში". ყველა კლუბი კარგად არ მახსენდება, მაგალითად, "დეპორტივო". ისინი იჯარით ერთსა და იმავე კლუბში ზედიზედ ორჯერ არ მიშვებდნენ, აი, მიზეზი, რის გამოც ახალი კულტურული აღმოჩენების კეთება მიწევდა.

- რა მიზნები გაქვთ კარიერაში?

- გამარჯვებებს ჯერ კიდევ ვეძებ, რათა ჩემი კლუბის პრესტიჟი ავამაღლო. კარგად თამაში მჭირდება იმიტომ, რომ ნაკრებში ადგილი შევინარჩუნო. ასევე ვცდილობ, დავრჩე დისციპლინირებულ პროფესიონალად. მინდა სიახლეც შევიტანო კარიერაში, მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგო.

- თქვენ მუდამ თან დაგაქვთ კამერა. რისთვის, რომ შემდეგ შვილებს აჩვენოთ? სად დაგებადათ ეს იდეა?

- მე მინდა მათ ვანახო ყველაფერი, რაც ფეხბურთში ხდება, ის, რასაც ჩვეულებრივ ტელევიზორში ვერ ხედავთ, კარგიც და ცუდი რა მოგვნონს, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს. ეს მათთვის კარგი იქნება. დღის ბოლოს ხომ ჩვენ ოჯახთან ერთად ვართ, როგორც ყველა დანარჩენი.

- აპირებთ რამე გააკეთოთ მერე ამ ფოტოებით?

- მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ურუგვაელმა ფეხბურთელებმა დააარსეს ფონდი, რათა დაეხმარონ უსახლკარო ბავშვებს. გვინდა გავაკეთოთ დოკუმენტური ფილმი იმაზე, რაც ხდება ტაბარესის ნაკრებში. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი ამას სიამოვნებით ნახავს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

ᲕᲔᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲘ

- ჩვენ თავდადებით ვითამაშეთ, რადგან ვიცოდით, რომ რთული შეხვედრა გვექნებოდა. თავის კარგად დაცვა ბევრს ნიშნავს. ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენ "დორტმუნდთან" შევძელით. არ ვფიქრობ, რომ ბევრი გუნდია, რომელიც ჩავა ამ ქალაქში და დაამარცხებს ადგილობრივ გუნდს. ჩვენ კი ამ მიზანთან ძალიან ახლოს ვიყავით.

ᲕᲐᲜ ᲞᲔᲠᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ

ვან პერსის გოლში არაჩვეულებრივი არაფერი იყო. ეს იყო რობინის კარგი გაქცევა და **თეო უოლკოტის** კარგი პასი. გასაკვირი იყო ის, რომ მან გოლი მარჯვენა ფეხით გაიტანა. აღმოჩნდა, რომ ის არ არის მხოლოდ მემარცხენე ფეხბურთელი. ვან პერსი კაპიტანია, ჩვენ ვახალისებთ მას, რომ მოედანზეც და მის მიღმაც სიტყვაუხვი იყოს, განსაკუთრებით - გასახდელში. მან ორიოდე სიტყვა მითხრა იმის თაობაზე, რასაც ფიქრობდა. რასაც, შეიძლებოდა, რომ ჩვენთვის წარმატება მოეტანა. მეც მოკლედ ავუხსენი, რაც ფაქტობრივად შეგვეძლო გაგვეკეთებინა, იმისთვის, რომ გუნდი უფრო ძლიერი ყოფილიყო.

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲥᲔ

უკვე ვთქვი, რომ თავის კარგად დაცვა ბევრს ნიშნავს და ჩვენმა ფეხბურთელებმა ამ საქმეს თავი კარგად გაართვეს. არ დაგავიწყდეთ, რომ "ბორუსია" მართლა ძალიან ძლიერი გუნდია. ამაზე ორი აზრი ალბათ არ არსებობს. კარგი იქნებოდა, რომ მოგვეგო? რა თქმა უნდა. რაღაც ამის მსგავსი დაგვემართა "ტოტენჰემთან", როცა თამაშს ვიგებდით და დენი როუზმა დაახლოებით 35 იარდიდან (იარდი 91 სმ მეტრს უდრის. რედ.) გაგვიტანა. შემიძლია ვივარაუდო, რომ თუნდაც 40-ჯერ სცადოს ბედი, გოლს გაიტანს კი არა, შეიძლება კარკასს გაარტყას ან მეკარეს. ეს ფანტასტიკური შესრულება იყო. "დორტმუნდი" თამაშის სტილით ძალიან გვგავს. ახლა უკვე ვიცით, რანაირ ფეხბურთს ვაჩვენებთ, როცა ფორმაში ვართ. თუმცა ვიმეორებ, ერთი ქულა კარგი შედეგია.

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲕᲔᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

პირველ რიგში უცნაური ის იყო, რომ მწვრთნელს ჩემს გვერდით ვერ ვხედავდი. ჩვეულებრივ ის ყურში ჩამყვირის ხოლმე, "რატომ გააკეთა მან ეს?" ან "რატომ არ გააკეთა მან ეს"? არა, ჩემი მოწოდება არასოდეს ყოფილა საფეხბურთო კლუბის მთავარი მწვრთნელობა. შეიძლება უცნაურია, მაგრამ ჩემთვის ის ზედმეტად დაძაბული სამუშაოა.

ᲝᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

მეჩვენება, განსაკუთრებით შაბათის თამაშის შემდეგ, რომ რეალურად ეს იყო ჩვენთვის სეზონის დასაწყისი. აქამდე არ ვიყავით დარწმუნებულები ახლადშეძენილი რამდენიმე ფეხბურთელის სამომავლო პერსპექტივაში. ისინი ძალიან, ძალიან კარგი მოთამაშეები აღმოჩნდნენ იმათ ჯგინაზე, ვინც მათზე ცუდს ლაპარაკობდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი შემდგომ მატჩებშიც გამოიჩენენ თავს.

ჩემი აზრით, პერ მერტეზაკერი ფანტასტიკური ფეხბურთელია. იმდენი თამაში, რაც მან გერმანიის ეროვნულ გუნდში ჩაატარა, უკვე ნიშნავს, რომ შეუძლებელია, ის ცუდი მოთამაშე იყოს. მან კარგად ითამაშა ლორან კოშელნისთან დუეტში. ვფიქრობ, ის უკეთ და უკეთ ითამაშებს.

არსენალის მწვრთნელი პეტ რაისი

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲚᲔᲑᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲓᲐᲜ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲞᲔᲚᲔ

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავისი გუნდის ჯგილა **უეინ რუნის** „თეთრი პელე" უწოდა. შეგახსენებთ, რომ რუნიმ პრემიერლიგის ბოლო ორ ტურში 6 (!) გოლი გაიტანა. „იუნაიტედის" ბოსმა „სანთან" ინტერვიუში თქვა: *„მე ვფიქრობ, იგი ტიპური ბრიტანელი მოთამაშეა და ისეთ ვარსკვლავებს მაგონებს, როგორებიც იყვნენ პოლ გასქოინი, ჯორჯ ბესტი, ბობი ჩარლტონი, დენის ლოუ... განსხვავება ის არის, რომ რუნი უფრო გამძლეა. ვისაც პელეს თამაში უნახავს, აუცილებლად ეხსომება, რომ იგი ისეთივე აგრესიული გახლდათ — უბრალოდ, რუნი თეთრია, თორემ ისინი აბსოლუტურად ჰგვანან ერთმანეთს".*

ᲢᲝᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

„ჩელსის" 50-მილიონიანმა შენაძენმა **ფერნანდო ტორესმა** ესპანური პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალურ საიტს განუცხადა, ჩემი თანაგუნდელები ძალიან „ბებრები" არიან და საკმაოდ ნელ ტემპში ასპარეზობენო. მოდი, მოვისმინოთ დაწვრილებით, რას ამბობს იგი: *„ჩემი თანაგუნდელები ძალიან ბებრები გახლავან და საკმაოდ ნელ ტემპში თამაშობენ. ფრენკ ლამპარდი რასაკვირველია, უდიდესი მოთამაშეა, მაგრამ დაბერდა და ძველებურად ვეღარ თამაშობს. კიდევ კარგი, ხუან მატა შევიძინეთ — მან გუნდს სისწრაფე აშკარად შემატა. კლუბის მფლობელს წლევანდელ სეზონში ტიტულების მოგება აქვს მიზნად დასახული და ჩვენც ამისათვის ბოლომდე ვიბრძოლებთ".*

ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲜᲐᲚᲚᲔᲑᲘ

მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** მიიჩნევს, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერს** იმ დონეზე შეუძლია თამაში, რა დონეზეც **ჩავი** და **ანდრეს ინიესტა** ასპარეზობენ. „დონ იუპი" „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: *„როცა შვაინი ფორმაშია, იგი არაფრით ჩამოუვარდება ჩავისა და ინიესტას — თუმცა, სეზონიდან სეზონამდე ერთ, მაღალ დონეზე რომ თამაშობდე, მხოლოდ ბასტიანის დარი ფეხბურთელები არ კმარა, ჩვენ კიდევ უნდა შევიძინოთ ორი-სამი ტოპკლასის მოთამაშე. ამჟამად, ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი „ჩელსის", „მანჩესტერ იუნაიტედს", „რეალსა" და „ბარსელონას" აქვს, თუმცა ჩვენ მათთან თანაბარი თამაში შეგვიძლია".*

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲫᲔᲜᲘ

ტურინის „იუვენტუსის" გოლკიპერი **ჯანლუიჯი ბუფონი** „მილანიდან" მათ გუნდში გადასულ **ანდრეა პირლოს** საუკუნის შენაძენად თვლის. *„როდესაც მითხრეს, რომ პირლო ჩვენს გუნდში გადმოდიოდა, მხოლოდ ერთი რამ ვთქვი: როგორც იქნა! — ციტირებას უკეთებს ჯიჯის სიტყვებს „გაძეტა დელო სპორტი" — ასეთი მოთამაშის შეძენა, რასაკვირველია, საუკუნის ტრანსფერია. როცა ადრიანო გალიანის შევხვდი, ვუთხარი, დიდი მადლობა ამ ტრანსფერისთვის, თქვენ ჩემპიონატი უფრო დაბალანსებული გინდოდათ რომ გამოსულიყო და ახლა ასეც მოხდა-მეთქი".*

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲢᲪᲔ?!

მადრიდის „რეალის" პორტუგალიელმა ნახევარმცველმა და ერთ-ერთმა ლიდერმა **კრიშტიანუ რონალდუმ** ცინიკური ფრაზებით მოიხსენია დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველი **მარიო გიოტცე**, რომელიც აშკარად ბრნყინვალე მოთამაშეა: *„ვინ არის გიოტცე?! რომელ პოზიციაზე თამაშობს, რამდენად კარგია იგი? მე ბუნდესლიგას ხშირად არ ვუცქერ".*

ᲮᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

უდავოდ „პალერმოსა" და „ინტერის" დაპირისპირება, რომელიც დრამატულ ორთაბრძოლაში სიცილიურმა კლუბმა იმარჯვა — 4:3. ეს იყო საკმაოდ საინტერესო, დაძაბული თრილერი. ამ შეხვედრაში თავისი პირველი იტალიური გოლი გაიტანა **დიეგო ფორლანმა**.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲤᲣᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ვარსკვლავი



მიხაელ ბალაკი – ჩელსის ისტორიის ნაწილი გახდა

გერმანელი არისტოკრატი

უკანასკნელად, როცა "ჩელსის" გულშემატკივრებმა მიხაელ ბალაკი მინდორზე იხილეს, ის ტრავმირებულ ფეხზე ფიქრობდა. ეს იყო 2010 წელს ინგლისის თასის ფინალში "პორტსმუთის" წინააღმდეგ. მიხეალი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც "არისტოკრატთა" ისტორიას წერდა, ფეხბურთელი, რომელმაც გუნდთან ერთად დუბლი შეასრულა და წავიდა. სამახსოვროდ კი ლონდონიდან ამობრუნებული მუხლი წაიღო – საჩუქარი კევინ-პრინს ბოატენგისგან. თასის ფინალი იყო თამაში, სადაც მრავლად ვიხილეთ წვრილმანი სიმუსაციები, ბალაკის ყვირილი კი ტრავმის მიღების შემდეგ ისტორიული გახდა. მაშინ, როცა ბალა მინდორს ტოვებდა, ალბათ ცოტა თუ იფიქრებდა, რომ ის სამუდამოდ მიდიოდა.

ინტერვიუ ფეხბურთელთან "დეილი მეილის" ჟურნალისტმა რობ დრეიპერმა ჩაიწერა. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

"მე არ მქონდა შანსი ფანებს ოფიციალურად დავმშვიდობებოდი, რადგან კლუბთან კონტრაქტზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი. იმედი მქონდა, რომ დავრჩებოდი," – ამბობს ბალაკი. იმ დღეს კი ყველაფერი შეიცვალა. ტრავმამდე ის გერმანიის ნაკრების კაპიტანი იყო, 98 მატჩით ეროვნულ გუნდში და მსოფლიოს ჩემპიონატს ელოდებოდა. ტრავმის გამო კი 3 თვე გაატარა "თამაშგარეთ", ამის შემდეგ კი განაცხადა, რომ ტოვებდა ნაკრებს. ტრავმამდე ის "ჩელსის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო, შემდეგ კი კლუბის პრესსამსახურისგან მხოლოდ მცირე კომენტარსღა ეღირსა.

საინტერესო და უჩვეულოა იმ ადგილას დაბრუნება, სადაც მიხაელი იწყებდა თავის ბრწყინვალე კარიერას. ის ისევ იმ რესტორანში სადილობს, სადაც 22 წლის ბიჭი დადიოდა ხოლმე. მასპინძელი კი ყოველ ჯერზე ძველებურად ემოციურად ხვდება. რესტორნის კედლებს ბალაკის ზუსტად ის ფოტოები ამშვენებს, რომელიც იქ 10 წლის წინ ეკიდა. მაგრამ მაინც ძალიან ბევრი რამე შეიცვალა. *"როცა აქ პირველად მოვედი, მე მქონდა ტალანტი და მცირე გამოცდილება, მეტი არაფერი,"* – ამბობს ფეხბურთელი. ახლა ბანერი მისი გამოსახულებით "ლევერკუზენის" არენას ამშვენებს სხვა გამოჩენილ ფეხბურთელებთან ერთად. თავად მიხაელი კი უკვე გამოცდილი პროფესიონალია, კარიერის ბოლო სტადიაზე. უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთი საკულტო გერმანელი მოთამაშე მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეთა სიაში შედის. "ჩელსიდან" მისი წასვლის მიზეზები დღემდე საინტერესოა. მწვრთნელს ხომ მართლა არ სურდა მისი გუნდიდან გაშვება: *"მეც მინდოდა კლუბში დარჩენა, განსაკუთრებით მთავარ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ, მაგრამ უჩვეულოა, როცა ამდენი ხანი გრძელდება მოლაპარაკება ახალ კონტრაქტზე. ყველას სურვილია, რომ სიტუაცია რაც შეიძლება მალე გაარკვიოს. ვფიქრობ, გადაწყვეტილება ჩემთან დაკავშირებით კლუბმა მიიღო და არა მწვრთნელმა".*

შარშან, როცა **ფრენკ ლემპარდმა** ტრავმის გამო ხანგრძლივი პაუზა აიღო, აშკარა გახდა, რომ "ჩელსის" საჩემპიონო ბრძოლის გასაგრძელებლად სწორედ ისეთი გამოცდილი ხალხი სჭირდებოდა, როგორიც ბალაკია. და ეს იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ **რომან აბრამოვიჩმა** ახალ ფეხბურთელებში 120 მილიონი გირვანქა დახარჯა. ბალაკი ამბობს: *"გერმანიაში ვამბობთ, რომ ის, რაც დიდი ხნის წინ არის ნათქვამი, უკვე არააქტუალურია. ხანდახან ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა. ამ დროს რაღაც უნდა შეცვალო. მაგალითად, შეიძლება აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გაკეთდეს, რათა გუნდი რაღაც დონეზე მაინც განსხვავებული გახდეს. ეს ნორმალურია".*

ანჩელოტი

მაშინ, როცა ბალაკი წარსულზე მსჯელობს, ძალიან ფლეგმატური ჩანს. ოდესღაც მას, აღმოსავლეთი გერმაწიის მკვიდრს, მოუხდა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა, რათა დასავლეთში რეპუტაცია შეექმნა. *"აქ მივხვდი, რომ ყველაფერი უნდა მეღონა, რათა ბუნდესლიგაში წარმატებისთვის მიმეღწია,"* – იხსენებს ფეხბურთელი. ამას მაშინ მიხვდა, როცა ძალიან ახალგაზრდა იყო და სულ სხვა, კომუნისტური სამყაროდან იყო მოსული. *"შეიძლება ორივე ფაქტორმა ითამაშა თავისი როლი,"* – ასკვნის ის. რომელ ფაქტორსაც არ უნდა ექცია ის იმ პიროვნებად, რასაც ახლა წარმოადგენს, ყველაფერმა ერთად ასწავლა თამაშის ცინიზმი და გარშემო მყოფებთან დამოკიდებულების წესები. ყოველივე ამის გამო ბალაკი **კარლო ანჩელოტის** მწვრთნელებს შორის ყველაზე მაღლა აყენებს, რადგან: *"ის ყოველთვის ყველასთან სამართლიანი იყო. კარლო მუდამ ნახულობდა საუკეთესო გამოსავალს რთულ სიტუაციებში. რთულში იმიტომ, რომ, გარწმუნებთ, ძალიან ძნელია უხელმძღვანელო ისეთ გუნდს, სადაც უმრავლესობას საკუთარი "ეგო" ძალიან განვითარებული აქვს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კლუბმა რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალა, ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ დამრიგებელში არ არის პრობლემა. თავად ფეხბურთელებიც ხდებიან წარუმატებლობის მიზეზი".*

მოურინიო

ბალაკს პრესამ და **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** 2009 წლის იანვარში მწვრთნელის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდეს ბრალი. ფეხბურთელი ამას უარყოფს: *"ასე არ ყოფილა. არ ვიცი, ვინ უთხრა მას ეს. ბრალდებამ ძალიან გამაკვირვა, რადგან ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ვფიქრობ, მისი პრობლემა ის იყო, რომ გუნდთან სწორი მიდგომა ვერ იპოვა. როცა "ჩელსიში" მივედი, პირველი სწორედ ის ვთქვი, რომ წამყვან ფეხბურთელებს პირადი ამბიციები უნდა დაევიწყებინათ და საერთო საქმე ეკეთებინათ".* რაც შეეხება **ჟოზე მოურინიოსთან** დამოკიდებულებას: *"მასთან საერთო ენა მალე გამოვნახე. ის შესანიშნავი ორატორი და კარგი ორგანიზატორი იყო".* თუმცა 2007 წელს, როცა ბალაკმა ტრავმა მიიღო და სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა, მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. *"ვხედავდი, რომ ჩემზე გაბრაზებული იყო. თუმცა ვხვდებოდი, რომ გულის სიღრმეში იცოდა, მე მართალი ვიყავი. ეს მართლა რთული სიტუაცია იყო. მთელი შვიდი თვე ვერ ვთამაშობდი, ის ალბათ ფიქრობდა, რა სჭირს მიხაელს, რატომ არ სურს დაბრუნებაო, რადგან, წესით, მკურნალობას სამი თვე უნდა წაეღო. ის ჩემთან აღარაფერზე ლაპარაკობდა და მე ვგრძობდი, რასაც განიცდიდა".*

გრანტი

მოურინიოს შემცვლელ **ავრამ გრანტს** ბალაკი ასე ახასიათებს: *"ის ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ ძალიან რთულია ჟოზეს შემდეგ გუნდში მუშაობა... ავრამი ჟოზესგან რადიკალურად განსხვავდებოდა, მაგრამ ფეხბურთი კი ძალიან კარგად ესმოდა. უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელები შეჩვეულები იყვნენ მოურინიოს სუფთა ინგლისურ, აგრესიულ სტილს. მიუხედავად იმისა, რომ სხვანაირად ავთამაშდით, სეზონი მართლა კარგი გამოგვივიდა, მოვიგეთ პრემიერლიგა და გავედით ჩემპიონთა ლიგის ფინალში. რატომ გაუშვეს? არ ვიცი... ის კარგი მწვრთნელი იყო "ჩელსისთვის".* ბალა განსაკუთრებულად მიიჩნევს **გუუს ჰიდინკს** და ფიქრობს, რომ მის ხელში "ჩელსიში" თავად საუკეთესო ფეხბურთს თამაშობდა.

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოლი აპროტესტებს



მარტინ იოლი მოუნოდებს უეფას, გადახედოს ევროთასებზე ფეხბურთელთა მონაწილეობის წესს. ჰოლანდიელი სპეციალისტის გუნდს სნორედ მოქმედი კანონმდებლობის გამო არ შეუძლია "ტვენტეს" ყოფილ მოთამაშე **ბრაიან რუისს** ევროპის ლიგაში "ფულჰემის" დახმარება. რუისი ის ფეხბურთელია, ვისშიც ლონდონელებმა სარეკორდო 10,6 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. იოლი ეთანხმება შეზღუდვას, რომ ერთ ტურნირში ფეხბურთელს არ შეეძლოს ორი გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობა, მაგრამ რატომ ვრცელდება შეზღუდვა სხვა შეჯიბრებაზე, ამის ლოგიკა არ ესმის. ხელშეკრულების დადების შემდეგ რუისი დაინტერესდა, ექნებოდა თუ არა ევროპის ლიგაში თამაშის შანსი. როცა წესი განუმარტეს, თუ რატომ არ შეეძლო, თავდამსხმელი დაიბნა. იოლი გამოტყდა, ბრაიანს ეს წინასწარ რომ სცოდნოდა, ჩვენთან კონტრაქტზე ხელს ალბათ არ მოაწერდაო.

პსჟ დამიაოს უთვალთვალებს

"პარი სენ-ჟერმენში" ზამთარში განსახორციელებელ ტრანსფერებზე აქედანვე რომ ზრუნავენ, ხშირად აღგვინიშნავს. ამ თემას ყველაზე ხშირად "პარიზიენი" ეხება. გამოცემამ ამჯერად გვაცნობა, რომ პსჟ-ს სპორტული დირექტორი **ლეონარდო** ბრაზილიური "ინტერნასიონალის" განაპირა თავდამსხმელს, 22 წლის **ლეანდრო დამიაოს** უტრიალებს გარს. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში მისი შეძენა "ტოტენჰემს" სურდა, მაგრამ კლუბები სატრანსფერო თანხაზე ვერ მორიგდნენ. ლაპარაკობდნენ, რომ მისით "იუვენტუსიც" იყო დაინტერესებული, თუმცა ტურინელებს ოფიციალურად მოლაპარაკებები არ დაუწყიათ. დამიაოს ხელშეკრულება 2016 წლამდეა ძალაში. კლუბი მასში 15 მილიონ ევროს ითხოვს. პარიზელები ამ თანხას უპრობლემოდ გადაიხდიან.

აპრძალვა ბირმინგემის ბოსს

"ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, ჰონკონგის სასამართლომ "ბირმინგემის" მფლობელ, 51 წლის **კარსონ იენგს** პირადი მიზნებით 4 დღით ქვეყნის დატოვების უფლება მისცა. ოღონდ მას გარანტიის სახით 1 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. პროკურატურამ გადაწყვეტილება ზედა ინსტანციაში გაასაჩივრა და მიზანსაც მიაღწია. ზემდგომი მოსამართლის გადაწყვეტილებით, მას ეს უფლება ჩამოერთვა. ბიზნესმენის ადვოკატთა მტკიცებით, საამისოდ ქვეყნის იუსტიციის სამინისტრომ მოსამართლეზე სერიოზული ზეწოლა განახორციელა. იენგს სამართალდამცავები 95 მილიონი დოლარის უკანონოდ მითვისებაში სდებენ ბრალს.

ციხეს ვერ გადაურჩა

"ჰარმსის" გულშემატკივარს, 26 წლის **ჯონ უილსონს** სამართალდამცავები "სელტიკის" მთავარ მწვრთნელ **ნილ ლენონზე** თავდასხმის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. შეგახსენებთ, რომ უილსონი აღნიშნული კლუბების უკანასკნელი შეხვედრის დროს, 11 მაისს ტრიბუნებიდან მინდორზე გადაიჭრა, "კელტთა" დამრიგებლისკენ ინევდა და უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდა. სასამართლომ პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისად არ მიიჩნია, რათა ის ამგვარ ქმედებაში დამნაშავედ ეცნო. თუმცა მისი ქმედება დაკვალიფიცირდა, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა (პროკურატურა მისი ამ მუხლით გასამართლებასაც ითხოვდა) და მოსამართლემ მას 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უილსონს 5 წლით ჩამოერთვა საფეხბურთო მატჩებზე დასწრების უფლებაც.

ჯერარდი 25 სექტემბერს

"ლივერპულის" კაპიტანი და ლიდერი, 31 წლის **სტივ ჯერარდი** მინდორს 25 სექტემბერს "ბრაიტონთან" სათასო შეხვედრაში დაუბრუნდება. ფეხბურთელმა საზარდულის ტრავმის მოშუშების შემდეგ გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე განაახლა, გვამცნო "სქაი სპორტსმა".

ფანების უკმაყოფილება

"ჩელსი" ფანების უკმაყოფილება გამოიწვია კლუბის გადაწყვეტილებამ, "სტემფორდ ბრიჯის" ბილეთების გაძვირებასთან დაკავშირებით. ფანების საკმაოდ დიდი ჯგუფი 19 ოქტომბერს ჩემპიონთა ლიგაში "გენკთან" შეხვედრის გამოტოვებას აპირებს. მატჩზე დასასწრები ყველაზე იაფი ბილეთი 4 ფუნტი ეღირება, რაც 1/3-ით მეტია წინა მატჩის ბილეთის ფასზე. *„წესით, ცოტა მაყურებელმა კლუბის ხელმძღვანელობის ყურადღება უნდა მიიპყროს,"* – განუცხადა "დეილი ტელეგრაფს" "ჩელსის" ფანკლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა **მიშელ შომ**.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი



ესპანეთი-საფრანგეთი

ნოვაკის ამბავი ისევ გაურკვეველია

გუშინ, ბელგრადსა და კორდობაში დევისის თასის ნახევარფინალური მატჩების წილისყრა გაიმართა და გაირკვა თანამიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ჩოგბურთელები კორტზე სათამაშოდ გავლენ.

კვლავაც გაურკვევლობაა მოქმედი ჩემპიონის - სერბეთის რიგებში. მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** შეყვანილია განაცხადში და გუშინ მან წილისყრაშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელობა იმ ვარიანტსაც უშვებს, რომ ნოვაკი დღეს ვერ შეძლებს თამაშს და მას **ვიქტორ ტროიცკი** შეცვლის.

თავად ჯოკოვიჩი წილისყრას არ ესწრებოდა. დევისის თასის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ნოვაკი ნიუ იორკში შეყოვნდა და გუნდს მოგვიანებით შეუერთდება. ეს ინფორმაცია სერბეთის ნაკრების წევრებმაც დაადასტურეს.

„ნოლე დღეს ჩამოვა. ვნახოთ, როგორ ფიზიკურ ფორმაში იქნება და შეძლებს თუ არა თამაშს. თუ არა, მაშინ მე მზად ვარ საბრძოლველად“, - განაცხადა ტროიცკიმ.

სერბების კაპიტანმა **ბოგდან ობრადოვიჩმა** აღნიშნა, რომ ნოვაკის გვიან ჩამოსვლა პრობლემას არ შექმნის, რადგან ბელგრადის კორტებზე მას ვარჯიში არ სჭირდება: *„საკმარისია ნახევარსაათიანი გახურება მატჩის წინ. ის საკუთარ თავში დარწმუნებულია“*.

გუშინდელი წილისყრის შედეგები კი ასეთია:

პარასკევი

ნოვაკ ჯოკოვიჩი-დავიდ ნალბანდიანი
იანკო ტიპსარევიჩი-ხ. მ. დელ პოტრო

შაბათი

იანკო ტიპსარევიჩი/ნენად ჟინონჟიჩი-ხუან იგნასიო ჩელა/ხუან მონაკო

კვირა

ნოვაკ ჯოკოვიჩი-ხ. მ. დელ პოტრო
იანკო ტიპსარევიჩი-დავიდ ნალბანდიანი

■ ■ ■

კარგი ამბებია ესპანეთის ნაკრების რიგებში. მართალია, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** დაღლილობის გამო დაიწუწუნა, მაგრამ მაინც ითამაშებს საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ. ცოტათი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო ფრანგების კაპიტანმა **გი ფორჟემ** - მან ერთეულებში არ დააყენა **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომელიც შაბათს წყვილების მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

პარასკევი

რაფაელ ნადალი-რიშარ გასკე
დავიდ ფერერი-ჟილ სიმონი

შაბათი

ფელისიანო ლოპესი/ფერნანდო ვერდასკო-მიშელ ლოდრა/ჟო ვილფრიდ ცონგა

კვირა

რაფაელ ნადალი-ჟილ სიმონი
დავიდ ფერერი-რიშარ გასკე

■ ■ ■

ჯოკოვიჩს დავუბრუნდეთ. სერბი ჩოგბურთელი მთავარი პრეტენდენტია სპორტის სამყაროში ერთ-ერთი მთავარი პრიზის - „წლის სპორტსმენის“ მოპოვებაზე, რომელსაც სააგენტო Associated Press გადასცემს.

მამაკაც ჩოგბურთელებს შორის ამ პრემიას მხოლოდ ორი მოთამაშე ფლობდა - **დონ ბაჯი** (1937, 1938) და **ჯონ მაკინროი** (1981).

ჯოკოვიჩმა შეიძლება მოიგოს ეს პრიზი იმის მიუხედავად, რომ ამერიკელი არ გახლავთ. ბოლო 50 წლის განმავლობაში უცხოელებს ჯილდო მხოლოდ ორჯერ აქვთ მოგებული: კანადელ ჰოკეისტს **უეინ გრეტცკისა** და ასევე კანადელ სპრინტერს **ბენ ჯონსონს**. 1960 წლიდან მოყოლებული, ამ ორი გამონაკლისის გარდა „წლის სპორტსმენი“ ამერიკელი ხდებოდა, მათ შორის - **მაიკლ ჯორდანი, მოჰამედ ალი, ტაიგერ ვუდსი, კარლ ლუისი, ლარი ბერდი, ჯო მონტანა, მაიკლ ფელპსი**...

ქალი ჩოგბურთელები აქ უფრო ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი. **მონიკა სელეშმა** ეს პრიზი ორჯერ მოიგო (1991, 92). ასევე საუკეთესო სპორტსმენად დაუსახელებიათ: **შტეფი გრაფი, მარია ბუენო, ივონ გულაგონგი, ჯენიფერ კაპრიატი, კრის ევერტი** და **სერენა უილიამსი**.

„თუ 2011 წელს ნოვაკის მიღწევებს გადავხედავთ, ეჭვი არ მეპარება, რომ ის საუკეთესო სეზონს ატარებს როდ ლეივერის 1969 წლის სეზონის შემდეგ“, - განაცხადა **პატრიკ მაკინროიმ**.

მოიას აკადემია ჩააბარეს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ესპანელი **კარლოს მოია** მადრიდში საჩოგბურთო აკადემიას ჩაუდგება სათავეში. როლან გაროსის ორგზის ჩემპიონი თავის მეგობართან - **რობერტო კარეტეროსთან** ერთად იმუშავებს და იმედი აქვს, რომ აკადემიას ესპანეთში საუკეთესო საჩოგბურთო სკოლად აქცევს.

„შესანიშნავ პროექტს ვინყებ, - ამბობს მოია ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. - *იმედი მაქვს, ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ჩემს გამოცდილებას გადავცემ და დავეხმარები მათ წარმატებული კარიერის შექმნაში. მინდა Santo Domingo-ს ბრწყინვალე კომპლექსი ერთ-ერთ საუკეთესო საჩოგბურთო სკოლად ვაქციო“*.

ახალი საჩოგბურთო აკადემია შაბათს, 17 სექტემბერს გაიხსნება.

აშშ-ის ღია ჰიტ-აღლუმი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ ახლახან დასრულებული ამერიკის ღია პირველობის ძირითად მოვლენათა ჰიტ-აღლუმი შემოგვთავაზა.

ტურნირის გმირი

რა თქმა უნდა, **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სერბმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დღეს პროფესიულ ტურში ბადალი არ ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე სეზონში. ის ბენვზე გადაურჩა ნახევარფინალში **როჯერ ფედერერთან** წაგებას, მაგრამ შეძლო წაგებული მატჩის გადარჩენა. სამაგიეროდ, დამაჯერებლად დაამარცხა **რაფაელ ნადალი** გადამწყვეტ შეხვედრაში. ახლა რეიტინგში ესპანელ ჩოგბურთელზე მისი უპირატესობა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანის დავიდ ფერერის სარეიტინგო ქულებს უდრის. ეს დაუჯერებელი მაჩვენებელია.

ალტერნატივა: არავინ.

ტურნირის ანტიგმირი

გაელ მონფილსი. ათლეტური ფრანგი, რომელმაც ზაფხულში კარგი ფორმა აკრიფა, მაგრამ მორიგ მწვრთნელს გამოეთხოვა, თითქოს ახალ დონეზე უნდა გასულიყო. გაელს ორჯერ არ გაუმართლა საზაფხულო „მასტერსებზე“, როცა სატურნირო ბადემ ის ჯოკოვიჩზე გაიყვანა. თუმცა ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაში მან გვარიანად ანერვიულა დაუმარცხებელი სერბი.

„ფლეშინგ მედოუზე“ მონფილსისა და ჯოკოვიჩის გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთებოდა და ფრანგს მესამედ უნდა ეცადა ბედი, მაგრამ არ გამოვიდა. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ხუან კარლოს ფერერომ** ძალები მოიკრიფა და ხუთსეტიან მარათონში კარგი საჩუქარი მიართვა გაელს მის დაბადების დღეზე.

ალტერნატივა: ენდი მიურეი

ტურნირის აღმოჩენა

დონალდ იანგი. ის, რომ ეს შავკანიანი ამერიკელი ძალიან ნიჭიერია, საჩოგბურთო სამყარომ შვიდი წლის წინ შეიტყო. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ დონალდი მერყევი ხასიათისაა და ვარჯიშების გაცდენა უყვარს. მაგრამ ამ სეზონში იანგმა, როგორც იქნა, ვარჯიშებზე მუშაობა დაიწყო და შედეგებიც მოვიდა.

რა თქმა უნდა, მეოთხე წრეში დონალდმა **ენდი მიურეისთან** წააგო, რადგან „დიდი ოთხეული“ სულ „სხვა ლიგაა“. „თავის ლიგაში“ კი იანგი საკმაოდ კარგად გამოიყურება.

ალტერნატივა: ჯეკ სოკი

ტურნირის იმედგაცრუება

რაიან ჰარისონი. ამ ბიჭმა დონალდ იანგს ამერიკული ჩოგბურთის მთავარი იმედის სტატუსი ჩამოართვა, მაგრამ აშკარად დიდ ნიჭთან ერთად მას კიდევ უფრო აუტანელი ხასიათი აქვს. პირველ წრეში **მარინ ჩილიჩთან** მატჩი, რომელიც ამერიკელი ექსპერტების შეფასებით რაინისთვის იოლი გასეირნება უნდა ყოფილიყო, ჰარისონისთვის ბოლო აღმოჩნდა ტურნირზე.

და საქმე მხოლოდ სამ სეტში წაგებაში არ არის. საქმე ისაა, როგორ ნააგო ჰარისონმა - ის მშობლიურმა პუბლიკამ სტვენით გააცილა კორტიდან.

ალტერნატივა: ბერნარდ ტომიჩი

ტურნირის მატჩი

ნოვაკ ჯოკოვიჩი-როჯერ ფედერერი, ნახევარფინალი, 6:7(7), 4:6, 6:3, 6:2, 7:5. ამ მატჩში იყო ყველაფერი - დაუჯერებელი ინტრიგა, ბრწყინვალე ჩოგბურთი, ჯოკოვიჩის ფანტასტიკური გადარჩენა...

„ჩემი აზრით, სულ სხვა პრესკონფერენციას უნდა ვატარებდე ამ ნახევარფინალის შემდეგ“, - ფედერერს ბოლომდე არ სჯეროდა, რაც კორტზე მოხდა. და არა მარტო მას, არამედ მილიონობით მაყურებელს მთელ მსოფლიოში. სამაგიეროდ, ორი გენიოსის თამაში მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა.

ალტერნატივა: ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი, ფინალი, 6:2, 6:4, 6:7(3), 6:1

ტურნირის მთავარი სენსაცია

პირველივე წრეში **ჟულიან ბენეტოს** გამარჯვება **ნიკოლას ალმაგროზე**. ადრე ტოპათეულის ნებისმიერი ჩოგბურთელის დამარცხება უკვე სენსაცია იყო, ალმაგრო კი ამ ზაფხულს მართლაც შესანიშნავად გამოიყურებოდა. თუმცა ბენეტომ, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინ სერიოზული ტრავმა მიიღო, სწორედ ამერიკის ღია პირველობისთვის აკრიფა კარგი ფორმა და ცდილობს ძველი რეიტინგი დაიბრუნოს. მრისხანე ესპანელზე გამარჯვება - ამ გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯია.

ალტერნატივა: გაელ მონფილისის მარცხი ხუან კარლოს ფერეროსგან

ტურნირის ფრაზა

„თუ მოთამაშის კარიერაზე „დიდი სლემის“ ტურნირებზე მოგებული ტიტულებით ვიმსჯელებთ, მაშინ საშინელი კარიერა მქონია“, - განაცხადა ენდი მიურეიმ.

ტურნირის კურიოზი

ენდი როდიკი იმდენად გართული იყო ჟულიან ბენეტოსთან მატჩით, რომ გეიმებს შორის შესვენებისას კორტის მხარეები აერია და მეტოქის სკამზე დაჯდა. ფრანგს კარგა ხანი დასჭირდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის საკუთარი ადგილიდან გასაძევებლად. ეს ყველაფერი საკმაოდ მხიარული სანახაობა იყო.

გაელ მონფილსი

● ამბები

ველოსპორტი

სასტრემ კარიერა დაასრულა

ტურ დე ფრანსის 2008 წლის ჩემპიონმა **კარლოს სასტრემ** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, - წერს სააგენტო „როიტერი“. ამის შესახებ 36 წლის ესპანელმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

„მოვიდა დიდი სპორტიდან წასვლის დრო, - აღნიშნა სასტრემ. - *ჯერჯერობით არ გადამიწყეტია, რას გავაკეთებ კარიერის დასრულების შემდეგ. შესაძლოა, ველოსპორტში გავაგრძელო მუშაობა“*.

ჰოკეი

ალენდერსმა ლიდერი შეინარჩუნა

„ნიუ იორკ ალენდერსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯონ ტავარესმა** თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე თანხმობა განაცხადა. 2009 წლის დრაფტის პირველი ნომერი 2018 წლის ბოლომდე დარჩება „კუნძულელთა“ რიგებში.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, ახალგაზრდა ფორვარდი ჯამში 33 მილიონს გამოიმუშავებს.

ტავარესმა NHL-ში სადებიუტო სეზონში 38 ქულა (24+34) დააგროვა, მეორეში - 67 (29+38).

ფორმულა 1

რენო კუბიცას და პეტროვს იშორებს

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გუშინ გერმანულმა ჟურნალმა Auto Motor und Sport-მა. არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ლოტუს-რენო“ მომავალი სეზონისთვის მთლიანად შეცვლის შემადგენლობას. გერმანელების ინფორმაციით, ფრანგულ საჯინიბოში, შესაძლოა, პოლონელი **რობერტ კუბიცასა** და რუსი **ვიტალი პეტროვის** ადგილი **ბრუნო სენამ** და **რომენ გროსჟანმა** დაიკავონ.

აღსანიშნავია, რომ პოლონელის მოქმედი კონტრაქტი ამ ზამთარს იწურება. ამასთან, ჯერჯერობით გარკვეული არ არის, შეძლებს თუ არა კუბიცა თებერვლის ავარიის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელებასა და უმაღლეს დონეზე გამოსვლას.

პეტროვს კი „ლოტუს-რენო“ მარკეტინგული მიზნებით იშორებს, რადგან ბრაზილიელ ბრუნო სენას მეტი პოტენციური სპონსორი ჰყავს, ვიდრე რუს პილოტს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

მაინც კანონზომიერი შედეგები

კირილენკო საუკეთესო იყო

საფრანგეთისა და საბერძნეთის მეოთხედფინალი ის წყვილი იყო, რომელშიც ნებისმიერი მოულოდნელობა შეიძლებოდა მომხდარიყო, პირველ რიგში, იგულისხმება საბერძნეთის მოგება. არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ბერძნები ბრძოლას გაუმართავდნენ ევრობასკეტის ერთ-ერთ ფავორიტს. რა თქმა უნდა, ეს არ არის **დიამანტიდისის** ან **პაპალუკასის** საბერძნეთი, რომელიც 2005 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, მაგრამ დღევანდელი ნაკრებისგანაც ნებისმიერი გართულება იყო მოსალოდნელი. ასეც მოხდა და ფრანგებმა დიდი გაჭირვებით გააღწიეს ნახევარფინალში.

საფრანგეთს პრობლემები პირველივე წუთებიდან შეექმნა - საწყისი მეოთხედის სტარტზე საბერძნეთი დამაჯერებლად იგებდა - 15:4. სიტუაციის გამოსწორება თავის თავზე აიღო **ნანდო დე კოლომ**: „ვალენსიას“ მცველი ფრანგების ნამდვილი ჯოკერი აღმოჩნდა და საბოლოოდ, შესანიშნავი შედეგი დააფიქსირა: თამაშიდან რვაჯერ ისროლა, აქედან ექვსი ჩააგდო და 16 ქულა დააგროვა.

დე კოლოს შედეგიანი თამაში სიუპრიზი აღმოჩნდა ბერძნებისთვის და მათ გარკვეული ხანი დასჭირდათ იმისთვის, რომ ფრანგების მე-12 ნომრის მოქმედებისთვის ალღო აეღოთ. როცა ეს პრობლემა მოგვარდა, საბერძნეთი ისევ წინ გავიდა და თანდათან გაამყარა უპირატესობა. მართალია, შვიდ ქულაზე შორს ვერ მიდიოდა, მაგრამ ლიდერობას დამაჯერებლად ინარჩუნებდა.

საფრანგეთი სულაც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელსაც ევრობაკეტის ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსი მიანიჭეს. შესაძლოა, ეს გუნდის ლიდერის - ტონი პარკერის ჩვეულებრივზე პასიური თამაშის ბრალი იყო - „სპურსის“ გამთამაშებელი არ ცდილობდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და პარტნიორებს ტვირთავდა გადაცემებით, ისინი კი ბევრს ცდებოდნენ.

მოკლედ, ფრანგებს არაფერი შველოდათ იქამდე, სანამ თამაშში... პარკერი არ ჩაერთო. ეს მეოთხე მეოთხედის დებიუტში მოხდა. ბერძნები ხუთ ქულას იგებდნენ და სწორედ ტონის მონდომებით დაიწყო გაქცევა, რომელიც 16:5 დასრულდა. ეს სპურტი გახდა გადამწყვეტი ამ მატჩში - საფრანგეთმა ექვსქულიანი უპირატესობა გაიფორმა და ბოლომდე შეძლო მისი შენარჩუნება.

რა თქმა უნდა, ბერძნებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და აქტიურობის ხარჯზე ბევრი ჯარიმა მიაღებინეს მეტოქეს, მაგრამ საჯარიმოებს ისროდნენ ცუდად. ბოლოსკენ მნიშვნელოვანი ოთხი ქულა ჩააგდო **ნიკოლა ბატუმმა** - 60:54. წუთით ადრე ბერძნებმა ტაიმ-აუტი აიღეს.

ცისისის ჯარიმების შემდეგ სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. მართალია, შემდეგი იერიში საფრანგეთმა გააფუჭა, მაგრამ შეტევაში მოხსნა აიღო და საბერძნეთი იძულებული გახდა ჯარიმების ტაქტიკაზე გადასულიყო, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ თამაშის გადარჩენა შეუძლებელი იყო.

■ ■ ■

ბოლო მეოთხედფინალში კიდევ უფრო რთული იყო გამარჯვებულის წინასწარმეტყველება. რუსეთის ნაკრების წინა მიმოხილვებისას არაერთხელ დავწერეთ, რომ **დევიდ ბლატის** გუნდს ხშირად უმართლებდა და **სერგეი მონიას** „ოქროს ხელი“ რომ არა, მინიმუმ ორი მატჩი უნდა წაეგო, მაგრამ ჯერჯერობით რუსეთი კვლავაც ერთადერთი დაუმარცხებელია გუნდია ევრობასკეტზე.

თუმცა ამჯერად, სერბეთთან დაპირისპირებაში იღბალი არაფერ შუაში იყო - რუსებმა აშკარად უფრო მაღალი კლასისა და დაცვაში ბრნყინვალე თამაშის ხარჯზე მოუგეს მეტოქეს და მინიმუმ ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობა გაინაღდეს.

სერბეთი მხოლოდ მატჩის დებიუტში ლიდერობდა, როცა **მილოშ ტეოდოშიჩმა** ოთხი უპასუხო ქულით გახსნა ანგარიში - 4:0. ამას მოჰყვა რუსეთის 8:0 გაქცევა და ამის შემდეგ ბლატის გუნდს ლიდერობა არ დაუთმია.

თამაშის მსვლელობისას იყო მომენტები, როცა სერბეთი ოთხი-ხუთი ქულით უახლოვდებოდა მეტოქეს, მაგრამ როგორც კი საქმე აქამდე მიდიოდა, მაშინვე რუსეთი ახერხებდა რამდენიმე უპასუხო ქულის აღებას და კომფორტული უპირატესობის აღდგენას. ამაში ორ კალათბურთელს ჰქონდა ყველაზე დიდი წვლილი - **სერგეი კირილენკოს**, რომელმაც მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და კინაღამ სამმაგი დუბლი შეასრულა და ტეოდოშიჩს, ვინც ევრობასკეტის რეკორდი დაამყარა ცხრა დაკარგული ბურთით.

ასეთ პირობებში, ისედაც უნიათოდ მოთამაშე სერბეთს შანსი არ ჰქონდა და ის დღეს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის საგზურისთვის საბერძნეთს შეხვდება, ფინალის საგზურისთვის კი რუსეთს საფრანგეთთან მატჩი ელის.

■ ■ ■

გუშინ, კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ოლიმპიადის საკვალიფიკაციოს საგზური თამაშდებოდა. მაკედონიასთან ტრაგიკული მარცხის შემდეგ ლიტვამ მოახერხა გონს მოსვლა და სლოვენიის დამარცხება, მაგრამ ნერვული დაძაბულობა მაინც ვერ ააცილა თავის გულშემატკივარს.

მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ, მაგრამ სლოვენია 7:0 გაქცევის შემდეგ, საფინალო სირენამდე წუთით ადრე ერთი ქულით გავიდა წინ - 77:76. შემდეგი შეტევა ლიტვამ გააფუჭა, მაგრამ სლოვენიამაც იგივეთი უპასუხა. შეხვედრის ბედი **მანტას კალნიეტისის** სამქულიანმა გადაწყვიტა. სლოვენიელთა ორი შეტევა, რომლითაც შეიძლებოდა ანგარიშის გათანაბრება, უშედეგოდ დასრულდა: თავდაპირველად **იაკა ლაკოვიჩის** შესვლა დაბლოკეს, **გორან დრაგჩმა** კი სროლა ვერ მოასწრო.

1/4 ფინალი

საფრანგეთი-საბერძნეთი 64:56

14:17, 13:14, 13:12, 24:13

საფ: პაკერი (18+5 მოხსნა), დე კოლო (16), ბატუმი (15), ტრაორე (6), ნოა (5+8 მოხსნა), კაუდი (2), პიეტრუსი (2+6 მოხსნა).

საბ: ბურუსისი (17+11 მოხსნა), ფოცისი (9+5 მოხსნა), კალატესი (7), კაიმაკოგლუ (6+6 მოხსნა), ცისისი (6+5 პასი), კუფოსი (5), პაპანიკოლაუ (4), ბრამოსი (2).

რუსეთი-სერბეთი 77:67

16:12, 18:15, 20:21, 23:19

რ: კირილენკო (14+11 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა+2 დაფარება), ვორონცევიჩი (11), ხრიაპა (11+4 პასი), შვედი (10+5 პასი), ფრიძონი (9), მოზგოვი (8), პონკრაშოვი (5), მონია (5), ბიკოვი (4).

ს: ტეოდოშიჩი (20), კრსტიჩი (13+5 მოხსნა), სავანოვიჩი (9), პეროვიჩი (7), კეშელი (6+5 მოხსნა), მაჩვანი (5), ბიელიცა (5), მარკოვიჩი (2).

1/2 ფინალი

16 სექტემბერი

ესპანეთი-მაკედონია
საფრანგეთი-რუსეთი

5-8 ადგილი

სლოვენია-ლიტვა 77:80

20:19, 13:25, 24:19, 20:17

ს: ლორბეკი (16+5 მოხსნა), გ. დრაგიჩი (16+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), ბეგიჩი (11+4 დაფარება), ზ. დრაგიჩი (10), ოზბოლტი (9), სმოდიში (8+6 მოხსნა), ლაკოვიჩი (7+4 პასი).

ლ: კალნიეტისი (17+4 პასი), სონგაილა (12), იასიკიავიჩუსი (12+7 პასი), კაუკენასი (10+4 პასი+3 ჩაჭრა), იავტოკასი (9), ვალანჩიუნასი (8+6 მოხსნა), პოჩიუსი (6), იასაიტისი (4), იანკუნასი (2).

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

პაოკ-ტოტენჰემი	0:0
შემროკი-რუბინი	0:3
კოპენჰაგენი-ვორსკლა	1:0
ჰანოვერი-სტანდარდი	0:0
ჰაპოელი (თ-ა)-რაპიდი (ბ)	0:1
ეინდჰოვენი-ლეგია	1:0
ლაციო-ვასლუი	2:2
ციურიხი-სპორტინგი	0:2
ბეშიქთაში-მაკაბი (თ-ა)	5:1
დინამო (კ)-სტოკი	1:1
ესს-ზალცბურგი	3:1
სლოვანი-ბილბაო	1:2
აუსტრია-მეტალისტი	1:2
ალკმაარი-მალმიო	4:1
ბირმინგემი-ბრაგა	1:3
ბრიუგე-მარიბორი	2:0
ატლეტიკო-სელტიკი	2:0
უდინეზე-რენი	2:1
მაკაბი (ჰ)-აეკ (ლ)	1:0
სტიაუა-შალკე	0:0
ფულჰემი-ტვენტე	1:1
ვილსა-ოდენსე	1:3
ანდერლეხტი-აეკ (ა)	4:1
ზტურმი-ლოკომოტივი	1:2

ნორვეგია

სარპსბორგი-სტრიომსგოდსეტი	1:1

შვეიცარია

მიალგიუ-აიკ	0:2

ინგლისი

ჰაფნარი-ფრამი	1:1
კეფლავიკი-ბრეიდაგლიკი	1:1
რეიკიავიკი-ბრინდავიკი	1:1
სტიარნანი-ვესტმანაიეარი	3:2
ტორი-ფილკირი	2:0
ვიკინგური-ვალური	0:1

რუსეთი

II დივიზიონი

ენისეი-ნ. ნოვგოროდი	2:0
სიბირი-ტორპედო (ვ)	2:1
ჩერნომორეცი-ბალტიკა	1:2
გაზოვიკი-ალანია	1:0
ურალი-გაზპრომი	0:0
დინამო (ბრ)-მორდოვია	4:1
ფაკელი-სკა ენერგია	2:2
შინიკი-კამაზ	3:2
ხიმკი-ლუჩ ენერგია	1:0
მაჟეიკიაი-ეკრანასი	1:2

კალათბურთი

ევრობასკეტი

სლოვენია-ლიტვა	77:80
საფრანგეთი-საბერძნეთი	64:56
რუსეთი-სერბეთი	77:67

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

პოლონეთი-სლოვაკეთი	3:0
იტალია-ფინეთი	3:1
რუსეთი-ბულგარეთი	3:1
სერბეთი-საფრანგეთი	3:1

პოლო

კაჭლ

სიბირი-ამური	3:5
ვიტიაზი-დინამო (მ)	2:3
ატლანტი-დინამო (რ)	4:3

ლანი

ესბერგი-ჰერლევი	4:4 დ.დ. 4:5
ოდენსე-ჰვიდოვრე	4:1
სონდერიისკი-როდოვრე	5:3
ჰერნინგი-ფრედრიკშავნი	6:2

ფინეთი

იოკერიტი-ჰიფკ	5:3
პელიკანსი-ბლუზი	1:2
სეი პა-კერპეტი	1:4
ჰპკ-ტპს	6:3
იუვიასკიულა-კალპა	0:2

შვეიცარია

აიკ-ტიმრა	5:1
ლინჩოპინგი-ბრიუნესი	2:2 გულ. 3:2
ლულეო-ვეკშიო	2:2 გულ. 2:3
მოდო-ფრიოლუნდა	1:4
ფერიესტადი-შელეფტეო	2:2 გულ. 3:2
ჰ371-იურგორდენი	1:2

ჩოგბურთი

WTA. ტაშკენტი

პერვაკი-ლარიერი	6:1, 6:2
ბირნეროვა-სავინიხი	6:4, 4:6, 6:3
დანილიდუ-უ. რადვანსკა	3:6, 6:4, 4:6
კუდრიავცევა-კირსტეა	7:6, 6:4

WTA. კვებეკი

ერაკოვიჩი-ფალკონი	6:3, 2:6, 6:2
საფაროვა-ჭლავაჩკოვა	6:7, 5:7

● TV პროგრამა

16 სექტემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. ვენლო-ეინდჰოვენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. II ტური. პალერმო-ინტერი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. რასინგი-ოლიმპო.
18:00 იტალიის შოუ.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტური. სანტოსი-კრუზეირო.
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტურის წინ.
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტურის წინ.
22:00 იტალიის ჩემპიონატი. III ტურის წინ.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ფრაიბურგი-შტუტგარტი (LIVE).
00:30 სუპერმატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ბარსელონა.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-უიგანი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.
14:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მარდი ფიში-მილოშ რაონიჩი. მემფისი. აშშ.
16:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ენდი როდიკი-ხუან მარტინ დელ პოტრო. მემფისი. აშშ.
18:20 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერაკლესი-აიაქსი.
20:15 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ფინალი. პანათინაიკოსი-მაკაბი. ბარსელონა. ესპანეთი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
22:55 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.

I არხი

11:55 რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-იაპონია. ახალი ზელანდია (LIVE).
18:20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ლიტვა (LIVE).
21:50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ლიტვა (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-შტუტგარტი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:00 მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. XV ეტაპი. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

20:25 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 67, 72, 55 კგ. ფინალები. თურქეთი (LIVE).
23:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. პლეი ოფი. უორინგტონი-ჰადერსფილდი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

10:00 WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ტაშკენტი. უზბეკეთი (LIVE).
13:45 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-საფრანგეთი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. სერბეთი-არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

18:25 ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ლიტვა (LIVE).
21:45 ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ლიტვა (LIVE).
03:30 WNBA. პლეი ოფი (LIVE).

SPORT+

15:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. პლეი ოფი. რუსეთი-ბრაზილია (LIVE).
21:45 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ლიტვა (LIVE).

EUROSPORT-2

18:30 ცხენოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მასტერსი. II დღე. სან პაულუ. ბრაზილია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედის TOP10

ფოტო: ალექსანდრ ბაბინცევი

ფოტო: ალექსანდრ ბაბინცევი


ფოტო: ალექსანდრ ბაბინცევი

კარენ მიულდერი


ფოტო: ალექსანდრ ბაბინცევი

პამელა ანდერსონი

ანდრეა ვერეშოვა

მიშელ დოჰერტი

ლუსიანა მორადი

რეიჩელ ჰანტერი

სპორტულ ჟურნალებში პოპულარულია რუბრიკა გამოჩენილი სპორტსმენების ცოლებისა და შეყვარებულების შესახებ. ხშირად დგება ფეხბურთელების, ჰოკეისტების, კალათბურთელების, მოკრივეებისა და სხვათა მეორე ნახევრების საუკეთესო ათეულები. ფორმულა 1-ში კი არსებობს ერთი ადამიანი, რომლის გოგონებისგან ტოპ-ასეულის შედგენა შეიძლება.

ის მსოფლიოს ჩემპიონი არ ყოფილა, მაგრამ მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუნდაც იმიტომ, რომ თავის დროზე, „ფერარის“ წევრი იყო. ეს პილოტია ირლანდიელი **ედი ირვაინი**. მისი ყველა სასიყვარულო ისტორიის ჩამოთვლა შეუძლებელია (გამორიცხული არ არის, რომ თავადაც არ ახსოვს ყველა), უბრალოდ საუკეთესო ათეული უნდა გამოვარჩიოთ.

10. რეიჩელ ჰანტერი

ახალზელანდიელი სუპერმოდელი და ტელეწამყვანი. ის სულ ცოტა ხნის წინ იყო ედის შეყვარებული. მათზე ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყეს ლაპარაკი, 2010 წლის მაისში კი **რეიჩელი** და ედი მონაკოში Amber Fashion Show-ზე ერთად მივიდნენ.

9. მიშელ დოჰერტი

ირლანდიელი მოდელი. ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი ყოფილი ფერარელის ამ რომანის შესახებ. მათ კავშირზე 2008 წელს წერდნენ, როცა წყვილს ხშირად ხედავდნენ დუბლინის ღამის კლუბებში.

8. პამელა ანდერსონი

ამერიკელი მსახიობი და ფოტო-მოდელი, რომელსაც ყველა იცნობს. იმის შესახებ, რომ „მალიბუს მაშველმა“ ედისთან შეხვედრა დაიწყო, პრესამ 2006 წლის თებერვალში შეგვატყობინა. ისევე, როგორც ირვაინის ყველა სასიყვარულო კავშირი, ესეც ხანმოკლე იყო - უკვე ივნისში **პამელა** და ედი ერთმანეთს გაეყარნენ.

7. ლუსიანა მორადი

ბრაზილიელი სუპერმოდელი და ტელეწამყვანი, რომელიც „როლინგ სტოუნზის“ ლეგენდარული ვოკალის **მიკ ჯაგერის** განქორწინების მიზეზი გახდა. თან **ლუსიანამ** მიკს 4.5 მილიონი წაართვა სასამართლოს ძალით. მორადი ირლანდიელი პილოტის ბადეში 2000 წლის ბოლოს გაება, მაგრამ არ გასულა რამდენიმე თვე და ედი უკვე ახალ მუზას ეძებდა.

6. ლუჩია გალეონე

იტალიელი სუპერმოდელი და მოცეკვავე. ფორმულა 1-ის პილოტის კარიერის დასრულებიდან სამი წლის თავზე ირვაინმა გადაწყვიტა დროებით მილანთან ახლოს თავის ვილაში ეცხოვრა. საღამოობით მას ხშირად ხედავდნენ **გალეონესთან** ერთად, მაგრამ ედის მალე მობეზრდა იტალიაში ცხოვრება და სამშობლოში გაიქცა. ბუნებრივია, მის გეგმებში არ შედიოდა იტალიელის თან წაყვანა.

5. ანდრეა ვერეშოვა

მის სლოვაკეთი, აგრეთვე მსახიობი. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ირვაინს კინოში აქვს ნათამაშები. ეს იყო ჩეხურ-ამერიკული ფილმი - „პრინცი და მე“. გადაღებებისას მისი პარტნიორი იყო **ანდრეა ვერეშოვა**. რომანი გადაღებების დაწყებისთანავე გაიბა და ასევე სწრაფად დასრულდა - გადაღებების დამთავრების შემდეგ.

4. კაილი მინოუგი

ცნობილ ავსტრალიელ მომღერალს ასევე ყველა კარგად იცნობს. მასზე და ედიზე ბევრს ლაპარაკობდნენ 2000 წელს, მაგრამ იმავე წელს ირლანდიელი ამ რეიტინგის მეშვიდე ნომერზე გადაერთო.

3. ალინა პუშკაუ

რუმინელი სუპერმოდელი, მსახიობი და მომღერალი. ედის სამი თვის განმავლობაში ხვდებოდა, მაგრამ შემდეგ რატომღაც ჩათვალა, რომ პილოტი მისთვის ხედმეტად „შეშლილი“ იყო, არადა, თავად **ალინას** უკვე 18 წლის ასაკში ჰქონდა რომანი **ვინ დიზელთან**.

2. კარენ მიულდერი

ჰოლანდიელი სუპერმოდელი. 2002 წელს 21 წლის **კარენი** ძალიან გატაცებული იყო ჩვენი გმირით და ედისგანაც იგივეს გრძნობა ამოძრავებდა. მაგრამ ირვაინს ინტერესი მალე გაუქრა. ისინი დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა მიულდერს გარკვეული ხანი შეგუება დასჭირდა ირვაინის გარეშე ცხოვრებასთან.

1. მანუელა არკური

იტალიელი სუპერმოდელი და მსახიობი, ამ რეიტინგის ლიდერი. მათი რომანის შესახებ 1999 წელს პრაქტიკულად ყველამ ყველაფერი იცოდა. ისინი ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს, მოკლედ, შესანიშნავი წყვილი იყო, მაგრამ მათმა კავშირმა დიდხანს ვერ გაძლო. უკვე მომდევნო წლის დასაწყისში ედის ახალი გოგონა ჰყავდა, **მანუელას** ახალი ახალგაზრდა მამაკაცი.

ამბები

კალათბურთი

მეორე ო'ნილიც მიდის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი, „ბოსტონ სელტიქსის“ ცენტრი **ჯერმეინ ო'ნილი** სერიოზულად განიხილავს კარიერის დასრულების ვარიანტს. მოთამაშის სიტყვებით, უახლოესი სეზონი, რომელიც ისედაც საფრთხის წინაშეა ლოკაუტის გამო, ბოლო იქნება მის 15-წლიან კარიერაში.

„შემდეგი სეზონი მე-16 იქნება ჩემთვის და ვფიქრობ, წასვლის დრო მოვიდა. უნდა დავგეგმო, რას გავაკეთებ კარიერის დასრულების შემდეგ. ამასთან, ჩემი შვილები იზრდებიან და მათ ყურადღება სჭირდებათ. ერთადერთი რაც მინდა, საჩემპიონო ბეჭდის მოპოვებაა. სწორედ ამის გამო გადავედი „ბოსტონში“, - აცხადებს ვეტერანი ცენტრი.

მულინის ნომრით ალარ ითამაშებენ

„გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ხელმძღვანელობამ კლუბის ერთ-ერთი ლეგენდის **კრის მულინის** ღვანლის დაფასება გადაწყვიტა. სპეციალურ ცერემონიაზე, რომელიც 2012 წლის 20 იანვარს გაიმართება, „უორიორზი“ ხმარებიდან ამოიღებს მულინის მე-17 ნომერს. იმ დღეს „გოლდენ სტეიტი“ საკუთარ მოედანზე „ინდიანა პეისერსს“ მიიღებს.

მულინმა 12 წელი ითამაშა „გოლდენ სტეიტში“, შემდეგ კი „ინდიანაში“ გადავიდა, სადაც სამი სეზონი ჩაატარა და ისევ „მეომრებში“ დაბრუნდა. სწორედ იქ დაასრულა კარიერა 2001 წელს.

სულ მულინმა 986 მატჩში 17 911 ქულა დააგროვა.

კრივი

პუმპანური კლიჩკო

უკრაინულმა პრესამ სუპერმძიმე წონაში IBF-ის, WBA-სა და WBO-ის ჩემპიონის **ვლადიმერ კლიჩკოს** ჰუმანური საქციელის შესახებ გვიამბო. 1998 წელს, ამერიკელ **როს პრიუტთან** დამარცხების შემდეგ უკრაინელი ჩერნოგორიელ **ზორან ვუიეჩიჩს** შეხდა და ნოკაუტით დაამარცხა ის. ამჟამად, ვუიეჩიჩს თავისა და ზურგის ტკივილი აქვს დაზიანებული და მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

ვლადიმერ კლიჩკომ ყოფილი მეტოქის ავამდყოფობის შესახებ ცოტა ხნის წინ შეიტყო და უკვე სამჯერ გაუგზავნა 10 ათასი ევრო ჩერნოგორიელს, რადგან ყოფილ მოკრივესა და მის ოჯახს მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ გააჩნია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიფვილმა